# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 16 იანვარი 2001 №3 (1276) | ფასი 50 თეთრი


2

უვიზო დინამო და სავიზო ტორპედო დაგვანებეს საქართველოთ თავი

8

ივანე მრისხანე მექსიკასაც იპყრობს




სამორანომ „ამერიკა“ ჰეთ თრიქით გაახარა

9

დანდი VS შსს



მარადონას შოტლანდიაში შეშვება ინგლისელთა ხელშია

11

სახელი



გაუტეხელი

ტატამზე შესული ხარშილაძე მწვრთნელებს ხანმოკლე შვებულებაში უშვებდა

# გივი, ჩვენა ვართ!

## შეახსენეს თავი ქართველებმა ნოდიას, რომელიც ჩვენს ფეხბურთს ჯერ კიდევ რუსული საზომით ზომავს

ექვსი წლის წინ გივი ნოდია სანკტ პეტერბურგს გადაბარგდა და იქაური „ლოკომოტივის“ წვრთნა დაიწყო.

ამ ექვს წელიწადში საქართველოს ნაკრების მწვრთნელის ადგილიც რამდენჯერმე გათავისუფლდა და ქვეყნის რჩეულთა შესაძლო თავკაცზე სიტყვა რომ ჩამოვარდებოდა, გივი ნოდიასაც ახსენებდნენ ხოლმე. თავად ცხონებული ნოდარ ახალკაციც მოსკოვში ესაუბრა ნოდიას ნაკრების გაწვრთნის თაობაზე... მას ამის შემდეგაც ჰკითხეს, ეროვნულ გუნდს თუ უთავკაცებო, მაგრამ...

ექვსი წელია, გივი ნოდია სანკტ პეტერბურგშია. ჰქონდა მიწვევები სხვა ქალაქებიდანაც, თუმცა ყველა იუარა და ახლა თბილისში დაბრუნდა. დაბრუნდა ისევ მწვრთნელად, 21-წლიანი სტაჟით. დღეს ის ისევ „ლოკომოტივის“ მწვრთნელია, ოღონდ თბილისისა და არა სანკტ პეტერბურგისა, ასე რომ, შეიძლება ითქვას, რკინიგზა და ნოდია ისევ ერთად მოდიან...

ინტერვიუ გივი ნოდიასთან იხილეთ მესამე გვერდზე



გუშინ გივი ნოდიამ „ლოკომოტივის“ ბაზა პირველად მონახულა




REUTERS მელბურნიდან

ელენა დოკიჩი ავსტრალიიდან ლინდსი დევენპორტმა გაისტუმრა

# ელენას ოზობა გაახსენეს

გუშინ მელბურნში ახალი საუკუნის პირველი დიდი სლემის ტურნირი — ავსტრალიის ღია პირველობა დაიწყო. საჩოგბურთო სპექტაკლს სამხრეთულ ხვატში არც ერთი მთავარი პერსონაჟი არ გამოკლებია. ფავორიტებმა პირველი ბარიერი იოლად გადალახეს. ერთადერთი, ვისაც „ოუფენი“ ჩაშხამდა, ამომავალი ვარსკვლავი ელენა დოკიჩია. ამჟამად იუგოსლავიის სახელით მოთამაშე ყოფილმა ოზმა მეორე წრის საგზურთან ერთად ერთ დროს ერთგული ავსტრალიელი გულშემატკივრებიც მოისაკლისა.

იხილეთ მეცამეტე გვერდი



თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი რევაზ არველაძე ერთბაშად 40 ფეხბურთელს ავარჯიშებს

# მზეო იანვრისა
## დინამო ღვთისა და ამინდის ანაბარაა

**თბილისის** „დინამოსთან“ დაკავშირებით სასიამოვნოს ვერც ამჯერად ვიტყვით. მიუხედავად იმისა, რომ გუნდის პრეზიდენტი მერაბ რატიანი ახლახან, ხუთთვიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს, კვლავაც გაურკვეველია საქართველოს ათგზის ჩემპიონის მეპატრონის ვინაობა, გუნდი კვლავაც ბედის ანაბარაა, ფინანსურადაც ძველებურადაა.

მიუხედავად ამისა, „დინამო“ დილმის საწვრთნელ ბაზაზე ყოველდღიურად ვარჯიშობს და ჩემპიონატისთვის ემზადება. დღესდღეობით გუნდში 40-მდე ფეხბურთელი ვარჯიშობს, თუმც ძველი დინამოელების გარდა მხოლოდ ოთხია ისეთი, რომლებზეც გუნდის მწვრთნელმა რევაზ არველაძემ გვითხრა, ისინი „დინამოში“ ითამაშებენო — ბესიკ ქარდავა, აკაკი მიკუჩაძე, ალექსანდრე ჩივაძე და გიორგი მანწკავა, შემოდგომაზე „დინამო 2“-ის ფეხბურთელები იყვნენ და რევაზ არველაძეს თავი ისე მოაწონეს, ახლა დინამოელები გახდნენ. სხვა ფეხბურთელთა გუნდში დარჩენა-არდარჩენის საკითხი კი სავარაუდოდ ხვალ უნდა გადაწყდეს „დინამო“ — „დინამო 2“ საწვრთნელი მატჩის შემდეგ.

გუშინ ბაზაზე „დინამოს“ სამ ისეთ ფეხბურთელს არ უვარჯიშია, შემოდგომაზე გუნდის ლიდერებად რომ ვთვლიდით. ჩემპიონატის ბომბარდირი ზაზა ზირაქიშვილი შესაძლოა საოპერაციო გახდეს, ის მუხლს შეუწუხებია; არჩილ სახვაძე დაქორწინდა და გუნდიდან დროებით თავისუფალია; თემურ გალდელიას კი რაღაც პრობლემები ჰქონია და ჯერჯერობით ისიც უცნობია, გუნდს დაუბრუნდება, თუ არა.

— ფეხბურთელი რომ გეტყვის, გუნდიდან წასვლა მსურსო, მას ვერ დაიჭერ. ხელფასს ვერ ვაძლევთ, ვერც პრემიას, როგორია რამე უთხრა. ადამიანურად ეს გაუმართლებელია და მეც აღარ მინდა, ფეხბურთელებთან ურთიერთობა გავიფუჭო. ხვალ რომ შემხვდებიან, თვალებში ხომ უნდა შევხედო — გვითხრა გუშინ რევაზ არველაძემ.

თბილისის „დინამო“, როგორც ჩანს, შეკრებაზე თბილისს იქით ვერ წავა — ამისი საშუალება არ არის.

— ღმერთით ამინდი ხელს გვიწყობს. ჩვენც აქ, ჩვენს ბაზაზე მოვემზადებით. იმედი მაქვს, ჩემპიონატის განახლებამდე „დინამოს“ პრობლემებს მოევლება. ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფო კომისია ქვეყნის პრეზიდენტის დავალებით მუშაობს და ეგებ დაგვალგეს საშველი — ამბობს „დინამოს“ მწვრთნელი.

**კობა ინასარიძე**

# ერთი აზიაში, სამი ლატვიაში, სხვები დილომში

**საქართველოს** ჩემპიონატის ლიდერი თბილისის „ლოკომოტივი“, რა ხანია, უკვე თავის ბაზაზე დიღომში ემზადება და თუ აქამდე ფეხბურთელები მთავარი მწვრთნელის თანაშემწეების ხელმძღვანელობით ვარჯიშობდნენ, გუშინ მათ ახალი მწვრთნელი, რუსეთიდან დაბრუნებული გივი ნოდიაც უცქერდა. გუნდის ყოფილი თავკაცის რევაზ ძოძუაშვილის წასვლიდან, ალბათ მოგეხსენებათ, „ლოკომოტივს“ თემურ ჩხაიძე და სერგო კოტრიკაძე ავარჯიშებდნენ.

ხმები კი იმის თაობაზე, რომ ამჟამად ლატვიაში მყოფ და უკვე „ტორპედოს“ ერთ-ერთ მთავარ მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილს რამდენიმე ლოკომოტიველი ქუთაისში თან მიჰყავსო, გადაჭარბებულია. ძოძუაშვილის მიერ ლატვიაში წაყვანილი აბრამიძის, პარამონოვის, გონჩაროვის და როგორც ვიცით, შუა აზიის ერთ-ერთ ქვეყანაში წასული სევასტი თოდუას გარდა, ყველა ის ფეხბურთელი ვინც შემოდგომაზე „ლოკომოტივში“ თამაშობდა, გუშინ ბაზაზე იყო და ვარჯიშობდა. იქვე გახლდათ საქართველოს ნაკრების წევრი ლევან სილაგაძეც, რომელმაც, რუსული „სპორტ ექსპრესის“ ინფორმაციით მოსკოვში, ესენგეს ჩემპიონთა ტურნირში „ტორპედოს“ შემადგენლობაში უნდა ითამაშოს.

„ლოკომოტივის“ ბაზაზე, როგორც ყოველთვის, ახლაც ხალხმრავლობა იყო. გუშინ თემურ ჩხაიძე დაახლოებით 35 ფეხბურთელს ავარჯიშებდა. თუმცა კი გაზაფხულისთვის ვინ დარჩება რკინიგზულ გუნდში ჯერჯერობით უცნობია. „ლოკომოტივს“ თურქულ ანტალიაში აქვს შეკრება დაგეგმილი მის შემდეგ ახალი მწვრთნელი გივი ნოდია აირჩევს, ვინც სამომავლოდ გამოადგება.

**ლუკა თალაკვაძე**

# ნივამ ტყუპები დააშორა...

**ერთ** დროს რუსთავის „გორდას“ წამყვანი ფეხბურთელები, ტყუპები — ავთანდილ და ტარიელ კაპანაძეები ბოლო წლებია, უკრაინული ტერნოპოლის „ნივაში“ თამაშობენ. 33 წლის ძმებს ტერნოპოლში არავინ დამდურებია — კეთილსინდისიერად ირჯებოდნენ და ერთგულად წევდნენ საშუალოზე დაბალი გუნდის ჭაპანს. „ნივას“ ხელმძღვანელები განსაკუთრებით ავთანდილ კაპანაძეს ემადლიერებოდნენ, თავდამსხმელმა ტყუპისცალმა ბოლო ორი სეზონი ერთობ სტაბილურად ჩაატარა და გუნდის უპირველესი მეგოლის სახელიც დაიგდო. ყოველივეს ფონზე ცოტათი მოულოდნელიც კია ავთანდილის „ნივასთან“ და ძმისგან დაშორება, მაგრამ ფაქტია — „ნივამ“ სატრანსფერო კურსი შეცვალა, აქცენტი ადგილობრივ ნიჭიერ ახალგაზრდებზე შეაჩერა და პირველი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ ავთანდილ კაპანაძე ტრანსფერზე დააყენა. ტარიელის ტყუპისცალს მსურველიც უმალ გამოუჩნდა. ეს გუნდი ბულგარეთის ჩემპიონატის მეორელიგოსანი ვრაცას „ბოტევი“ გახლავთ. ავთანდილის მსგავსად, იქვე ისინჯება კიევის დინამოელი გენადი მოროზიც. ტერნოპოლელები კი იუწყებიან, რომ ავთანდილს ახალ კლუბთან ტრანსფერის წინ არაფერი დაუდგება და „ნივას“ დიდ დანაკლისს სინანულით აღნიშნავენ.

რაც შეეხება თავად „ბოტევს“, მეორე ლიგის საშუალო გუნდია, დღეისთვის 24 ქულით მეცხრე ადგილზე იმყოფება და ლიდერ პლევენის „სპარტაკს“ 20 ქულით ჩამორჩება.

**ბაატა კვანტალიანი**

# ვაი ვალისგან

**მას,** ვისაც ბოლომდე არ ექნება გასტუმრებული ყველანაირი დავალიანება, ეროვნული ჩემპიონატის პირველივე საგაზაფხულო ტურში 0:3 წაგება ჩაეთვლება, ხოლო ის კლუბი, ვინც ვალს მომდევნო ტურამდე არ დაფარავს, გათამაშებიდან მოიხსნება.

სფფ-ის საგანგებო კომიტეტის (რომლის შემადგენლობაშიც პრეზიდენტი, გენერალური მდივანი და ვიცე-პრეზიდენტი შედიან), ამ გადაწყვეტილებას მკითხველი შაბათის „სარბიელში“ გაეცნო. სფფ უკან დახევას არ აპირებს. გადაწყვეტილება მკაცრი და საბოლოოაო, გვითხრეს ფედერაციაში და იმ 14 გუნდის სიაც წარმოგვიდგინეს, ჯამში 51 950 ლარი ვალი რომ დაგროვებიათ.

თოთხმეტეულიდან ექვსი გუნდი უმაღლესლიგელი გახლავთ, დანარჩენი კი ჯერჯერობით პირველი ლიგის ბინადარია. ქვემოთ სფფ-ის მოვალეების ნუსხას გაეცნობით. ეს გახლავთ გუნდების დღემდე დაგროვილი ვალი, რომელსაც სატრანსფერო, ჩემპიონატში სამონაწილეო და სხვადასხვა დარღვევისთვის საჯარიმო თანხები შეადგენს.

თოთხმეტეულში 15 200 ლარით წნორის „მილანი“, 9 300-ით „ზუგდიდი“ და 7 700-ით „თორი“ ლიდერობენ.

შესაძლებლობების გათვალისწინებით დიდი ვალი დაგროვებიათ „ხობს“ (7 200) და „ივერიასაც“ (5 200). უმაღლესლიგელ მოვალეთაგან კი 2 200 ლარით ავჭალური „მერანია“ პირველი. თსუ-ს ფედერაციისთვის 900, ხოლო „სიონს“, „შუქურას“ მსგავსად, 800 ლარი აქვს გადასახდელი. ვალმოტოვებულთა შორის მოულოდნელია შებლებული „კოლხეთის“ გამოჩენა. ზღვისპირელებს 700 ლარის გაღება მოუწევთ. დანარჩენი ოთხი გუნდის დავალიანება შედარებით უმნიშვნელოა (ისე, ვალი მაინც ვალია) და ასე გამოიყურება: „სამგურალი“ — 650, „გორდა“ — 600, „თბილისი“ — 400, „დილა“ — 300 ლარი.

**ბაატა კვანტალიანი**



ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომიტეტი: ალექსანდრე ჩივაძე, მერაბ ჟორდანია, ვალერი ჩოლარია

# ...ტავრიამ კი დააწყვილა

**უკრაინის** უმაღლესლიგელმა „ტავრიამ“ ქვეყნის ჩემპიონატის პირველი წრე ორი ქართველის, გოჩა ტრაპაიძის და ვასილ გიგიაძის დახმარებით არცთუ ცუდად დაასრულა. დარჩენილ ეტაპსაც იმედიანად შეჰყურებენ სიმფეროპოლელები. გუნდის ამოცანა ახლა ხუთეულში დამკვიდრება და ერთ-ერთი ევროსაგზურის მოპოვებაა.

სამეორეწრეო სამზადისს ტავრია ყირიმშივე, ზღვისპირა ალუშტაში შეუდგა ნაახალწლევს. ცხადია, გუნდს იქ ნახსენები ორი ჩვენებურიც ახლავს.

სიმფეროპოლელთა თავკაცმა ალექსანდრ იშჩენკომ მათ გარდა კიდევ ორ ქართველს უხმო თავისთან. ერთი მათგანი ვასილ გიგიაძის ტყუპისცალი სოსოა, რომელიც მწვრთნელმა ჯერ კიდევ შემოდგომაზე მიიწვია გასინჯვაზე და მაშინ კმაყოფილიც დარჩა ფეხბურთელის მზადყოფნით. სოსო გიგიაძის მეორედ გამოჩენა „ტავრიაში“ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმებით დაგვირგვინდა. გიგიაძე ოფიციალურად გატავრიელდა.



კახა სიდამონიძე

ერთი ქართველიც, ვისაც „ტავრიაში“ მოხვედრის შანსი გაუჩნდა, ოთხი თვის წინ „ბათუმში“ შემცირებაში მოყოლილი მცველი კახა სიდამონიძეა. იგი ახალ გუნდში ჯერ მხოლოდ გასინჯვაზეა და თუ იშჩენკოს მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, ისიც უკრაინაში გააგრძელებს კარიერას.

„ტავრიამ“ ალუშტაში რამდენიმე საკონტროლო მატჩი გამართა. გუნდის შემადგენლობაში, რაღა თქმა უნდა, ჩვენებურებიც თამაშობენ. ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“ „ტავრიამ“ ვასილ გიგიაძის გოლით იმარჯვა.

**იუზა კაციტაძე**

**იტალია**

**სერია B. XVIII ტური**

**ანკონა 1:0 იმოლი**

## რუსეთიდან საქართველოში

*გივი ნოდია საქართველოში დაბრუნდა. ექვსი წელი რუსეთში მომუშავე ერთ-ერთი საუკეთესო და 21-წლიანი გამოცდილების ქართველი მწვრთნელი თბილისში ჩამოვიდა და გუშინდლიდან ახალ გუნდს, თბილისის „ლოკომოტივს" მოჰკიდა ხელი, თუმცა ფეხბურთელებიდან ჯერ ცოტა შორსაა, სავარჯიშო მოედნის კიდეშია და შეგირდებს იქიდან უცქერს. ნოდია საქართველოში 13 იანვარს ჩამოვიდა. ძველით ახალ წელს კი რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარესა და „ლოკომოტივის" პრეზიდენტ აკაკი ჩხაიძეს შეხვდა, ყველაფერზე მოელაპარაკა და რკინიგზული გუნდის ახალი დროებაც დაიწყო, ამჯერად ნოდიასი, რომელიც 1995 წელს სანკტ პეტერბურგს გადაბარგდა და რუსეთის მეორე ლიგის „ლოკომოტივი" ჩაიბარა. შარშანდელ ზაფხულამდეც იქ მუშაობდა, მაგრამ ფინანსურმა კრიზისმა და კლუბის ხელმძღვანელობის შეცვლამ აიძულა, კონტრაქტი შეეწყვიტა და მწვრთნელის პოსტი გაეთავისუფლებინა.*



სამშობლოში დაბრუნებული გივი ნოდია

# ლოკომოტივში კონტრაქტი არ იციან

## რკინიგზა და ნოდია ისევ ერთად მოდიან

— საქართველოში წამოსვლამდე ორი რუსული, ორივე პირველლიგელი გუნდი მიწვევდა — გივი ნოდიამ, „ლოკომოტივის" დიღმის საწვრთნელ ბაზაზე რომ მივაკითხეთ. ერთი მაშინვე შემეხმიანა, როგორც კი სანკტ პეტერბურგის „ლოკომოტივი" დავტოვე, მაგრამ მაშინ მწვრთნელობისთვის არ მეცალა, ჩემმა უფროსმა ვაჟმა ოპერაცია გაიკეთა და ყურადღება სჭირდებოდა. მეორე წინადადება შემოდგომაზე მივიღე, უფრო სერიოზული, თუმც კი ძალიან შორიდან. მათ უარი შევუთვალე. იმ გუნდის ხელმძღვანელები მაინცდამაინც სანდონი არ ჩანდნენ. მეც ვიფიქრე, დავისვენებ, ყველაფერს ავწონ-დავწონი და ადრე თუ გვიან რამეს გადავწყვეტ-მეთქი. აქამდე სანკტ პეტერბურგში ვიყავი და ჩემთვის მოულოდნელად თბილისის „ლოკომოტივიდან" შემეხმიანნენ.

**— მწვრთნელობა შემოგთავაზეს და, როგორც ხუთშაბათს გვითხარით, ორი დღე ფიქრობდით.**

— საფიქრალს რა დალევს...

**— უმთავრესი ალბათ „ლოკომოტივის" პირობები იყო.**

— ეგ თავისთავად, თუმც კი საფიქრალი სხვაც მქონდა, მაგალითად, ოჯახი. ჩვენ სანკტ პეტერბურგში დავფუძნდით. შვილები იქ სწავლობენ.

**— და მაინც, უმთავრესი რა იყო, რამაც ახლა საქართველოში დაბრუნება გადაგაწყვეტინათ? ქართველობა?**

— რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე აკაკი ჩხაიძესთან პირადი საუბარი. დავრწმუნდი ვისთან, რა ხალხთან მექნებოდა საქმე და, რაღა თქმა უნდა, ქართველობამაც გადამადგმევინა ეს ნაბიჯი.

**— ისე მოხდა, რომ ამჯერადაც რევაზ ძოძუაშვილი შეცვალეთ. გახსოვთ, რვა წლის წინანდელი „დინამო"?**

— კი, მაშინ რევაზ ძოძუაშვილის საქმე გავაგრძელე. 1993-ში მისი თანაშემწე ვიყავი, ერთ-ერთი მწვრთნელი და როგორც ძოძუაშვილი ათამაშებდა გუნდს, მეც ის გზა ავირჩიე. ერთი ხელის მოსმით სათამაშო ტაქტიკის შეცვლა არ შეიძლება. იმ დროს „დინამო" მართლაც ძლიერი გუნდი იყო, რაც ძოძუაშვილის დამსახურებაა და დარწმუნებული ვარ, ახლაც ასე იქნება. ძოძუაშვილმა იცის გუნდის მომზადება. სხვა კი... ისე, იშვიათი დამთხვევაა... რვა წლის წინაც მე დავინიშნე მის ნაცვლად.

**— და ახლა რას აპირებთ, პირველი რა იქნება, რასაც გუნდში შეცვლით?**

— რა ვიცი, ვნახოთ, საქმე გვიჩვენებს. დღეს ამის თაობაზე ვერაფერს გეტყვით. ბაზაზე პირველად მოვედი, თუმც იმაშიც დარწმუნებული ვარ, გუნდი მოწესრიგებული იქნება. ჩემმა თანაშემწეებმაც პირველად ეს მითხრეს. ყველამ თავის საქმე უნდა იცოდეს.

**— ძოძუაშვილი როგორც ამბობს, გუნდიდან იმის გამო წავიდა, რომ საჩემპიონოდ და თასის შესანარჩუნებლად შესაბამისი პირობები არ ჰქონდა — მაგალითად, ბაზა არ არის ნორმალური, თქვა. თქვენ კი გუნდის აქ ამ ოღრო-ჩოღრო მოედანზე მომზადება მოგიწევთ.**

— ვიცი, რომ „ლოკომოტივის" მშენებარე სტადიონის მახლობლად მთელი სპორტული კომპლექსი შენდება, თავის სავარჯიშო მინდვრით, სასტუმროთი. ვიცოდი, ასეთ მოედანზე მომიხდებოდა გუნდის ვარჯიში, თუმც ეს არაფერი, უცხოური შეკრება გვაქვს დაგეგმილი და იქ ნაყოფიერი მომზადებისთვის ყველაფრით უზრუნველყოფილნი ვიქნებით.



გივი ნოდია „ლოკომოტივის" ვარჯიშს ჯერ მხოლოდ შორიდან უყურებს

**— „ლოკომოტივის" მიზნებზე თუ ილაპარაკეთ აკაკი ჩხაიძესთან?**

— ისეთი, კონკრეტული არაფერი. ისეც ხომ ნათელია, რისთვის იბრძოლებს „ლოკომოტივი". შარშან ამ გუნდმა საქართველოს თასი მოიპოვა და წლეულს უნდა შევინარჩუნოთ. ახლა გუნდი ჩემპიონატს ლიდერობს და ეს ადგილიც უნდა შევინარჩუნოთ, ჩემპიონები გავხდეთ, თუმც ისიც ვიცი, ძნელი გზა გველის, „ტორპედო", „ვიტ ჯორჯია" და „დინამო" ძლიერი გუნდები, ჩვენი კონკურენტები ყოფილან. ამ გუნდში მოსვლით უდიდესი პასუხისმგებლობა დამეკისრა, ლიდერის მწვრთნელი გავხდი და ჩემი ხელმძღვანელობით გუნდმა პირველობა არ უნდა დაკარგოს. ისე, მწვრთნელები ყოველთვის ერიდებიან პირველადგილოსანი გუნდის ჩაბარებას, მათ ურჩევნიათ აუტსაიდერი ან ცხრილის შუაში მყოფი გაწვრთნან. ამ მხრივ კი მე პრობლემა არ მაქვს. აკაკი ჩხაიძემ და მე იმაზეც ვილაპარაკეთ, რომ „ლოკომოტივი" სტაბილური გუნდი გახდეს. საამისო პერსპექტივა კი ნამდვილად არის. ისიც ვიცი, რომ ამისთანა პატრონი საქართველოში ერთ-ორ გუნდს ჰყავს.

**— „ლოკომოტივთან" რამდენწლიანი კონტრაქტი გააფორმეთ?**

— ოფიციალურად ჯერ არაფერზე მომიწერია ხელი.

**— ახლა რომ რუსეთიდან დაგიკავშირდნენ და გაცილებით უკეთესი პირობები შემოგთავაზონ, წახვალთ?**

— არა, არსად წამსვლელი ვარ. მე უკვე „ლოკომოტივის" მწვრთნელი ვარ და სად უნდა წავიდე.

**— ასე შორიდან რამდენ ხანს უყურებთ ფეხბურთელებს?**

— ერთი კვირა. მერე კი ჩვეულად ვიმუშავებ. ეს ერთი კვირა ჩემი თანაშემწეები ავარჯიშებენ გუნდს, ოღონდ, ბუნებრივია, ჩემთან შეთანხმებით. ამ დღეებში ორი ამხანაგური მატჩი გვაქვს დაგეგმილი და ამის შემდეგ გუნდზე უფრო ნათელ წარმოდგენას შევიქმნი.

**— ექვსი წელია, საქართველოში არ ყოფილხართ...**

— არა, ერთხელ რამდენიმე დღით ვიყავი ჩამოსული.

**— ეგ, ალბათ, ადრე...**

— კი.

**— ახლა რომ ჩამოხვედით, ყველაზე ძალიან რამ გაგაკვირვათ?**

— „ლოკომოტივის" მშენებარე სტადიონმა. გუშინ ვიყავი ვაკეში და გავოცდი. ევროპული სტანდარტების, ბევრისთვის სანატრელ სტადიონს აშენებენ. რუსეთშიც კი მხოლოდ ერთია წმინდა საფეხბურთო სტადიონი — რამენსკოეში. ერთი სიტყვით, ძალიან ნასიამოვნები დავრჩი. საქართველოში ერთი-ორი ასეთი სტადიონიც რომ აშენდეს, ამაზე კარგი რა უნდა იყოს.

**— ექვსი წელი რუსეთში კი მუშაობდით, მაგრამ ალბათ დღევანდელ ქართულ ფეხბურთზე წარმოდგენა გექნებათ. ჩვენი ჩემპიონატის ლიდერი ამჟამად „ლოკომოტივია". თქვენი აზრით, ეს გუნდი რომ რუსეთის უმაღლეს ლიგაში თამაშობდეს, რას მიაღწევდა?**

— იცით, დღეს რუსული ფეხბურთი ერთი თავით მაღლა დგას ქართულზე. „ლოკომოტივი" კი, თუნდაც „ტორპედო", „დინამო" რუსეთის ათ საუკეთესო გუნდში, ვფიქრობ, ვერ მოხვდება. ეს, რა თქმა უნდა, სამწუხაროა, მაგრამ სიმართლეს თვალებში უნდა შევხედოთ. თუნდაც ის აიღეთ — რამდენი ლეგიონერია რუსეთში და რამდენი — საქართველოში. იქ ფეხბურთში ძალიან დიდი ფული ტრიალებს. რუსეთის მერე კი ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებიდან, მგონი, უკრაინული ფეხბურთია. საქართველო იმ ყოფილ 15 რესპუბლიკას შორის, მგონი, მათ შემდეგაა. ისე კი, არ ვთქვა, როგორ იქნება — რუსეთში ენატრებათ ქართული ფეხბურთი. ჩემი გუნდი პირველ და მეორე ლიგაში თამაშობდა და ციმბირშიც კი მიხდებოდა ჩასვლა. რომ დამინახავდნენ, სულ ქართული ფეხბურთის, ძველი „დინამოს" თაობაზე მელაპარაკებოდნენ.

**ქოგა ინასარიძე**

## საქართველოდან რუსეთში

# ტორპედოს სავიზ(იტ)ო პრობლემები

**მოსამზადებელი** ეტაპის გუშინდელ სასტარტო მატჩში „ტორპედო" ფოთის „კოლხეთს" გრიგოლეთში დაუპირისპირდა. ძველ მეტოქეთა საკონტროლო გაჯიბრება 0:0 დასრულდა.

როგორც იცით, 18 იანვარს საქართველოს ჩემპიონი ქუთაისური „ტორპედო" მოსკოვს გაემგზავრება ესენგეს თასზე მონაწილეობის მისაღებად. გუნდის ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი ტორპედოელებს ლატვიიდან პირდაპირ მოსკოვში შეუერთდება.

საესენგეოდ ჩემპიონი გამალებულ სამზადისშია. სამწუხაროდ, „დინამომ" შარშანწინ საქართველოს ესენგეს თასის პირველ ჯგუფში თამაშის. შანსი დაუკარგა და ქუთაისელები წლეულს მაქსიმუმ რჩეულთა შორის თუ აინაცვლებენ. საამისოდ სრულ მზადყოფნაში ვართო, ამბობენ ტორპედოელები.

თქმა ერთია და ისიც ცხადია, რომ გუნდს პრობლემებიც არ აკლია, პირველი პრობლემა ის გახლავთ, რომ ჩემპიონები ცოტა ხნის წინ დაბრუნდნენ შვებულებიდან, ამდენად გუნდი შესათამაშებელია და ეგებ ჩვეულ კონდიციას ვერც მოსკოვში მიუახლოვდეს.

ჯერაც გაურკვეველია გუნდში დამრჩენ-წამსვლელთა ბედი. ჯერჯერობით არც ის ვიცით, თუ ვის ვიახლებთ მოსკოვშიო, გვითხრეს გუშინ გუნდის ხელმძღვანელებმა. ტორპედოელთა კიდევ ერთი პრობლემა რუსეთთან ახლახან დამყარებულ სავიზო რეჟიმს უკავშირდება. „ტორპედოს" გენერალური მენეჯერის ვლადიმერ გუცაევის თქმით, სავიზო რეჟიმმა გუნდის გეგმები შეაბრკოლა და საქმის მოსაგვარებლად მალალჩინოსნების ჩარევაც გახდა საჭირო. რომ არა სავიზო რეჟიმი, გუნდი ჯერ კიდევ 10 იანვარს გაემგზავრებოდა მოსკოვში და ადაპტიციისთვისაც მეტი დრო ექნებოდა.

**ბაატა ძვანტალიანი**



სარუსეთოდ აბარგებული რევაზ ძოძუაშვილი

ქართული ლეგიონის მრავალფეროვნების და მასშტაბურობის ამბავი ბევრს კარგად მოეხსენება. შვედეთში გაქრილი ფანჯრის შემდეგ ჩვენს თანამემამულეებს სად აღარ უთამაშიათ. ყოფილ საბჭოეთზე და ევროპაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ქართველებმა ჩინეთის და საუდის არაბეთის ჩემპიონატებიც დააჭაშნიკეს. ყოფილი ცხუმელი გოჩა ჟორჟოლიანი სულაც ჩინეთის ჩემპიონის ტიტულით დაბრუნდა რამდენიმე წლის წინ სამშობლოში.

ეგებ გაოცებულიც დარჩეთ, მაგრამ ფაქტია ჩვენებურებს ისეთ არასაფეხბურთო ქვეყანაშიც უთამაშიათ, როგორიც ყირგიზეთია და ძალიან შეცდებით, თავის დამშვიდების მიზნით თუ იფიქრებთ, იქ ქართველი ფეხბურთელი შემთხვევით მოხვდებოდაო. ის კი არა, ქართველებს ბამბის ქვეყანაში პატარა საფეხბურთო ქართული დიასპორაც აქვთ ჩამოყალიბებული და დღემდეც აგრძელებენ მოღვაწეობას.

ყოველივე ამის შესახებ რუსულ „სპორტ ექსპრესში" დაბეჭდილ პატარა ინტერვიუდან შეიტყობთ. ჩვენს რუს კოლეგებს ყირგიზული კარასუუს „ჟაშტიკ აკ ალტინის" მოთამაშე მწვრთნელი 37 წლის ჯამბულ შონია ესაუბრა. ეს ინტერვიუ იმიტომაც არის საინტერესო, რომ „თეთრი ოქრო" რამდენიმე დღეში ჩვენებურ „ტორპედოს" გაუწევს მეტოქეობას ესენგეს თასზე.

ქუთათურებს შარშან და შარშანწინ რუსეთის დედაქალაქში ნამხდარი ქართული საფეხბურთო რეპუტაციის ასაღდგენად უზბეკური „დუსტლიკის" და აზერბაიჯანული „შამქირის" გარდა ჯგუფში სწორედ „ჟაშტიკ აკ ალტინი" ჰყავთ დასამარცხებელი. სხვათაშორის, ერთი ქართველი, ოღონდ აზერბაიჯანის მოქალაქე და ამ ქვეყნის ნაკრების თავდამსხმელი ბადრი კვარაცხელია, „შამქირშიც" თამაშობს.

# ჯამბულის ბამბის ქულები



ყირგიზეთში ნათამაშევი ტორპედოელი ჯონი შალამბერიძე

— ჩვენი გუნდი ძალიან ახალგაზრდაა — 1997 წელს შეიქმნა. ყირგიზეთის ბოლო ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დავიკავეთ. ქვეყნის ჩემპიონმა და პრიზიორებმა ესენგეს პირველობაზე უარი თქვეს და ბედნიერი ვარ, რომ ჩვენ მოგვეცა მოსკოვში თამაშის შანსი. გულშემატკივარი ნუ იფიქრებს, რომ თავს შევირცხვენთ. ყველას მედგარ წინააღმდეგობას გავუწევთ და ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**— როგორ აპირებთ ბრძოლას?**

— ხელწამოსაკრავი გუნდი არ გვყავს. ვარსკვლავებს არ ვწყვეტთ, მაგრამ მონდომება არავის გვაკლია. სხვათაგან ჩვენს მეგოლე, 21 წლის ფორვარდ ბოლდიგინს (ბოლო ჩემპიონატში მან 23 გოლი გაიტანა) და ახალგაზრდა ტიმოფეევს გამოვარჩევ. ეს ფეხბურთელი 18 წლისაა და უთუოდ დაამახსოვრებს თავს სელექციონერებს.

**— ქართველი კაცი როგორ მოხვდით ყირგიზეთში?**

— სამშობლოში ურიგო ფეხბურთელად არ ვითვლებოდი. უმაღლეს ლიგაში ზუგდიდის „ოდიშში" და სენაკის „ეგრისში" მითამაშია. 1995 წელს ახალგაზრდულ ყირგიზულ გუნდში, ქალაქ გულჩას „ალაიში" დამიძახეს. უყოყმანოდ წავედი და აგერ უკვე ექვსი წელია, ყირგიზეთში ვცხოვრობ. გულჩადან ოშის „დინამო ალაიში" გადავედი, იქაც არ შემირცხვენია თავი, შემდეგ კი ახლადჩამოყალიბებულ „ჟაშტიკ აკ ალტინში" მოვხვდი და დღემდე აქ ვარ. არც ვნანობ, ყირგიზეთს რომ შემოვრჩი. ექვსი წელიწადში უმაღლეს დონეზე 109 მატჩი ჩავატარე და 20 გოლი გავიტანე. ორჯერ ყირგიზეთის ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალოსანიც გავხდი.

**— მარტოს არ გაგჭირვებიათ უცხო მხარეში?**

— რატომ მარტო, გზა გაკვალული დამხვდა. ყირგიზეთის ჩემპიონატში პირველი მერცხლები ბადრი ყალიჩავა, ბესიკ წულაია, და გოჩა ხვიჩია იყვნენ. მე კი ამ ქვეყანაში მანუჩარ გოგუასთან ერთად ჩავედი. ჩვენ ერთად ვთამაშობდით და ერთ ოჯახად ვიყავით შეკრულნი. მერე ჯონი შალამბერიძე და მიხეილ ჯიშკარიანი დაგვემატნენ. ეს უკანასკნელი, თქვენ რომ რუსეთის ჩემპიონატიდან იცნობთ, იმაში არ შეგეშალოთ, უბრალოდ, მისი სეხნიაა. მათ გარდა ერთი სეზონი ყირგიზულ „დორდოეში" გიორგი თაბუკაშვილსაც უთამაშია. ასე რომ, მარტოობა სულაც არ მიგვრძნია.

**— ესენგეს ჩემპიონატში მეტოქედ ქართული „ტორპედო" გერგოთ...**

— სწორედ ამაშია მთელი ლაზათი. ქუთაისის „ტორპედო" ჩემი ბავშვობის საყვარელი გუნდია და მასთან შეხვედრას მოუთმენლად ველი. პატივისცემა და სიყვარული თავისთავად, მაგრამ ერთიორად ბედნიერი ვიქნები, თუ ქუთაისელებს დავამარცხებთ, ამ შემთხვევაში სპორტული ჟინი წყვეტს ყველაფერს და თანამემამულეებთან თავი არ უნდა შევირცხვინოთ.

ბოლოს კი დავძენთ, რომ ჯამბულ შონიას მიერ ჩამოთვლილი ქართველების ანგარიშზე („ჟაშტიკ აკ ალტინის" მოთამაშე მწვრთნელის ჩათვლით) ყირგიზულ ჩემპიონატებში 38 გატანილი გოლია. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ მათ შორის საუკეთესო მაჩვენებელი ჯონი შალამბერიძეს აქვს. მან 1996 წლის საფეხბურთო სეზონში გულჩას „ალაის" შემადგენლობაში (შონიას მხარდამხარ) 14 მატჩში 9 გოლი გაიტანა.

დღესდღეობით კი შალამბერიძე ქუთაისურ „ტორპედოში" ირიცხება და რამდენიმე დღეში ესენგეს ტურნირზე თანამემამულე და ყოფილი თანაკლუბელის პირისპირ წარდგება.

**ბაათა ძმანტალიანი**

**...ახალი სტადიონი, ახალი მწვრთნელი, სახელიც ახალი, თანაც ორი ერთის სანაცვლოდ. დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, სამტრედიელებს უმაღლეს ლიგაში გუნდი აღარ ჰყავთ. „იბერია" ისტორიას ჩაბარდა, ხოლო მის ნამუსრევზე „იბერია შევარდენი" აღმოცენდა. ოდინდელი ვერცხლი გაუფასურდა. კიდევ ერთი ვიცე-ჩემპიონი გაქრა ქართული საფეხბურთო რუკიდან, თუმც არ არის გამორიცხული, ერთის გაქრობამ მეორის აღდგენას დაუდოს სათავე. უკვე მოგახსენეთ, სამტრედიული „იბერია" და „შევარდენი" რომ გაერთიანდნენ. ეროვნულ ჩემპიონატში ისევ გამოჩნდა „შევარდენი 1906". ყოველი შემთხვევისთვის, ბაზა და სტადიონი ხომ მისი იქნება. „იბერია შევარდენი" ნავთლუღში საფეხბურთო სკოლა „შევარდენის" სტადიონზე ითამაშებს. „იბერია" ჯერ სამტრედიული იყო მერე ზესტაფონური თუ ხაშურული და უცებ მოგვევლინა თბილისურად. გუშინ „იბერია შევარდენის" მთავარ მწვრთნელ ნოდარ აკობიას შევხვდით და ახალი გუნდის სამომავლო გეგმებზე გავესაუბრეთ. დიდ ფეხბურთში დაბრუნებულ მწვრთნელს არ დაუმალავს, რომ საქმე ისევ ახალგაზრდა, დაუღვინებელ მოთამაშეებთან ექნება.**



„იბერია შევარდენის" მთავარი მწვრთნელი ნოდარ აკობია

# ვიღას ახსოვს ძველი ვერცხლი

— ყველაფერი 12 იანვარს გადაწყდა. გაერთიანების ინიციატივა ორივე მხარეს ეკუთვნოდა. „შევარდენს" აქვს სოლიდური ბაზა და სტადიონი, „იბერია" იყო გუნდი, რომელსაც ყველა ეს სიკეთე აკლდა.

**— გაერთიანებული გუნდის პრეზიდენტი ვინ იქნება?**

— რა თქმა უნდა, ნუგზარ ნიკოლაიშვილი. „იბერია" თავისი ქონებით შეუერთდა „შევარდენს". აქ მათ სავარჯიშოდ ყველა პირობა ექნებათ. თავად „იბერიას" კი ჰყავს საკუთარი ავტობუსი და სპორტული ინვენტარიც გააჩნია.

**— ბევრი ფეხბურთელი წავიდა შარშანდელი „იბერიიდან". გუნდის თავიდან აწყობა მოგიწევთ.**

— უკვე შევეგუე იმ აზრს, რომ „იბერია შევარდენი" ჩამოსაყალიბებელ-დასაკომპლექტებელი გუნდია. მართალია, „იბერია" რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა, მაგრამ ვიღაც ხომ დარჩა. ამათ საფეხბურთო სკოლა „შევარდენის" მოთამაშეებიც დაემატებიან და იმათაც სიამოვნებით გავუღებთ კარს, თავიანთ გუნდებში ძირითად შემადგენლობაში რომ ვერ ხვდებიან და საკუთარი სიძლიერის დამტკიცება სურთ. ასეთებს ყველა პირობას შევუქმნით და შანსს მივცემთ.

**— „იბერია შევარდენის" მიზნებზე რას გვეტყვით?**

— რეალური ვითარება ძალიან მძიმეა. გუნდს მხოლოდ ორი ქულა აქვს. ჩვენსას მაქსიმალურად ვეცდებით და ვნახოთ, რა გამოგვივა.

**— გუნდის გაწვრთნას ერთი კაცი ვერ აუვა. თანაშემწეები თუ შეიგულეთ?**

— ჯერჯერობით „იბერიას" მეორე მწვრთნელი თამაზ ოდიკაძე დამეხმარება. იქნებ მესამეც ვინმე შემოგვიერთდეს. ოდიკაძე ახლაც გუნდთან ერთადაა.

**— „იბერია შევარდენი" უკვე შეიკრიბა?**

— დიახ, ქვიშხეთში ვარჯიშობს. მეც შევხვდი გუნდს, გავესაუბრე. ამჟამად 20 ფეხბურთელი ემზადება. სულ ახალგაზრდები არიან, 1983-84-85 წლებში დაბადებულები.

**— თბილისში როდის გადმობარგდებიან?**

— 20 იანვრიდან „იბერია შევარდენი" აქ ივარჯიშებს. თბილისში ორ კვირას დავრჩებით და მერე ორი კვირით მალთაყვაში გავემგზავრებით შეკრებაზე. იქიდან დავბრუნდებით და ერთ კვირაში ჩემპიონატიც განახლდება.

**გამუკა ძმანტალიანი**

# შენგელია ბაკურიანში, გაბელიასთან

**გუშინ** სამთო-სათხილამურო კურორტზე გაემგზავრა თბილისის „მერანი". ავჭალელთა გუნდი ბაკურიანში თორმეტდღიან შეკრებას გაივლის და „მერანის" ახალი თავკაცი ოთარ გაბელიაც საქმეს შეუდგა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ექსტორპედოელი გიალო ჩხაიძე მის გუნდში ითამაშებს. მერანელთა შორის კიდევ ორი ახალწვეულია: ირაკლი მაღლაკელიძე და ირაკლი შენგელია.

27 წლის მაღლაკელიძეც ჩხაიძის დარად ყოფილი ტორპედოელია, თუმც მეთორმეტე ეროვნულიდან ფოთის „კოლხეთს" შეუერთდა, მაგრამ ზღვისპირელთა გუნდში ფეხი ვერ მოიკიდა.

20 წლის ირაკლი შენგელია კი დინამოელი გახლდათ, წინა ჩემპიონატში „თბილისის" ღირსებას იცავდა, შარშან ზაფხულში ოთარ ხიზანეიშვილთან ერთად მოსკოვის „სპარტაკს" მიაშურა, მაგრამ მერე უკან გამობრუნდა და რამდენიმე თვე უგუნდოდ იყო.

უკრაინიდან დაბრუნდა და გუნდს ბაკურიანში გაჰყვა ანდრეი მუხინი. მისი თანამემამულე მიკოლა პოდლესნი კი „მერანში" აღარ ითამაშებს. კლუბის ხელმძღვანელობა მოწადინებული იყო, კიდევ ერთი უკრაინელი მოეწვიათ, რაც ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

**დავით თავართქილაძე**



ირაკლი შენგელია

## ინგლისი

### XXIII ტური

**იფსვიჩი 2:0 ლესტერი**

1:0 სტიუარტი (80), 2:0 შოუკროფტი (90)
იფსვიჩი: რ. რაიტი, უილნისი, კლაპამი (როიზერი 90), მაკგრილი, ჰრეიდარსონი, ბრემბლი, მეგიელტონი, ჰოლანდი, შოუკროფტი, მ. სტიუარტი, ა. არმსტრონგი (ჯ. რაიტი 82)
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
ლესტერი: როისი, როუეტი, დავიდსონი, იმპი, მ. ელიოტი, გ. ჯოუნსი (გუნლაუგსონი 85), სევიჯი, აკინბი (კროსველი 62), ბენჯამინი (ჯილკრისტი 75), იზეტი, გაპი
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
გაფრთხილება: ბრემბლი, კროსველი
22 002 მაყურებელი

**არსენალი 1:1 ჩელსი**

1:0 პირესი (3), 1:1 ტერი (62)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, სტეპანოვსი, კეოუნი, სილვინიო, პირესი, ვიეირა, ლიუნგბერგი (ვივასი 87), პარლოუ, ვილტორდი, ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ჩელსი: კუდიჩინი, ლებეფი (ფერერი 46), დესაი, ჰარლი, ტერი, პოიეტი, უაიზი, დალა ბონა, იოკანოვიჩი (გრონკიაერი 46), ჰასელბაინკი, გუდიონსენი (ძოლა 77)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: დიქსონი, დალა ბონა, ჰარლი, დესაი
38 071 მაყურებელი

**ასტონ ვილა 0:3 ლივერპული**

0:1 მერფი (24), 0:2 ჯერარდი (32), 0:3 მერფი (53)
ასტონ ვილა: ჯეიმსი, ა. რაიტი, საუთგეიტი, ალფაი (ვასელი 47), სამუელი (ჰიცლსპერგერი 84), სტონტონი, ჟინოლა (მაკგრათი 46), ს. სტოუნი, ჰერი, დაბლინი, მერსონი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
ლივერპული: ვესტერველდი, ქეჩოსი, ბაბელი, კარაგერი, ჰიიპია, ჯერარდი (მაკალისტერი 88), მერფი, ჰამანი, ლიტმანენი (ბისკანი 71), ზმიცერი, ჰესკი (ოუენი 81)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: ალფაი, საუთგეიტი
41 366 მაყურებელი

**ბრედფორდი 0:3 მანჩესტერი**

0:1 შერინგემი (72), 0:2 გიგზი (75), 0:3 ჩედვიკი (87)
ბრედფორდი: გ. უოლში, მაკოლი, ჯეკობსი, აზერტონი, მოლენაარი, ობრაიენი, მაკინლი, ჯესი, უინდასი, რ. ბლეიქი (სონდერსი 66), უორდი
მწვრთნელი: ჯიმ ჯეფერისი
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ირვინი, სტამი (ვ. ბრაუნი 65), სილვესტრი, ფ. ნევილი (ჩედვიკი 65), ბექჰემი, როი კინი, გიგზი, სოლსკიაერი (ენდი კოული 76), შერინგემი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: მოლენაარი
20 551 მაყურებელი

**ევერტონი 0:0 ტოტენჰემი**

ევერტონი: მირე, უოტსონი, ვეირი (კლილენდი 9), ბოლი, ანსუორთი, ალექსანდერსონი (ტალი 78), გრავესენი, პემბრიჯი, ს. ჰიუზი, კ. კემბელი, მური (კადამარტერი 78)
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
ტოტენჰემი: სალივანი, პერი, იანგი, კინგი, კლემენსი, დოჰერთი, შერვუდი, ანდერტონი, ლეონარდსენი (ს. დევისი 64), რებროვი, კორსტენი (მაკივენი 63)
მწვრთნელი: ჯორჯ გრეჰი
გაფრთხილება: ჰიუზი
32 290 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 0:4 ლიდსი**

0:1 ბაკე (31), 0:2 ბოიერი (80), 0:3, 0:4 კინი (89, 90)
მანჩესტერ სიტი: ვივერი, ედჯილი, დანი, მორისონი (რაიტ-ფილიპსი 81), ჰაუი, გრენვილი (გრანტი 46), ტიატო, უიტლი, ჰაალანდი, გოტერი (დიკოვი 70), ვანჩოპე
მწვრთნელი: ჯო როილი
ლიდსი: პ. რობინსონი, მილსი, მატეო, რ. ფერდინანდი, რადებე, დაკური, ბაკე, ბოიერი, უილკოქსი, ვიდუკა, ა. სმიტი (რობი კინი 71)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: ჰაუი, ედჯილი, მორისონი, ტიატო, ჰაალანდი, ბაკე, დაკური, მილსი
34 288 მაყურებელი

**მიდლსბრო 4:0 დერბი ქაუნთი**

1:0 ბოკშიჩი (43პ), 2:0 ეჰიოგუ (60), 3:0 ბოკშიჩი (81), 4:0 რიკარდი (90პ)
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, ვიკერსი, ფესტა, კარამბეუ, ეჰიოგუ, ინსი, ონილი (გორდონი 61), ოკონი (მასტო 75), ბოკშიჩი (დინი 82), რიკარდი
მწვრთნელი: ტერი ვენეიბლზი
დერბი ქაუნთი: პოომი, დ. ჰიგელი, კარბონარი, მავენი, ჰიგინბოთემი (ლ. მორისი 75), დელაპი, ერანიო (ძინძლაძე 62), ბარლი, რიგოტი, დ. ბარტონი, კრისტი (შტრუპარი 56)
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
გაფრთხილება: ბარლი, რიგოტი, კარბონარი, მავენი
29 041 მაყურებელი

**ნიუკასლი 3:1 ქოვენთრი**

1:0 სპიდი (4), 2:0 ამეობი (58), 3:0 დაიერი (66), 3:1 გლასი (78ს.კ.)
ნიუკასლი: ჰარპერი, უ. ბარტონი, გომა, ა. ჰიუზი, ე. ქუინი, სოლანო, ბასედასი (გლასი 76), აკუნია, სპიდი, ამეობი, დაიერი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ქოვენთრი: ჰედმანი, ბ. ქუინი, ედვორთი, ბრინი, პ. უილიამსი, ტომპსონი, ტელფერი, კარსლი, ოსტიჩი, ალოიზი (ბოტროიდი 73), ბელამი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: კარსლი, ტომპსონი, ბელამი
50 159 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 0:0 ჩარლტონი**

საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, დოდი, ლუნდეკვამი, რიჩარდსი, ბრიჯი, ოკლი, მარსდენი (დრეიპერი 67), ტესემი, კაჩლულა, ბიტი, კ. დევისი (პეტრესკუ 75)
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
ჩარლტონი: კიელი, კიშიშევი, კონჩესკი, რუფუსი, ფიში, გ. სტიუარტი, იენსენი (სალაკო 89), ტოდი, პარკერი (კეიგი 83), ბარტლეტი (ლისბი 83), სვენსონი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
15 220 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 0:2 სანდერლენდი**

0:1 ვარგა (22), 0:2 ჰათჩისონი (68)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი (ფორესტი 46), ს. პირსი, უინტერბერნი, სონგი, ტიჰინენი (კამარა 74), ლომასი, ჯ. კოული, ტ. სინკლერი, ლამპარდი, დი კანიო, კანო
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
სანდერლენდი: სორენსენი, დ. უილიამსი, გრეი, ტომე, ვარგა, ჰათჩისონი, ს. შვარცი, რაე, მაკკენი, ნ. ქუინი (კილბეინი 81), ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: ლომასი, უინტერბერნი, პირსი, სონგი, ქუინი, ფილიპსი
26 014 მაყურებელი



REUTERS

იფსვიჩი — ლესტერი 2:0. მარკუს სტიუარტმა კვლავ გაიტანა და ბომბარდირებშიც დაწინაურდა

# არსენალი სალტეში

**სვენ გორან ერიკსონი** ლონდონში გაღმობარგდა, პირველი პრესკონფერენცია გამართა და შაბათ შუადღით, თანაშემწე ტორდ გრიპთან ერთად „აპტონ პარკს“ მიაშურა, სადაც „ვესტ ჰემი“ „სანდერლენდს“ მასპინძლობდა. ინგლისის ნაკრების შვედ მწვრთნელს სურდა საქმეში ენახა მისთვის საინტერესო ფეხბურთელები — ყრმა ლონდონელი ჯო კოული და ჩრდილოელი კევინ ფილიპსი.

ერიკსონის ბლოკნოტში ჩვენ ვერ ჩავიხედავთ, ეს კია, რომ კარგად გამართული „სანდერლენდი“ ადრევე დაწინაურდა სლოვაკ სტანისლავ ვარგას თავურით. ამის შემდეგ „ვესტ ჰემს“ ბურთი ეჭირა, უტევდა, მაგრამ სტუმრებს არაფერი შემლიათ, 68-ე წუთზე კი თამაში საბოლოოდ გარდატეხეს: დონ ჰათჩისონმა 30 მეტრიდან ჩააჭედა ჯარიმა.

ამ გამარჯვებით ის გამოვიდა, რომ „სანდერლენდი“ მეორე ადგილზე ავიდა. იმ დროს, როცა პიტერ რიდის გუნდი „ვესტ ჰემს“ ამარცხებდა, „ჰაიბერიზე“ ნამდვილი ომი იყო. იქაური მეთოფენი თამაშის მესამე წუთიდან 1:0-ს უგებდნენ „ჩელსის“ — რობერ პირესმა ორი მცველი მიმოყარა მარჯვენა ფრთაზე და ძალიან ლამაზი გოლი გაიტანა. „არსენალი“ მეტად სოლიდურად ირჯებოდა პირველ ტაიმში, მაგრამ შეხვედრის მეორე ნახევარში ბოლო ხანს შეჩვეული სენი გამოაჩინა — „ჩელსიმ“ ინიციატივა წაართვა, მწყობრად შეუტია და გოლსაც არ დაუგვიანია: დენის უაიზის ჩამოწოდებულ კუთხურზე კარისწინა ზედახორასა და კარის ხაზიდან ბურთის გამოტანაში ჩაბმულ მასპინძლებს ჯონ ტერიმ აჯობა და თავით გაათანაბრა ანგარიში. ეს იყო „ჩელსის“ საუკეთესო თამაში მას შემდეგ, რაც გუნდში კლაუდიო რანიერი მოვიდა. სტუმრებს ეგებ მოეგოთ კიდეც, მაგრამ მწყობრში დაბრუნებულმა დევიდ სიმენმა ორი ნაღდი გოლისგან იხსნა თავისიანები და ჰოლანდიელი ჯიმი ჰასელბაინკიც ამ ჯერზე უგოლოდ დაბრუნდა გასახდელში.

„არსენალი“ კონკურენტთა მტკიცე და საშიშ სალტეში მოექცა. ზემოდან „სანდერლენდი“ აწვება, ქვემოდან კი თამაშნაკლული „ლივერპული“ და უტეხი „იფსვიჩი“. პირველმა ბირმინგემში „ვილა“ გაანადგურა, დენი მერფიმ დუბლი შეასრულა და მოედანზეც საუკეთესო იყო. მეორეს კი ნამდვილი ომი ჰქონდა შინ, ასევე სამეულისთვის მებრძოლ „ლესტერთან“.

უხეირო პირველი ტაიმის შემდეგ „იფსვიჩმა“ საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვა სტუმრები და მოულოდნელი, ძველინგლისური კუთხურებითა და კროსებით მეოთხმოცე წუთამდე ბომბავდა სტუმართა მეკარე როისის კარს. ბოლოსდაბოლოს „ლესტერი“ გატყდა. ასე რომ არ ყოფილიყო, როისი ნაღდად „როლს როისით“ უნდა წაეყვანათ სახლში. მარკუს სტიუარტმა თავისი 14-ე სალიგო გოლი გაიტანა და კვლავ თავით, შეხვედრის ბოლოწუთს კი ლამაზი სამსვლიანი გათამაშება ასევე თავით დაასრულა ჯეიმს შოუკროფტმა. ერიქსონი ამ თამაშსაც ესწრებოდა, თუმცა, ჩვენ ჯერ არ ვიცით, რა წერია მის ბლოკნოტში.

ტერი ვენეიბლზის ხელში გამოღვიძებულმა და ჯერაც წაუგებელმა „მიდლსბრომ“ „დერბი ქაუნთის“ 4:0 მოუგო. მასპინძლებმა პირველი და ბოლო გოლები პენალტებით გაიტანეს და კარგ ხასიათზე ეგებებიან მომავალ ტურში „ლივერპულთან“ სტუმრობას.

როგორც იქნა, ფრთა გაშალა „ლიდსმა“ და „მეინ როუდზე“ მოსპო „სიტი“. სტუმართაგან გატანილი ოთხი გოლიდან სამი შეხვედრის ბოლო ათ წუთში გავიდა. აქედან ორი 90-ე წუთზე გაიტანა რობი კინმა. „ლიდსს“ აგვისტოს შემდეგ არ მოეგო გასვლითი თამაში და ბოლოსდაბოლოს მოახერხა.

ბრედფორდში კი ლიგის ბოლო გუნდი პირველს მასპინძლობდა. სამოცდათორმეტი წუთი ისე მიილია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ნაბიჯი არ აუჩქარებია და თითქოს სიარულით ეპყრობოდა გამარჯვებას. მასპინძელთა მოუღლელი დინ ვინდასი კი მოულოდნელი დარტყმებით უშლიდა ნერვებს ბარტეზს. კვანძი კი სწორედ 72-ე წუთზე გაიხსნა: ბრედფორდელთა მეკარე გარი უოლშმა მცველთაგან უკან დაბრუნებული ბურთი განზე გაიგდო, რათა მოწინააღმდეგის ნახევრისკენ დაერტყა, მაგრამ მოქნეული ფეხი ბურთს აიცილა და იქვე ჩასაფრებულმა ტედი შერინგემმა საჩუქარი გოლად ერთი შეხებით გარდასახა. მალევე რაიან გიგზმა მასპინძელთა მცველები ერთმანეთში გაბლანდა და ახლო კუთხეში გაუშვა დაბალი — ბურთი ძელს მოხვდა და ანგარიში 2:0 გახდა. სულ ბოლოს კი შეცვლაზე შემოსულმა ლუკ ჩედვიკმა დევიდ ბექჰემის გამჭოლი პასი მოიხმარა და მალე შეხვედრაც დასრულდა. და საერთოდ, ბექჰემი საუკეთესო იყო სტუმართა შორის.

**ირაკლი გამყრელიძე**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მანჩესტერი | 23 | 16 | 5 | 2 | 54:16 | 38 | 53 | 11 | 9 | 1 | 1 | 31:6 | 25 | 28 | 12 | 7 | 4 | 1 | 23:10 | 13 | 25 |
| 2 სანდერლენდი | 23 | 12 | 6 | 5 | 31:22 | 9 | 42 | 11 | 8 | 3 | 0 | 16:5 | 11 | 27 | 12 | 4 | 3 | 5 | 15:17 | -2 | 15 |
| 3 არსენალი | 23 | 11 | 7 | 5 | 39:23 | 16 | 40 | 12 | 9 | 3 | 0 | 31:8 | 23 | 30 | 11 | 2 | 4 | 5 | 8:15 | -7 | 10 |
| 4 იფსვიჩი | 23 | 12 | 4 | 7 | 35:26 | 9 | 40 | 12 | 6 | 4 | 2 | 19:10 | 9 | 22 | 11 | 6 | 0 | 5 | 16:16 | 0 | 18 |
| 5 ლივერპული | 22 | 12 | 3 | 7 | 42:26 | 16 | 39 | 11 | 9 | 1 | 1 | 25:8 | 17 | 28 | 11 | 3 | 2 | 6 | 17:18 | -1 | 11 |
| 6 ლესტერი | 22 | 10 | 5 | 7 | 24:25 | -1 | 35 | 11 | 6 | 3 | 2 | 16:12 | 4 | 21 | 11 | 4 | 2 | 5 | 8:13 | -5 | 14 |
| 7 ნიუკასლი | 23 | 10 | 4 | 9 | 28:31 | -3 | 34 | 12 | 7 | 2 | 3 | 18:12 | 6 | 23 | 11 | 3 | 2 | 6 | 10:19 | -9 | 11 |
| 8 ჩარლტონი | 23 | 9 | 5 | 9 | 31:36 | -5 | 32 | 11 | 7 | 3 | 1 | 18:7 | 11 | 24 | 12 | 2 | 2 | 8 | 13:29 | -16 | 8 |
| 9 ჩელსი | 22 | 8 | 7 | 7 | 39:28 | 11 | 31 | 11 | 8 | 2 | 1 | 29:10 | 19 | 26 | 11 | 0 | 5 | 6 | 10:18 | -8 | 5 |
| 10 ტოტენჰემი | 23 | 8 | 6 | 9 | 30:34 | -4 | 30 | 11 | 8 | 3 | 0 | 22:9 | 13 | 27 | 12 | 0 | 3 | 9 | 8:25 | -17 | 3 |
| 11 ვესტ ჰემი | 22 | 7 | 8 | 7 | 31:26 | 5 | 29 | 11 | 4 | 4 | 3 | 17:11 | 6 | 16 | 11 | 3 | 4 | 4 | 14:15 | -1 | 13 |
| 12 ლიდსი | 21 | 8 | 5 | 8 | 31:28 | 3 | 29 | 11 | 6 | 1 | 4 | 20:15 | 5 | 19 | 10 | 2 | 4 | 4 | 11:13 | -2 | 10 |
| 13 ასტონ ვილა | 21 | 7 | 8 | 6 | 23:22 | 1 | 29 | 10 | 4 | 4 | 2 | 14:10 | 4 | 16 | 11 | 3 | 4 | 4 | 9:12 | -3 | 13 |
| 14 საუთჰემპტონი | 23 | 7 | 7 | 9 | 28:34 | -6 | 28 | 12 | 6 | 2 | 4 | 18:15 | 3 | 20 | 11 | 1 | 5 | 5 | 10:19 | -9 | 8 |
| 15 მიდლსბრო | 23 | 5 | 8 | 10 | 27:30 | -3 | 23 | 12 | 3 | 4 | 5 | 14:16 | -2 | 13 | 11 | 2 | 4 | 5 | 13:14 | -1 | 10 |
| 16 ევერტონი | 22 | 6 | 5 | 11 | 21:33 | -12 | 23 | 11 | 3 | 4 | 4 | 13:14 | -1 | 13 | 11 | 3 | 1 | 7 | 8:19 | -11 | 10 |
| 17 დერბი ქაუნთი | 23 | 5 | 8 | 10 | 24:40 | -16 | 23 | 11 | 4 | 5 | 2 | 14:15 | -1 | 17 | 12 | 1 | 3 | 8 | 10:25 | -15 | 6 |
| 18 ქოვენთრი | 23 | 5 | 6 | 12 | 22:40 | -18 | 21 | 11 | 2 | 4 | 5 | 8:15 | -7 | 10 | 12 | 3 | 2 | 7 | 14:25 | -11 | 11 |
| 19 მანჩესტერ სიტი | 23 | 5 | 5 | 13 | 27:42 | -15 | 20 | 12 | 3 | 2 | 7 | 16:19 | -3 | 11 | 11 | 2 | 3 | 6 | 11:23 | -12 | 9 |
| 20 ბრედფორდი | 22 | 3 | 6 | 13 | 16:41 | -25 | 15 | 11 | 2 | 4 | 5 | 10:17 | -7 | 10 | 11 | 1 | 2 | 8 | 6:24 | -18 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მ. სტიუარტი (იფსვიჩი) | 14 |
| ანრი (არსენალი) | 13 |
| ვიდუკა (ლიდსი) | 12 |
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 12 |
| შერინგემი (მანჩესტერი) | 12 |

**XXIV ტური**

20 იანვარი
ჩელსი — იფსვიჩი
ქოვენთრი — ევერტონი
დერბი ქაუნთი — სიტი
ლიდსი — ნიუკასლი
ლესტერი — არსენალი
ლივერპული — მიდლსბრო
მანჩესტერი — ასტონ ვილა
ტოტენჰემი — საუთჰემპტონი

21 იანვარი
სანდერლენდი — ბრედფორდი

22 იანვარი
ჩარლტონი — ვესტ ჰემი

## პირველი დივიზიონი

### XXVIII ტური

**ვულვერჰემპტონი 1:1 პორტსმუთი**

1:0 სინტონი (20), 1:1 მილიორანცი (27)
ვულვერჰემპტონი: ოუქსი, მუსკატი, ლესკოტი, დენინგი, ნეილორი, ენდრიუსი (ემბლინი 70), რობინსონი, ოსბორნი, სინტონი (ძეცბაია 70), პრუდლოკი, ბრენჩი
მწვრთნელი: გარი ჯონსი
20 869 მაყურებელი

**ბარნსლი 2:3 ბირმინგემი**

0:1 მარსელო (16), 0:2 მ. ჯონსონი (40), 0:3 ლაზარიდისი (48), 1:3 დაიერი (75), 2:3 ჯოუნსი (86)

**ბლექბერნი 2:0 შეფილდ უენსდი**

1:0 ბენტი (30), 2:0 ტეილორი (40)

**ბოლტონი 2:0 ტრანმერი**

1:0 ჰანსენი (16), 2:0 ჰოლი (20ს.კ.)

**ფულემი 2:0 ნორვიჩი**

1:0 საჰა (39), 2:0 ბოა მორტე (90)

**ჯილინგემი 0:0 ბარნლი**

**გრიმსბი 1:3 ქრიუ**

0:1, 0:2 ჰალსი (29, 34), 1:2 დონოვანი (56), 1:3 რივერსი (62)

**ჰადერსფილდი 0:0 სტოკპორტი**

**ქუინზ პარკი 2:0 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 პლამერი (29), 2:0 კოუჯოუ (72)

**შეფილდ იუნ. 0:1 უოტფორდი**

0:1 მუნი (75)

**უიმბლდონი 3:1 პრესტონი**

1:0, 2:0 იუელი (15, 50), 2:1 რობინსონი (63), 3:1 უილიამსი (84)

**ნოტინგემი 0:3 კრისტალ პალასი**

0:1, 0:2 ფორსელი (19, 45), 0:3 ფრიდმანი (67)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 26 | 20 | 4 | 2 | 62:19 | 64 |
| ბოლტონი | 28 | 17 | 6 | 5 | 46:23 | 57 |
| ბლექბერნი | 28 | 16 | 7 | 5 | 45:28 | 55 |
| ვესტ ბრომვიჩი | 28 | 15 | 5 | 8 | 37:31 | 50 |
| უოტფორდი | 26 | 15 | 4 | 7 | 47:33 | 49 |
| ბირმინგემი | 26 | 14 | 5 | 7 | 37:27 | 47 |
| ნოტინგემი | 28 | 14 | 4 | 10 | 37:32 | 46 |
| შეფილდ იუნ. | 28 | 12 | 7 | 9 | 30:27 | 43 |
| პრესტონი | 28 | 12 | 5 | 11 | 35:39 | 41 |
| ბარნლი | 26 | 11 | 6 | 9 | 26:29 | 39 |
| უიმბლდონი | 27 | 10 | 8 | 9 | 41:31 | 38 |
| ვულვზი | 28 | 8 | 9 | 11 | 29:32 | 33 |
| ჯილინგემი | 27 | 7 | 10 | 10 | 35:37 | 31 |
| კრ. პალასი | 27 | 8 | 7 | 12 | 39:42 | 31 |
| პორტსმუთი | 27 | 6 | 13 | 8 | 27:31 | 31 |
| ბარნსლი | 28 | 8 | 6 | 14 | 29:39 | 30 |
| ნორვიჩი | 27 | 7 | 8 | 12 | 23:34 | 29 |
| სტოკპორტი | 28 | 6 | 10 | 12 | 37:47 | 28 |
| ჰადერსფილდი | 27 | 6 | 8 | 13 | 27:34 | 26 |
| გრიმსბი | 26 | 7 | 5 | 14 | 24:38 | 26 |
| ტრანმერი | 27 | 7 | 5 | 15 | 28:45 | 26 |
| უენსდი | 28 | 7 | 5 | 16 | 30:48 | 26 |
| ქუინზ პარკი | 26 | 4 | 13 | 9 | 29:39 | 25 |
| ქრიუ | 27 | 7 | 4 | 16 | 22:37 | 25 |

## მეორე დივიზიონი

27-ე ტური: როვერსი — ბრენტფორდი 0:0; კემბრიჯი — ნოთსი 2:2; მილუოლი — უიგანი 3:1; ნორთჰემპტონი — ბერი 2:1; ოლდემი — კოლჩესტერი 1:1; ოქსფორდი — უოლსოლი 2:1; როტერჰემი — ბრისტოლი 1:1; სტოკი — რედინგი 0:0; სუონსი — პიტერბრო 2:2; სუინდონი — პორტველი 0:1; რექსჰემი — ბორნმუთი 2:2; ლუთონი — უიკომბი 1:2

## მესამე დივიზიონი

27-ე ტური: მაკლსფილდი — მენსფილდი 0:1; ბარნეტი — იორკი 2:0; ბლექპული — ტორკი 5:0; კარლაილი — შრიუსბერი 1:0; ჩელტენემი — ჰარტლპული 1:2; ჩესტერფილდი — სკანთორპი 1:0; ექსეტერი — ლეიტონი 2:3; კიდერმინსტერი — ბრაიტონი 0:2; ლინკოლნი — ჰალი 2:0; პლიმუთი — დარლინგტონი 1:1; როჩდეილი — ჰალიფაქსი 0:1; საუთენდი — კარდიფი 1:1

## იტალია

### XIV ტური

**ინტერი 1:1 პარმა**

0:1 დი ვაიო (32), 1:1 ვიერი (70)
ინტერი: ფრეი, კორდობა, ბლანი, სიმიჩი, ბროკი, იუგოვიჩი, ფარინოსი, ხ. ძანეტი, ზეედორფი (რეკობა 57), ვიერი, ჰაქან შუქური
მწვრთნელი: მარკო ტარდელი
პარმა: ბუფონი, სარტორი, ტურამი, ფ. კანავარო, ბენარივო (ძუნიორი 70), ფუზერი, ლამუში, ალმეიდა (ბოგოსიანი 78), სერჟიუ კონსეისაუ, დი ვაიო, ამოროზო (მბომა 67)
მწვრთნელი: არიგო საკი
გაფრთხილება: ბლანი, ბროკი, ალმეიდა, ფუზერი
49 000 მაყურებელი

**ფიორენტინა 4:0 მილანი**

1:0 ნუნო გომეში (15), 2:0 კოისი (47), 3:0 კიეზა (72), 4:0 რუი კოშტა (86)
ფიორენტინა: ტოლდო, ტორიჩელი, რეპკა (ლასისი 82), პიერინი, ვანოლი, ბრეშანი, კოისი, დი ლივიო, რუი კოშტა, კიეზა (მარკო როსი 78), ნუნო გომეში (ლეანდრო 84)
მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი
მილანი: აბიატი, შამოტი, კოსტაკურტა, მალდინი, შელვეგი, პაბლო გარსია, ჯუნტი, ამბროზინი, კოკო (სერჯინიო 60), ბირჰოფი (ხოსე მარი 69), შევჩენკო (კომანდინი 77)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: რეპკა, შამოტი
32 000 მაყურებელი

**უდინეზე 3:4 ლაციო**

0:1 ძამბონი (4ს.კ.), 0:2 კრესპო (35პ), 0:3 სალასი (46), 1:3 ფიორე (48), 1:4 კრესპო (52), 2:4 მარჯოტა (65), 3:4 სოსა (85)
უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, სოტილი, ძამბონი, დიასი (მარჯოტა 23), ფიორე, ჯანიკედა, ვალემი (ალბერტო 41), გაარდე (მიკოლუჩი 74), იორგენსენი, სოსა
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
ლაციო: მარკეჯანი, პანკარო, ნესტა, ფერნანდუ კოუტუ, ფავალი, პობორსკი (ლომბარდო 90), დ. ბაჯო (ბარონიო 58), სიმეონე, ნედვედი, კრესპო, სალასი (რავანელი 65)
მწვრთნელი: დინო ძოფი
გაფრთხილება: ჯანიკედა, სოტილი, რავანელი, მარკეჯანი
გაძევება: ბერტოტო (34)
19 000 მაყურებელი

**ბრეშა 1:0 პერუჯა**

1:0 ილანა (20)
ბრეშა: სრნიჩეკი, პეტრუცი, კალორი, ბონერა, მასიმილიანო ესპოზიტო, ა. ფილიპინი, ბიზოლი, ილანა (კორია 77), ბაჯინი, თურქილმაზი, უბნერი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
პერუჯა: მაცანტინი, დი ლორეტო, მატერაცი, რივალტა, ზე მარია (ანი 82), ლივერანი, ჯოვანი ტედესკო (ბლაზი 37), ბაიოკო, პიერი, ტატი (გორეტი 43), ვრიზასი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: ბლაზი, პეტრუცი, რივალტა
გაძევება: ბაიოკო (38), ლივერანი (40)
10 000 მაყურებელი

**რომა 1:1 ბარი**

0:1 მაცარელი (69), 1:1 ტოტი (76პ)
რომა: ლუპატელი, ძაგო, სამუელი, ალდაირი, გიგუ (ძებინა 55), ტომაზი, ნაკატა, კანდელა, ტოტი, მონტელა, დელვეკიო
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ბარი: ჟილე, ნექროიზი, მაცარელი, ინოჩენტი, ბელავისტა, დელ გროსო (სიბილანო 71), მარკიჩი, მ. მარკოლინი, მადსენი (ოსმანოვსკი 56), ენინაია (კოლაუტო 80), კასანო
მწვრთნელი: ეუჯენიო ფასკეტი
გაფრთხილება: დელ გროსო, ბელავისტა, ინოჩენტი, ჟილე
გაძევება: ბელავისტა (89)
58 000 მაყურებელი

**რეჯინა 1:0 ატალანტა**

1:0 დიონიჯი (22)
რეჯინა: ტაიბი, სტოვინი, ვარგასი, მეცანო, ვოკარი, მამედე, ბრევი, კოცა (რ. ვერონი 73), მორაბიტო, მარაზინა (ბოგდანი 73), დიონიჯი (და კოშტა 73)
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
ატალანტა: პელიცოლი, სივილია, კარერა, პაგანინი, ბელინი (ნაპი 85), კ. ძენონი (პინარდი 73), ბერეტა, ზაური, დონი, ვენტოლა, განცი (როსინი 59)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
გაფრთხილება: ბერეტა, მამედე, ბრევი, ვენტოლა
23 500 მაყურებელი

**იუვენტუსი 1:0 ბოლონია**

1:0 ტრეზეგე (12)
ხულიო კრუზმა ვერ გაიტანა პენალტი (81, ააცილა)
იუვენტუსი: ვან დერ სარი, პარამატი (ტუდორი 76), იულიანო, მონტერო, პესოტო, ძამბროტა, ონილი, დავიდსი (ბირინდელი 89), ზიდანი, ფ. ინძაგი (კოვაჩევიჩი 80), ტრეზეგე
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, პადალინო, კასტელინი, ბრიოსკი, მარესკა (ოლივე 55), პაჩენტინი, ლიმა, ვოლპე (ოლივეირა 65), ლოკატელი (ჩიპრიანი 77), ხულიო კრუზი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
30 000 მაყურებელი

**ლეჩე 3:1 ვიჩენცა**

1:0, 2:0 ვუგრინეცი (33, 36პ), 3:0 ოსორიო (70), 3:1 კომოტო (78)
ლეჩე: კიმენტი, ჟუარესი, ვიალი, სავინო, ბალერი (ბედინი 77), კონტიკიო, ჯორჯეტი, ტონეტო, კოლონელო (მატეო 90), ოსორიო (პელიკორი 92), ვუგრინეცი
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
ვიჩენცა: სტერკელე, ტომასი, მარკო აურელიო, დიკარა, მაურიციო როსი (მაჯიო 75), ფირმანი, ბერნარდინი, კოვარი (კომოტო 61), დალ კანტო (კ. ესპოზიტო 71), ძაული, ტონი
მწვრთნელი: ედუარდო რეია
გაფრთხილება: კოვარი, დალ კანტო, ფირმანი, ძაული
გაძევება: ტომასი (35)
12 000 მაყურებელი

**ვერონა 2:1 ნაპოლი**

0:1 ბელუჩი (77), 1:1 მუტუ (84), 2:1 ადაილტონი (89)
ვერონა: ფერონი, ოდო, ლაურსენი, აპოლონი, ცვიტანოვიჩი, კასეტი, იტალიანო, კოლუჩი, მელისი (ადაილტონი 81), ბონაცოლი, ჯილარდინო (მუტუ 70)
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
ნაპოლი: მანჩინი, ბალდინი, კიროგა, ტროიზე, საბერი, პეკია (ფრეზი 81), მაგონი (სესა 90), მატუზალემი, ბაჩინი, ნ. ამორუზო, ბელუჩი (ჯუზეპე ტედესკო 78)
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
გაფრთხილება: კასეტი, ტროიზე, ბაჩინი, მაგონი
გაძევება: კოლუჩი (87), მუტუ (90), მატუზალემი (90)
17 000 მაყურებელი

# ბოლოს და ბოლოს იტალიაა

**ლიდერს,** ნაქებს, ლამის უკვე ჩემპიონად გამოცხადებულს და სხვადასხვა ეპითეტებით შემკულ „რომას“ საკუთარ კედლებში „ბარისთან“ ერთადერთი ქულის მოსაპოვებლად თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე პენალტი დასჭირდა, რომელიც ფრანჩესკო ტოტიმ დაარტყა.

მაგრამ, კაცმა რომ თქვას, განა რომაელებს შიგადაშიგ ვერმოგების უფლება არ უნდა დავუტოვოთ? ბოლოს და ბოლოს, მათი უპირატესობა მართალია შეიკვეცა, მაგრამ ექვს ქულამდე. ეს კი მაინც კარგი უპირატესობაა. და, გარდა ამისა: ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ იტალიის პირველობას მიმოვიხილავთ, სადაც, უმეტესწილად, ჩემპიონის ვინაობა ბოლო ტურებში, ერთ-ორ ქულაზე დავაში ირკვევა ხოლმე.

აი, ახლაც, „რომამ“ ვერ მოიგო და ხალხმა ხელად „იუვენტუსისკენ“ გაიხედა, რადგან ტურინელებმა შინ, ერთობ თანაბარ და დაძაბულ ბრძოლაში „ბოლონია“ დაამარცხეს — 1:0.

ჩემპიონმა „ლაციომ“, მოგეხსენებათ, ინგლისური ფიქრებით გატაცებული თავკაცი სვენ გორან ერიკსონი გაუშვა და მის სკამზე თავისი ყოფილი მწვრთნელი და პრეზიდენტი დინო ძოფი დასვა. ძოფის დაბრუნება იღბლიანი გამოდგა — „ლაციომ“ უდინეში 4:3 მოიგო, თუმც მასპინძლებს, რომლებიც მთელი 55 წუთის განმავლობაში უმცირესობაში თამაშობდნენ, შინ ქულის დატოვება ნამდვილად შეეძლოთ.

14 წლის განშორების შემდეგ თავის ოდინდელ გუნდს „პარმას“ დაუბრუნდა არიგო საკი, რომლის ხელახალი დებიუტი „სან სიროზე“ „ინტერთან“ შეხვედრაში შედგა და 1:1 დასრულდა.

და კიდევ „ფიორენტინამ“ „მილანს“ 4:0 მოუგო...

დავუბრუნდეთ რომის ოლიმპიურ სტადიონს, სადაც „რომას“ ამ სეზონში ყველა მეტოქე დამარცხებული ჰყავდა, „ბარის“ კი სტუმრად ერთხელაც ვერ მოეგო და ბუნებრივია, ხალხი ახლაც მასპინძელთა გამარჯვებას ელოდა. მაგრამ 69-ე წუთამდე უგოლო შეხვედრის მიმდინარეობა ბარელმა ჯუზეპე მაცარელიმ შეცვალა — მისი საჯარიმო დარტყმა ბურთის კრისტიანო ლუპატელისგან მარჯვენა ძელთან კარში შებზრიალებით დასრულდა. შეშფოთებულ 60 ათას გულშემატკივარს ექვს წუთში ტოტიმ, უფრო სწორად კი „ბარის“ არგენტინელმა ნახევარმცველმა დიეგო მარკიჩმა უშველა — მარკიჩმა ტოტი საკუთარ საჯარიმოში წააქცია და რომაელმა ფორვარდმა თავად დაარტყა თერთმეტი მეტრიდან. აღსანიშნავია, რომ სტუმრებმა შეხვედრის ბოლო წუთი ათი კაცით ითამაშეს — მსაჯმა ანტონიო ბელავისტას მეორე ყვითელი ბარათი აჩვენა.

ტურინში კი თამაშის მე-11 წუთზე ფრანგმა დავიდ ტრეზეგემ „იუვენტუსი“ თავურით დააწინაურა. შემდგომ, მისმა მეწყვილემ თავდასხმაში, ფილიპო ინძაგიმ ძელს გაარტყა ბურთი, ხოლო ბოლოსკენ, საფინალო სასტვენამდე 13 წუთით ადრე, მსაჯმა ჩათვალა, რომ მასპინძელმა მიკელე პარამატიმ საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და „ბოლონიას“ პენალტით ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა, მაგრამ ხულიო კრუზმა ედვინ ვან დერ სარს ვერ გაუტანა. „იუვენტუსის“ ჰოლანდიელმა გოლკიპერმა ძველ არგენტინელ ნაცნობს — ჯერ კიდევ ჰოლანდიის ჩემპიონატიდან — დარტყმული აუტო და ბურთი ხარიხის მიღმა გადააგდო.

„ყოველთვის ვამბობდი, რომ მთავარი საფრთხე „იუვენტუსისგან“ მოდის — განაცხადა XIV ტურის შეფასებისას „რომას“ მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ — გარდა ამისა, დიდებული გუნდი გახლავთ „ფიორენტინაც“. მართალია, ერთი ხნის წინ ფლორენციელები დავამარცხეთ, მაგრამ მას მერე მათ მეტად დახვეწეს თამაში. რაც შეეხება ჩვენს ამბავს, უნდა ვაღიარო, რომ „ბარიმ“ უკეთ ითამაშა და გამარჯვებაც შეეძლო, ჩვენ კი ჩვეული ფეხბურთი ვერ ვაჩვენეთ, ხოლო გაშვებულმა გოლმა ბევრი რამ უნდა გვასწავლოს“.

...დინო ძოფს, მოგეხსენებათ, დაცვის მოყვარული კაცის სახელი აქვს გავარდნილი, მაგრამ დახეთ უდინეში რა მოხდა — მისმა გუნდმა ოთხი გოლი შეაგდო. სხვათა შორის, უდინე ის ქალაქია, სადაც ძოფმა ფეხბურთელის კარიერა დაიწყო.

თავიდან ყველაფერი რომაელთა სასარგებლოდ აეწყო: მასპინძლებმა ერთი გოლი საკუთარ კარში შეაგდეს, ხოლო მეორე ერნან კრესპომ გაუტანათ. კრესპოს გოლი პენალტით გავიდა, პენალტი კი იმიტომ დაინიშნა, რომ ბერტოტომ საჯარიმოში ბურთს ხელი ჰკიდა. „ლაციოს“ სასარგებლო ამბავი გახლდათ ისიც, რომ ამ ხელბურთისთვის ბერტოტო მოედნიდან გააძევეს.

შესვენების შემდეგ მარსელო სალასმა სტუმრები კიდევ ერთი გოლით დააწინაურა, მაგრამ „უდინეზემ“ არც აქ გამოაცხადა კაპიტულაცია.

სტეფანო ფიორემ ჯერ ერთი ბურთით შეამცირა სხვაობა, რომელიც კრესპომ მალე ისევ გაზარდა, მაგრამ მასიმო მარჯოტამ და რობერტო კარლოს სოსამ „ლაციოს“ კიდევ ორჯერ შეუგდეს. მეტიც, მსაჯის დამატებულ წუთებში „უდინეზეს“ სულაც ანგარიშის გათანაბრება შეეძლო...

**ბაბუნა ძიძია**

REUTERS ტურინიდან




იუვენტუსი — ბოლონია 1:0. ტურინელი დავიდ ტრეზეგეს ეს თავური სტუმართა კარში ერთადერთი გოლით დასრულდა

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 რომა | 14 | 10 | 3 | 1 | 26:9 | 17 | 33 | 7 | 5 | 2 | 0 | 11:4 | 7 | 17 | 7 | 5 | 1 | 1 | 15:5 | 10 | 16 |
| 2 იუვენტუსი | 14 | 7 | 6 | 1 | 23:13 | 10 | 27 | 7 | 4 | 2 | 1 | 11:7 | 4 | 14 | 7 | 3 | 4 | 0 | 12:6 | 6 | 13 |
| 3 ფიორენტინა | 14 | 6 | 6 | 2 | 29:19 | 10 | 24 | 7 | 5 | 1 | 1 | 18:9 | 9 | 16 | 7 | 1 | 5 | 1 | 11:10 | 1 | 8 |
| 4 ლაციო | 14 | 7 | 3 | 4 | 24:17 | 7 | 24 | 7 | 4 | 1 | 2 | 11:5 | 6 | 13 | 7 | 3 | 2 | 2 | 13:12 | 1 | 11 |
| 5 ატალანტა | 14 | 6 | 4 | 4 | 16:12 | 4 | 22 | 7 | 3 | 2 | 2 | 8:5 | 3 | 11 | 7 | 3 | 2 | 2 | 8:7 | 1 | 11 |
| 6 მილანი | 14 | 5 | 5 | 4 | 22:21 | 1 | 20 | 7 | 3 | 3 | 1 | 15:10 | 5 | 12 | 7 | 2 | 2 | 3 | 7:11 | -4 | 8 |
| 7 ბოლონია | 14 | 6 | 2 | 6 | 18:17 | 1 | 20 | 7 | 4 | 2 | 1 | 9:5 | 4 | 14 | 7 | 2 | 0 | 5 | 9:12 | -3 | 6 |
| 8 უდინეზე | 14 | 6 | 1 | 7 | 25:22 | 3 | 19 | 8 | 5 | 0 | 3 | 19:11 | 8 | 15 | 6 | 1 | 1 | 4 | 6:11 | -5 | 4 |
| 9 პერუჯა | 14 | 5 | 4 | 5 | 20:19 | 1 | 19 | 7 | 3 | 3 | 1 | 13:8 | 5 | 12 | 7 | 2 | 1 | 4 | 7:11 | -4 | 7 |
| 10 პარმა | 14 | 5 | 4 | 5 | 16:15 | 1 | 19 | 7 | 4 | 1 | 2 | 10:6 | 4 | 13 | 7 | 1 | 3 | 3 | 6:9 | -3 | 6 |
| 11 ლეჩე | 14 | 5 | 4 | 5 | 18:23 | -5 | 19 | 7 | 3 | 2 | 2 | 12:13 | -1 | 11 | 7 | 2 | 2 | 3 | 6:10 | -4 | 8 |
| 12 ინტერი | 14 | 4 | 6 | 4 | 16:17 | -1 | 18 | 7 | 3 | 3 | 1 | 10:6 | 4 | 12 | 7 | 1 | 3 | 3 | 6:11 | -5 | 6 |
| 13 ვერონა | 14 | 3 | 6 | 5 | 18:25 | -7 | 15 | 7 | 3 | 3 | 1 | 11:10 | 1 | 12 | 7 | 0 | 3 | 4 | 7:15 | -8 | 3 |
| 14 ვიჩენცა | 14 | 4 | 3 | 7 | 15:22 | -7 | 15 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:8 | -2 | 8 | 8 | 2 | 1 | 5 | 9:14 | -5 | 7 |
| 15 ნაპოლი | 14 | 3 | 5 | 6 | 19:23 | -4 | 14 | 7 | 2 | 2 | 3 | 12:13 | -1 | 8 | 7 | 1 | 3 | 3 | 7:10 | -3 | 6 |
| 16 რეჯინა | 14 | 4 | 1 | 9 | 11:25 | -14 | 13 | 7 | 3 | 1 | 3 | 5:8 | -3 | 10 | 7 | 1 | 0 | 6 | 6:17 | -11 | 3 |
| 17 ბრეშა | 14 | 2 | 6 | 6 | 14:19 | -5 | 12 | 7 | 1 | 5 | 1 | 7:8 | -1 | 8 | 7 | 1 | 1 | 5 | 7:11 | -4 | 4 |
| 18 ბარი | 14 | 2 | 3 | 9 | 11:23 | -12 | 9 | 7 | 2 | 1 | 4 | 7:10 | -3 | 7 | 7 | 0 | 2 | 5 | 4:13 | -9 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 11 |
| ბატისტუტა (რომა) | 10 |
| სოსა (უდინეზე) | 8 |
| კიეზა (ფიორენტინა) | 8 |
| ლუკარელი (ლეჩე) | 7 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 7 |
| ტოტი (რომა) | 7 |

### XV ტური

20 იანვარი
ბოლონია — ვერონა
ლაციო — ინტერი
21 იანვარი
ატალანტა — ფიორენტინა
ბარი — რეჯინა
მილანი — რომა
ნაპოლი — უდინეზე
პარმა — ლეჩე
პერუჯა — იუვენტუსი
ვიჩენცა — ბრეშა

## სერია B

### XVIII ტური

**ტერნანა 1:0 კალიარი**
1:0 რიპა (81)

**კოზენცა 0:2 ტორინო**
0:1 შოკი (4), 0:2 მასპერო (90)

**ჯენოა 0:0 ტრევიზო**

**მონცა 0:4 სამპდორია**
0:1 ვერგასოლა (34), 0:2, 0:3 ფლაკი (43პ, 72), 0:4 ვაზარი (77)

**პესკარა 1:2 კროტონე**
0:1 დეფლორიო (34), 1:1 ჯამბოლო (37), 1:2 დეფლორიო (89პ)

**პიაჩენცა 1:0 პისტოიეზე**
1:0 კაჩა (90)

**სალერნიტანა 1:1 კიევო**
1:0 დი მიკელე (1), 1:1 კორადი (60)

**სიენა 1:1 ჩიტადელა**
1:0 კამპოლონი (10), 1:1 სტურბა (49)

**ვენეცია 0:0 რავენა**

**ანკონა — ემპოლი**
წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიევო | 18 | 9 | 5 | 4 | 25:16 | 32 |
| პიაჩენცა | 18 | 9 | 4 | 5 | 21:14 | 31 |
| ვენეცია | 18 | 7 | 9 | 2 | 26:20 | 30 |
| ტერნანა | 18 | 8 | 6 | 4 | 25:19 | 30 |
| სამპდორია | 18 | 7 | 8 | 3 | 25:16 | 29 |
| კოზენცა | 18 | 8 | 5 | 5 | 21:17 | 29 |
| კალიარი | 18 | 7 | 7 | 4 | 28:17 | 28 |
| კროტონე | 18 | 8 | 4 | 6 | 22:22 | 28 |
| ტორინო | 18 | 8 | 4 | 6 | 21:21 | 28 |
| სიენა | 18 | 6 | 8 | 4 | 26:22 | 26 |
| ანკონა | 17 | 7 | 5 | 5 | 21:17 | 26 |
| ემპოლი | 17 | 7 | 3 | 7 | 19:21 | 24 |
| სალერნიტანა | 18 | 5 | 6 | 7 | 19:19 | 21 |
| ჩიტადელა | 18 | 4 | 9 | 5 | 22:25 | 21 |
| ჯენოა | 18 | 4 | 8 | 6 | 19:20 | 20 |
| ტრევიზო | 18 | 4 | 8 | 6 | 18:22 | 20 |
| პისტოიეზე | 18 | 4 | 5 | 9 | 19:24 | 17 |
| რავენა | 18 | 2 | 9 | 7 | 15:27 | 15 |
| მონცა | 18 | 3 | 2 | 13 | 17:38 | 11 |
| პესკარა | 18 | 1 | 7 | 10 | 14:27 | 10 |

## სერია C1/A

მე-18 ტური: ალძანო — ალბინოლეფე 1:2; არეცო — პიზა 2:0; ჩეზენა — ვარეზე 0:0; კომო — კარარეზე 1:0; ლივორნო — ალესანდრია 2:0; ლუკეზე — ბრეშელო 2:2; რეჯანა — ლეკო 1:0; სპალ — მოდენა 1:0; სპეცია — ლუმეცანე 1:0

## სერია C1/B

მე-18 ტური: ფ. ანდრია — ატლეტიკო 0:1; პალერმო — დი სანგრო 1:0; აველინო — ფერმანა 1:1; სავოია — ჯულიანოვა 0:0; ბენევენტო — აკილა 2:1; ტორესი — ლოდიჯანი 1:1; ასკოლი — ნოჩერინა 2:0; კატანია — პეზარო 2:1; მესინა — ვიტერბეზე 2:2

# საჩუქრები ფიგუს ხალხისგან, რეალს დეპორტივოსგან



ლუიშ ფიგუს ოქროს ბურთი „ფრანს ფუტბოლის" დირექტორმა ჟერარ ერნომ (მარცხნივ) და ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა გადასცეს

## ესპანეთი

XVIII ტური

**სოსიედადი 0:2 ბილბაო**

0:1, 0:2 ეჩებერია (37, 79)
სოსიედადი: ალბერტო, ლოპეს რეკარტე, პიკაბეა, ლორენი (ხაბი ალონსო 85), ფუენტესი, ტაიფუნი, ხაურეგი, ხოხლოვი, დე პედრო, იანკაუსკასი (ლორენტე 87), იდიაკესი (დე პაულა 57)
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
ბილბაო: ლაფუენტე, ი. ლარაინსარი, ლაკრუსი, ა. ლარასაბალი, ფელიპე ორბაისი, ტიკო (იესტე 67), ოსკარ ვალესი, ხავი გონსალესი (დელ პორნო 75), ურსაისი, ხ. ეჩებერია
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩი როხო
გაფრთხილება: ლოპეს რეკარტე, იესტე, დე პაულა, ლაფუენტე
30 000 მაყურებელი

**რეალი 4:0 ოვიედო**

1:0 ფიგუ (15), 2:0 მორიენტესი (55), 3:0 მუნიტისი (69), 4:0 მაკმანამანი (87)
რეალი: კასილიასი, კარანკა, იერო, რობერტო კარლოსი, მაკელელე, ჯერემი, ელგერა, სავიო (მაკმანამანი 64), ფიგუ (გუტი 77), მორიენტესი (მუნიტისი 64), რაული
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ოვიედო: ესტებანი, მარტინოვიჩი (პაუნოვიჩი 55), ბორისი, დანჟუ, ონოპკო, ი. ტომიჩი, კუიტა, ივან ანია (რეიესი 66), ამიევა, ოლი (ივო 75), რუბენი
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაფრთხილება: კუიტა, ონოპკო, კარანკა, ფიგუ, ელგერა, დანჟუ
61 164 მაყურებელი

**მალიორკა 4:3 ალავესი**

1:0 მარკოსი (27), 1:1 ტომიჩი (61), 2:1, 3:1 იბაგასა (68, 80), 4:1 ნოვო (82), 4:2, 4:3 ხავი მორენო (87, 89)
მალიორკა: ლეო ფრანკო, ნადალი, ოლაიზოლა, ფერნანდო ნინიო, მიგელ სოლერი, მარკოსი, ენგონგა (ჩიჩი სოლერი 67), სტანკოვიჩი (არმანდო 81), იბაგასა, ლუკე (ნოვო 54), ეტოო
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
ალავესი: ერერა, ჟელი, ტელიესი, კარმონა, კონტრა, ჟ. ტომიჩი (ივან ალონსო 71), ასტუდილიო, პაბლო, კრუიფი, მაგნო (დიოლონგა 72), ხავი მორენო
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: მაგნო
15 000 მაყურებელი

**ნუმანსია 0:2 რაიო ვალეკანო**

0:1 პოშნერი (4), 0:2 სემბრანოსი (80)
ნუმანსია: ნუნიესი, კლავერო, გუსტავო, მუნისი, ხაუმე (პირი 59), ხოსე მანუელი, მარინი, კაკო მორანი, ოხედა, ბარბუ (დელგადო 74), ინიაკი
მწვრთნელი: მარიანო გარსია რემონი
რაიო ვალეკანო: კელერი, ბალესტეროსი, დე კინტანა, მინგო, ალკასარი, კევედო, სეტვალსი, პელდერი, პოშნერი (მაურო 82), ბოლიჩი (სემბრანოსი 53), ბოლო (გლაუჩიო 90)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: ოხედა, მარინი, ხაუმე, მუნისი
12 000 მაყურებელი

**სარაგოსა 4:2 ოსასუნა**

1:0 სეზარი (8), 2:0 ხოსე იგნასიო (16), 3:0 ხუანელე (23), 3:1 ალფრედო (30), 3:2 ივან როსადო (34), 4:2 ქსანაიდერი (65პ)
სარაგოსა: ხუანმი, რებოსიო, ლანა, კუარტერო, სეზარი, აკუნია, ხოსე იგნასიო, მარტინ ველისკა, ქსანაიდერი, მონტენეგრო (გარიტანო 73), ხუანელე (ჟამელი 73)
მწვრთნელი: ლუის კოსტა
ოსასუნა: ნუნო, ვიდაკოვიჩი, ბიტორ ოკიო, მატეო, იანგუსი, ლორენსი, ლეკუმბერი (ანხელ ლუისი 73), ალფრედო, ალექსი (განკედო 55), არმენტანო (საბინო 55), ივან როსადო
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: სეზარი, ლეკუმბერი, ლორენსი, ქსანაიდერი, ხუანელე, ლანა
22 000 მაყურებელი

**ბარსელონა 3:1 ვალიადოლიდი**

1:0 კლუივერტი (51), 1:1 კამინერო (55), 2:1 გვარდიოლა (89), 3:1 რივალდო (90)
ბარსელონა: რეინა, ფ. დე ბური, აბელარდო, გაბრი, ოვერმარსი, კოკუ, გვარდიოლა, პეტი (რაიციგერი 46), სიმაო (ხერარდი 69), კლუივერტი, რივალდო
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
ვალიადოლიდი: ბიზარი, მარკოსი, პაინცე, გარსია კალვო, ტორეს გომესი, ანტონიო ლოპესი, ფერნანდო (ფერნანდო სალესი 66), ხესუსი, ეუსებიო, კამინერო (რიკეტი 83), პაჩონი (ტურიელი 90)
მწვრთნელი: ფრანსისკო ფერარო
გაფრთხილება: პეტი, ხესუსი, კლუივერტი, აბელარდო, გვარდიოლა, რიკეტი, ტორეს გომესი, ეუსებიო
გაძევება: პეტი (45), აბელარდო (45)
35 000 მაყურებელი

**ვილიარეალი 2:0 სელტა**

1:0 უნაი (33), 2:0 მოიზესი (66)
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, კიკე ალვარესი, არუაბარენა, უნაი, ხავი როკა, ამორი (ხაიმე 88), კანია (ხავი გარსია 72), კალება, ვიქტორი, ხორხე ლოპესი, მოიზესი (კრაიოვიანუ 81)
მწვრთნელი: ვიქტორ მანრიკე
სელტა: კავალიერო, ბერიზო, ხუანფრანი, კასერესი, ველასკო, ედუ, მოსტოვოი, კარპინი (მაკკარტი 75), ჯოვანელა, კატანია (დორივა 75), გუსტავო ლოპესი (ვაგნერი 46)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: ხავი როკა, ვიქტორი, ხუანფრანი, ველასკო, ამორი, ხორხე ლოპესი, დორივა, გუსტავო ლოპესი, უნაი
16 500 მაყურებელი

**ლას პალმასი 1:0 ესპანიოლი**

1:0 ელოი (27)
ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, ალვარო, პაკუი, შურერი, ედუ ალონსო, იარნი (ანხელი 46), სემვისი, ხოსიკო, პაბლო ლაგო (ხორხე 78), ელოი, ორლანდო (გუდიონსონი 82)
მწვრთნელი: სერჯიო კრესიჩი
ესპანიოლი: მორა, პოჩეტინიო, ტოლედო, როტჩენი, კრისტობალი, მორალესი, გალკა, სერხიო, სერანო (აკინორი ნიშიზავა 73), ივან დიასი, ტამუდო
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
გაფრთხილება: სემვისი, პაკუი
18 000 მაყურებელი

**რასინგი 0:1 მალაგა**

0:1 კანაბალი (11)
რასინგი: ლემენსი, ხუანმა, ჩემა, მელბერგი (ესტევესი 80), არსენო, მაცონი, ამავისკა, კოლსა, მორანი (მინედა 62), ვივარ დორადო, ესპინია (პრესიადო 72)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
მალაგა: კონტრერასი, დ. ლარაინსარი, ველკარსე, როტეტა, როხასი, დე ლოს სანტოსი, რუფეტე, მოვილია (ბრავო 73), ისნატა (ზარატე 57), დელი ვალდესი, კანაბალი (ედგარი 46)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: ჩემა, მაცონი, როტეტა, დე ლოს სანტოსი, ესპინია, ვივარ დორადო
გაძევება: ჩემა (83)
10 000 მაყურებელი

**დეპორტივო 2:0 ვალენსია**

1:0 პანდიანი (89), 2:0 მაკაი (90)
დეპორტივო: ხ. მოლინა, პელდერი, რომერო, მანუელ პაბლო, ჯალმინია, ვიქტორი (პანდიანი 78), ემერსონი, მაურო სილვა, ფრანი (ტურუ ფლორესი 90), დონატო, მაკაი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ვალენსია: კანისარესი, ალბელდა, კარბონი, პელეგრინო, ჟუკიჩი, ანგლომა (დეშამპი 80), ვისენტე, ბარახა, მენდიეტა, ილიე, კარეუ
გაფრთხილება: ვიქტორი, პელეგრინო, მანუელ პაბლო, კარბონი, ემერსონი, ილიე, ჯალმინია, კანისარესი
გაძევება: ილიე (57)
30 000 მაყურებელი

**დიდად** გაიხარა სერ ბობი ჩარლტონმა თანამემამულის, სტივ მაკმანამანის ულამაზესი, სულის შემკვრელი გოლით. სერ ბობი კი იმიტომ ჩავიდა მადრიდში, რომ ლუიშ ფიგუსთვის წლის ფეხბურთელობა მიელოცა. „სანტიაგო ბერნაბეუზე" ასევე იყვნენ ალფრედო დი სტეფანო, რაიმონ კოპა და ეუსებიო — „ოქროს ბურთის" ოდინდელი მფლობელები.

ფიგუს დაჯილდოვება მატჩის წინ შედგა და მის საპატივცემულოდ მაყურებლებმა 80 ათასი ფერადი დაფით „ოქროს ბურთიც" გამოსახეს. პორტუგალიელმა მადლობა გოლით გადაიხადა — ფერნანდო მორიენტესმა ოვიედოელთა დაცვა გაარღვია და ბოლო დარტყმა ფიგუს დაუთმო.

შესვენების შემდეგ მორიენტესმა და მუნიტისმაც გაიტანეს, მაკმანამანმაც გაიბრწყინა და „რეალმა" ზედიზედ მერვე პრიმერადივიზიონული შეხვედრა მოიგო.

დედაქალაქელთა გამარჯვება იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ გათამაშების ცხრილში „რეალმა" და „ვალენსიამ" ადგილები გაცვალეს.

„დამსახურებულად გავიმარჯვეთ, თუნდაც იმიტომ, რომ ბოლო ორი წუთი დიდებულად ვითამაშეთ — თქვა ვალენსიელთა დაჩაგვრის შემდეგ ლაკორუნიელთა მწვრთნელმა ხავიერ ირურეტამ — ეს თამაში რომ ვერ მოგვეგო, ლიდერს გვარიანად ჩამოვრჩებოდით და ჩემპიონობისთვის ბრძოლა გაგვიჭირდებოდა".

„ვალენსიასთვის" ფრე ალბათ სასურველი შედეგი იქნებოდა, რაკილა კარგა ხანს კაცნაკლულს მოუხდა თამაში. 89-ე წუთზე ვალტერ პანდიანის გოლმა სტუმრები შოკში ჩააგდო და მაშინვე მეორეც გაუშვეს.

მსგავსი რამ მოხდა „კამპ ნოუზეც", სადაც 89-ე წუთამდე ასევე ფრე იყო და ბოლოს იქაც ორი გოლი გავიდა: გვარდიოლას 30 მეტრიდან დიდებულ საჯარიმო დარტყმას რივალდომ ცაციათი ერთიც დაუმატა და „ბარსამ" 3:1 მოიგო. იქამდე თითო გოლი პატრიკ კლუივერტსა და ვალიადოლიდელ ხოსე ლუის კამინეროს ჰქონდათ გატანილი. აღსანიშნავია, რომ მთელი მეორე ტაიმი „ბარსელონამ" ათი კაცით ითამაშა, რადგან შესვენების წინ მსაჯმა აბელარდოს ჯარიმა ვალენტინ პაჩონის მიმართ წითელ ბარათად შეაფასა.

მატჩის შემდეგ მასპინძელთა მწვრთნელმა ლორენს სერა ფერერმა თქვა, თავიდან 15-20 წუთი ძალიან კარგად ვითამაშეთ და გოლიც უნდა გაგვეტანა, საქმე ბოლო წუთამდე რომ არ მიგვეყვანა. მერე თამაში გაგვიფუჭდა, თუმცა ათი კაცით რომ გავიმარჯვეთ, ჩვენს ძლიერებაზე მეტყველებსო.

— დარწმუნებული ვარ, ჯონ ტოშაკი სწორედ ის კაცია, გუნდს ჩავარდნის პერიოდს რომ დააძლევინებს — თქვა „სოსიედადის" მეკარე მათიას ასპერმა წინა ტურში „სარაგოსასთან" ფრის შემდეგ. იმ თამაშიდან ერთი კვირა გავიდა და სანსებასტიანელებმა მორიგი მარცხი იწვნიეს. „სოსიედადი" — „ბილბაოს" მატჩს სხვა დატვირთვაც ჰქონდა: ბასკური დერბი იქ დიდი მოვლენაა და განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ბილბაოელებს ქინიც ჰკლავდათ — სან სებასტიანში რვა წელი არ მოეგოთ.

ნავსი გატყდა — ხოსება ეჩებერიას ორმა გოლმა ბილბაოელები სახიფათო ზონას აარიდა, ხოლო „სოსიედადი" კიდევ უფრო ჩაძირა. აღსანიშნავია, რომ სრულიად მოშლილი იყო მასპინძელთა დაცვა, ისმაელ ურსაისმა სამი კაცი მოატყუა და პირველი გოლი ეჩებერიას ისე გაატანინა.

„რაიო ვალეკანოს" 3 დეკემბრის მერე თამაში არ მოეგო და სტუმრად „სოსიედადის" დღეში მყოფი „ნუმანსია" დასცა.

„სელტა" უფრო დიდი ხანი — 5 ნოემბრიდან ველარ იგებდა და „ვილიარეალთანაც" იგივე დაემართა. ვიგოური კლუბი, რომელიც წინა სეზონში მეშვიდე იყო და ამ სეზონის დასაწყისშიც ლიდერებში ტრიალებდა, მეთექვსმეტე ადგილზეა. უკვე ლაპარაკობენ, „სელტას" მწვრთნელის პოსტზე ვიქტორ ფერნანდესი ბოლო დღეებს ითვლის, ეს კაცი სიტუაციის გამომსწორებელი არააო.

ყველაზე უხვგოლიანი „მალიორკა" — „ალავესის" შეხვედრა გამოდგა. უკვე გამართული 179 მატჩიდან ექვსი გოლი ცამეტში გავიდა, შვიდგოლიანი კი პირველია. არადა, 61-ე წუთამდე ანგარიში 1:1 იყო და გოლთაცვენა მერე დაიწყო. 4:1-ზე ხავი მორენომ ორი ბურთის გაქვითვა მოახერხა და თუმცა „ალავესი" მარცხისგან ვერ იხსნა, საკუთარი რეკორდი გააუმჯობესა — 15 გატანილი გოლით კვლავაც ბომბარდირია.

„სარაგოსაში" დებიუტი ჰქონდა სესარ ხიმენესს და პირველი გამოჩენა გოლით აღნიშნა, მისი გუნდი კი ნელნელა იუმჯობესებს პოზიციას.

**გიორგი დარჯანია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რეალი | 17 | 12 | 2 | 3 | 41:19 | 22 | 38 | 8 | 7 | 0 | 1 | 24:6 | 18 | 21 | 9 | 5 | 2 | 2 | 17:13 | 4 | 17 |
| 2 | ვალენსია | 18 | 10 | 5 | 3 | 29:12 | 17 | 35 | 9 | 8 | 1 | 0 | 20:3 | 17 | 25 | 9 | 2 | 4 | 3 | 9:9 | 0 | 10 |
| 3 | დეპორტივო | 18 | 10 | 4 | 4 | 31:17 | 14 | 34 | 9 | 7 | 2 | 0 | 18:2 | 16 | 23 | 9 | 3 | 2 | 4 | 13:15 | -2 | 11 |
| 4 | ბარსელონა | 18 | 10 | 3 | 5 | 38:27 | 11 | 33 | 9 | 7 | 1 | 1 | 21:10 | 11 | 22 | 9 | 3 | 2 | 4 | 17:17 | 0 | 11 |
| 5 | მალიორკა | 18 | 8 | 6 | 4 | 27:24 | 3 | 30 | 9 | 6 | 2 | 1 | 17:11 | 6 | 20 | 9 | 2 | 4 | 3 | 10:13 | -3 | 10 |
| 6 | რაიო ვალეკანო | 18 | 7 | 7 | 4 | 37:27 | 10 | 28 | 9 | 5 | 3 | 1 | 21:10 | 11 | 18 | 9 | 2 | 4 | 3 | 16:17 | -1 | 10 |
| 7 | მალაგა | 18 | 8 | 3 | 7 | 29:26 | 3 | 27 | 9 | 6 | 2 | 1 | 20:11 | 9 | 20 | 9 | 2 | 1 | 6 | 9:15 | -6 | 7 |
| 8 | ლას პალმასი | 18 | 8 | 3 | 7 | 22:34 | -12 | 27 | 9 | 5 | 1 | 3 | 11:14 | -3 | 16 | 9 | 3 | 2 | 4 | 11:20 | -9 | 11 |
| 9 | ვილიარეალი | 18 | 7 | 5 | 6 | 22:20 | 2 | 26 | 9 | 3 | 4 | 2 | 9:10 | -1 | 13 | 9 | 4 | 1 | 4 | 13:10 | 3 | 13 |
| 10 | ალავესი | 18 | 7 | 3 | 8 | 29:25 | 4 | 24 | 9 | 5 | 1 | 3 | 14:8 | 6 | 16 | 9 | 2 | 2 | 5 | 15:17 | -2 | 8 |
| 11 | სარაგოსა | 17 | 5 | 8 | 4 | 23:19 | 4 | 23 | 9 | 4 | 4 | 1 | 17:10 | 7 | 16 | 8 | 1 | 4 | 3 | 6:9 | -3 | 7 |
| 12 | ბილბაო | 18 | 6 | 5 | 7 | 24:24 | 0 | 23 | 8 | 5 | 1 | 2 | 17:11 | 6 | 16 | 10 | 1 | 4 | 5 | 7:13 | -6 | 7 |
| 13 | ოვიედო | 18 | 7 | 2 | 9 | 22:32 | -10 | 23 | 9 | 7 | 1 | 1 | 22:11 | 11 | 22 | 9 | 0 | 1 | 8 | 0:21 | -21 | 1 |
| 14 | ვალიადოლიდი | 18 | 4 | 9 | 5 | 20:23 | -3 | 21 | 9 | 4 | 5 | 0 | 11:5 | 6 | 17 | 9 | 0 | 4 | 5 | 9:18 | -9 | 4 |
| 15 | ესპანიოლი | 18 | 6 | 3 | 9 | 19:22 | -3 | 21 | 9 | 4 | 1 | 4 | 10:9 | 1 | 13 | 9 | 2 | 2 | 5 | 9:13 | -4 | 8 |
| 16 | სელტა | 18 | 5 | 4 | 9 | 21:29 | -8 | 19 | 9 | 4 | 4 | 1 | 15:10 | 5 | 16 | 9 | 1 | 0 | 8 | 6:19 | -13 | 3 |
| 17 | ოსასუნა | 18 | 3 | 7 | 8 | 19:28 | -9 | 16 | 9 | 2 | 4 | 3 | 10:11 | -1 | 10 | 9 | 1 | 3 | 5 | 9:17 | -8 | 6 |
| 18 | ნუმანსია | 18 | 4 | 4 | 10 | 18:30 | -12 | 16 | 9 | 3 | 2 | 4 | 10:12 | -2 | 11 | 9 | 1 | 2 | 6 | 8:18 | -10 | 5 |
| 19 | რასინგი | 18 | 3 | 5 | 10 | 19:30 | -11 | 14 | 9 | 3 | 3 | 3 | 12:12 | 0 | 12 | 9 | 0 | 2 | 7 | 7:18 | -11 | 2 |
| 20 | სოსიედადი | 18 | 3 | 4 | 11 | 16:38 | -22 | 13 | 10 | 1 | 4 | 5 | 10:21 | -11 | 7 | 8 | 2 | 0 | 6 | 6:17 | -11 | 6 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ხავი მორენო (ალავესი) | 15 |
| რივალდო (ბარსელონა) | 12 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 10 |
| რაული (რეალი) | 9 |
| დელი ვალდესი (მალაგა) | 9 |
| კატანია (სელტა) | 9 |

**XIX ტური**
20-21 იანვარი

ვალენსია — ბარსელონა
ბილბაო — რასინგი
მალაგა — დეპორტივო
ვალიადოლიდი — რეალი
ოვიედო — მალიორკა
ალავესი — ნუმანსია
რაიო ვალეკანო — ლას პალმასი
ესპანიოლი — ვილიარეალი
სელტა — სარაგოსა
ოსასუნა — სოსიედადი

## მეორე დივიზიონი

XX ტური

**ლეიდა 1:1 ტენერიფე**
1:0 დიესი (44), 1:1 გარსია (90)

**სევილია 3:0 ესტრემადურა**
1:0, 2:0 ექტორი (30, 41), 3:0 ვიქტორი (70)

**ხეტაფე 2:1 ბადახოსი**
1:0 პარადო (37), 1:1 პეპინი (68), 2:1 ფაიზულინი (90)

**ლეგანესი 1:1 უნივერსიდადი**
0:1 ალბერტო (27), 1:1 რონდა (90)

**ელჩე 1:1 მურსია**
1:0 ჩანგუი (3), 1:1 აგილარი (38პ)

**ხაენი 1:1 კომპოსტელა**
0:1 ხუანიტო (6), 1:1 რუედა (63)

**უელვა 1:1 ბეტისი**
0:1 ჩაპი (46), 1:1 ხისკო (78)

**ლევანტე 0:0 ფეროლი**

**სპორტინგი 1:0 ატლეტიკო**
1:0 სოტო (71)

**ალბასეტე 0:0 კორდობა**

**სალამანკა 0:2 ეიბარი**
0:1 ელედერი (20), 0:2 ბიტორ აგირე (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 20 | 12 | 4 | 4 | 32:18 | 40 |
| ბეტისი | 20 | 10 | 6 | 4 | 19:12 | 36 |
| ტენერიფე | 20 | 10 | 5 | 5 | 30:17 | 35 |
| უელვა | 20 | 7 | 11 | 2 | 15:9 | 32 |
| სალამანკა | 20 | 9 | 5 | 6 | 22:19 | 32 |
| ალბასეტე | 19 | 7 | 8 | 4 | 17:14 | 29 |
| სპორტინგი | 20 | 7 | 7 | 6 | 27:21 | 28 |
| მურსია | 20 | 7 | 7 | 6 | 28:24 | 28 |
| ლევანტე | 20 | 6 | 10 | 4 | 24:20 | 28 |
| ბადახოსი | 20 | 6 | 10 | 4 | 19:17 | 28 |
| კორდობა | 20 | 7 | 6 | 7 | 16:19 | 27 |
| ეიბარი | 20 | 6 | 8 | 6 | 16:15 | 26 |
| ესტრემადურა | 20 | 7 | 5 | 8 | 19:21 | 26 |
| ხაენი | 20 | 7 | 5 | 8 | 14:19 | 26 |
| ატლეტიკო | 20 | 6 | 7 | 7 | 22:22 | 25 |
| ლეგანესი | 20 | 4 | 11 | 5 | 23:21 | 23 |
| ელჩე | 20 | 5 | 7 | 8 | 22:28 | 22 |
| კომპოსტელა | 20 | 6 | 4 | 10 | 20:32 | 22 |
| ხეტაფე | 20 | 5 | 6 | 9 | 20:28 | 21 |
| ფეროლი | 19 | 4 | 6 | 9 | 19:26 | 18 |
| ლეიდა | 20 | 3 | 7 | 10 | 21:29 | 16 |
| უნივერსიდადი | 20 | 1 | 9 | 10 | 14:28 | 12 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეწუხებულის ავტოგოლი

## საფრანგეთი

XXIII ტური

**ნანტი 1:1 ოსერი**

0:1 ჯ. სისე (45), 1:1 მოლდოვანი (73)

**სენტ ეტიენი 1:0 პარი სენ ჟერმენი**

1:0 სანჩესი (50პ)

**მეცი 2:2 რენი**

1:0 ბატიკლი (26), 1:1 ეშუაფნი (45), 1:2 შაპუი (53), 2:2 მეირო (86პ)

**გენგამი 1:1 ბორდო**

1:0 ფიორეზე (3), 1:1 დიუგარი (80)

**მონაკო 1:0 სედანი**

1:0 ნონდა (43)

**მარსელი 1:1 ტულუზი**

0:1 დიეზი (61), 1:1 ბელმადი (76)

**ტრუა 2:1 ლილი**

0:1 ბუტუალი (9), 1:1 გუსე (70), 2:1 სიგენი (75ს.კ.)

**ბასტია 3:1 სტრასბური**

0:1 ლიუბოია (2), 1:1 ნე (38), 2:1 ლაშუერი (61), 3:1 ლორანი (90)

**ლანსი 0:0 ლიონი**

**ახალი** საუკუნის პირველ ტურს ახალი ლიდერი არ მოჰყოლია. მართალია, „ნანტი" შინ „ოსერთან" ფრეს დასჯერდა, მისი ამ წაფორხილებით „ლილმა" ვერ ისარგებლა, მასსავით პირველი დივიზიონის ახალბედა „ტრუასთან" წააგო და მეორე ადგილზე დარჩა. ამ ტურში მოწინავეთაგან საერთოდ ვერავინ მოიგო — გათამაშების ცხრილის პირველ რვა ადგილზე მყოფი გუნდებისთვის საუკეთესო შედეგი ფრე იყო.

ნანტის ნაწვიმარ და დამბალ მინდორზე მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ გოლი ვერაფრით გაჰქონდათ და როგორც ასეთ შემთხვევებში ხშირად ხდება ხოლმე, სტუმართა ერთ-ერთი უიშვიათესი კონტრშეტევა ანგარიშის გახსნით დასრულდა: საიდის პასის შემდეგ ჯიბრილ სისე „ნანტის" მეკარე და კაპიტან მიკაელ ლანდროსთან პირისპირ დარჩა და მისი გაწბილება არ გასჭირვებია. შესვენების შემდეგ მასპინძლები გააფთრებით უტევდნენ, მაგრამ ბედი აშკარად არ სწყალობდათ, 11 ოსერელი კი მხოლოდ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა და ლიდერს სამ ქულასაც წაართმევდა, რომ არა რუმინელი ვიორელ მოლდოვანი. ქართველთა მეტოქე ნაკრების თავდამსხმელმა 75-ე წუთზე ერიკ კარიერის ჩაწოდების შემდეგ თავური დარტყმით გაათანაბრა.

„ტრუას" თავიდან ძალიან გაუჭირდა, რადგან „ლილმა" მატჩი მეტად მაღალ ტემპში დაიწყო და ანგარიშიც სწრაფად გახსნა: მარცხენა ფლანგზე ტიურატიმ ბერტე დატოვა ჩალაგამოვლებული და ბურთი მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდა, შორეულ ძელთან ჩასაფრებულ ბუტუალსაც თავის გამოჩენა არ გასჭირვებია. მეორე ტაიმში მასპინძლები კარგა ხანი მხოლოდ შორეული დარტყმებით ცდილობდნენ ფონს გასვლას, მაგრამ ამაოდ. 70-ე წუთზე კი საიფიმ გუსე ერთი ერთზე შეატოვა ვიმბეს და 1:1. ექვს წუთში კი იუგოსლაველი ჯუკიჩის მიერ „შეწუხებულმა" სიგენმა გოლი საკუთარ კარში გაიტანა და თავის გუნდს მორიგ დამარცხებაში „წაეშველა".

წააგო აქამდე მესამე ადგილზე მყოფმა „სედანმაც", რომელიც ჯუჯა სახელმწიფოს სტუმრობდა. საშობაო არდადეგების დროს იტალიელი კრისტიან პანუჩით გაძლიერებულმა მონაკოელებმა თავიანთი შეტევების დიდი ნაწილი სწორედ „მილანის", „რეალისა" და „ჩელსის" ყოფილ წევრზე ააგეს, მაგრამ ერთადერთ გოლში მარჯვენა მცველს წვლილი მაინც არ დაუდია — სამი ქულის მომტანი დარტყმა საბანი ნონდამ დაახლოებით 20 მეტრიდან განახორციელა.

„პსჟ-ს რთული პერიოდი უდგას, თუმცა, ამის მიუხედავად, იგი მაინც ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად რჩება, ამიტომაც მასთან სამი ქულის მოპოვება დიდად სასიხარულოა. ჩვენი მიზანი სეზონის ისე დამთავრებაა, დასანანი არაფერი გვქონდეს, მაგრამ როცა ყოფილი თანაგუნდელები დაჭერილები არიან, ძნელია, მხოლოდ ფეხბურთზე იფიქრო" — თქვა „სენტ ეტიენის" მოთამაშე-მწვრთნელმა ჟან-გი ვალემმა, რომელიც გუნდის სათავეში უელსელი ჯონ ტოშაკის „რეალ სოსიედადში" გადაბარგების შემდეგ დაინიშნა. ვალემი „დაჭერილ თანაგუნლებში" უკრაინელ მაქსიმ ლევიცკისა და ბრაზილიელი ალექსს გულისხმობს, რომლებიც ყალბი პასპორტების გამო ჩავარდნენ სამართალდამცავთა ხელში.

მატჩის ერთადერთი გოლი „მწვანეებმა" თერთმეტმეტრიანი დარტყმით გაიტანეს, რომელმაც პარიზელთა თავკაც ლუის ფერნანდესის პროტესტი გამოიწვია. „პენალტი არ იყო. მსაჯის ამ გადაწყვეტილებამ თავად სენტეტიენელებიც კი განცვიფრებულნი დატოვა" — თქვა 1984 წლის ევროპის ჩემპიონმა, მაგრამ ამ განცხადებამ ქულები მაინც ვერ მოუმატა.

**ბაზი გურული**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანტი | 23 | 12 | 4 | 7 | 39:29 | 40 |
| ლილი | 23 | 10 | 7 | 6 | 25:17 | 37 |
| ბორდო | 23 | 9 | 9 | 5 | 30:21 | 36 |
| სედანი | 23 | 10 | 6 | 7 | 31:24 | 36 |
| ლიონი | 23 | 8 | 11 | 4 | 29:19 | 35 |
| ბასტია | 23 | 10 | 5 | 8 | 28:23 | 35 |
| გენგამი | 23 | 9 | 7 | 7 | 26:26 | 34 |
| ტრუა | 23 | 9 | 7 | 7 | 27:29 | 34 |
| რენი | 23 | 9 | 6 | 8 | 26:22 | 33 |
| ლანსი | 23 | 8 | 8 | 7 | 27:24 | 32 |
| სენტ ეტიენი | 23 | 8 | 6 | 9 | 31:31 | 30 |
| პარი სენ ჟერმენი | 23 | 8 | 6 | 9 | 31:32 | 30 |
| ოსერი | 23 | 8 | 6 | 9 | 25:29 | 30 |
| მონაკო | 23 | 8 | 5 | 10 | 31:32 | 29 |
| მარსელი | 23 | 8 | 4 | 11 | 24:28 | 28 |
| მეცი | 22 | 5 | 8 | 9 | 18:27 | 23 |
| ტულუზი | 23 | 4 | 8 | 11 | 22:31 | 20 |
| სტრასბური | 22 | 4 | 5 | 13 | 17:43 | 17 |

## მეორე დივიზიონი

25-ე ტური: ნანსი — კაენი 4:0; კანი — შატორუ 2:2; კრეტეი — ნიცა 0:1; გენიონი — ნიორი 1:0; ლავალი — ბოვე 0:2; ლე ავრი — ანჟერი 2:1; ლორიანი — აიაჩო 0:1; მონპელიე — ლე მანი 0:0; სოშო — მარტიგი 1:0; ვასკეალი — ნიმი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოშო | 25 | 14 | 8 | 3 | 43:15 | 50 |
| მონპელიე | 25 | 13 | 10 | 2 | 36:18 | 49 |
| ლორიანი | 25 | 13 | 8 | 4 | 36:22 | 47 |
| ნანსი | 24 | 12 | 6 | 6 | 34:16 | 42 |
| ნიორი | 25 | 11 | 8 | 6 | 38:25 | 41 |
| ლავალი | 25 | 12 | 5 | 8 | 28:25 | 41 |
| შატორუ | 25 | 9 | 9 | 7 | 32:26 | 36 |
| გენიონი | 25 | 9 | 7 | 9 | 29:34 | 34 |
| ლე ავრი | 25 | 7 | 12 | 6 | 30:28 | 33 |
| ლე მანი | 25 | 6 | 13 | 6 | 25:24 | 31 |
| კრეტეი | 25 | 8 | 7 | 10 | 25:27 | 31 |
| ნიმი | 25 | 7 | 9 | 9 | 34:38 | 30 |
| ნიცა | 25 | 9 | 3 | 13 | 26:37 | 30 |
| კაენი | 25 | 7 | 8 | 10 | 24:37 | 29 |
| აიაჩო | 25 | 7 | 5 | 13 | 18:29 | 26 |
| ბოვე | 24 | 5 | 10 | 9 | 22:29 | 25 |
| კანი | 25 | 6 | 7 | 12 | 32:43 | 25 |
| ვასკეალი | 25 | 5 | 9 | 11 | 21:28 | 24 |
| მარტიგი | 25 | 4 | 12 | 9 | 20:31 | 24 |
| ანჟერი | 25 | 3 | 8 | 14 | 23:44 | 17 |

# ბიქსენტ უშიშარი



**ბუნდესლიგურ** არდადაგებს გუნდები სხვადასხვანაირად იყენებენ. „ბაიერნი" ესპანეთს გაემგზავრა და განთქმულ კურორტ მარბელაზე გადის შეკრებას.

მიუნხენელთა ტურნე იმიტომ ვახსენეთ, რომ მარბელაში ჩავიდა ბიქსენტ ლიზარაზუც, რომელსაც ბასკთა სეპარატისტული ორგანიზაცია „ეტა" ახლახან ფულს სთხოვდა და უარის შემთხვევაში მოკვლით ემუქრებოდა.

ლიზარაზუს ჟურნალისტები მიადგნენ, ტერორისტების ხომ არ გეშინიაო. არაო, უპასუხა ლიზარაზუმ, მეტსაც გეტყვით, სიამოვნებით ვითამაშებდი რომელიმე ესპანურ გრანდშიო. „სანტიაგო ბერნაბეუზე" და „კამპ ნოუზე" თამაშს არაფერი სჯობს, ამ დროს ხვდები, რომ მსოფლიო ფეხბურთის ელიტის წევრი ხარო. „თუმცა ეს მომავლის ამბავია — დაუმატა ლიზარაზუმ — იქამდე კი „რეალის" ჯავრი უნდა ვიყარო, წინა ჩემპიონთა ლიგაში სამჯერ დავამარცხეთ და მაინც ჩემპიონი გახდა. იმედი მაქვს, ახლაც გადავუყრებით და მერე ჩვენ ვიცით".

ბიქსენტ ლიზარაზუმ „ეტაზე" საუბარი არ ისურვა.

## პორტუგალია

XVII ტური

**ბოავიშტა 1:0 პორტუ**

1:0 მარტელინიუ (31)

**ამადორა 1:1 ბეირა მარი**

1:0 გაუჩო (13), 1:1 ფეიე (26)

**კამპომაიორენსე 0:4 ალვერკა**

0:1 დიოგო (3), 0:2 მანტორაში (29), 0:3 კაიუ ნევეში (77), 0:4 მანტორაში (84)

**ფერეირა 2:0 ჟილ ვისენტე**

1:0 რიბეირუ (29), 2:0 გასპარი (56)

**ბენფიკა 5:1 ავეში**

1:0 ვან ჰოიდონკი (15), 2:0 ნენე სილვა (31ს.კ.), 3:0 კარლიტუში (40), 4:0 ვან ჰოიდონკი (50), 4:1 კუინზინიუ სილვა (61), 5:1 ვან ჰოიდონკი (66პ)

**ლეირია 0:0 ბრაგა**

**ფარენსე 1:1 გიმარაეში**

0:1 პეიქა (77), 1:1 ნადერი (87პ)

**მარიტიმუ 0:2 სპორტინგი**

0:1, 0:2 ფაბრი (65პ, 68)

**ბელენენსეში 2:0 სალგეირუში**

1:0 ფილგუერა (53), 2:0 გერსონი (82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 17 | 11 | 5 | 1 | 37:12 | 38 |
| პორტუ | 17 | 12 | 1 | 4 | 36:14 | 37 |
| სპორტინგი | 17 | 11 | 3 | 3 | 29:15 | 36 |
| ბრაგა | 17 | 9 | 5 | 3 | 29:20 | 32 |
| ბენფიკა | 17 | 9 | 4 | 4 | 29:16 | 31 |
| ბელენენსეში | 17 | 9 | 4 | 4 | 21:14 | 31 |
| ფერეირა | 17 | 7 | 5 | 5 | 23:15 | 26 |
| სალგეირუში | 17 | 8 | 0 | 9 | 19:28 | 24 |
| მარიტიმუ | 17 | 6 | 5 | 6 | 18:16 | 23 |
| ლეირია | 17 | 5 | 7 | 5 | 18:25 | 22 |
| ფარენსე | 17 | 5 | 6 | 6 | 21:24 | 21 |
| ალვერკა | 17 | 6 | 3 | 8 | 23:28 | 21 |
| ბეირა მარი | 17 | 5 | 5 | 7 | 20:26 | 20 |
| გიმარაეში | 17 | 4 | 5 | 8 | 20:27 | 17 |
| კამპომაიორენსე | 17 | 2 | 7 | 8 | 14:30 | 13 |
| ჟილ ვისენტე | 17 | 2 | 4 | 11 | 10:25 | 10 |
| ავეში | 17 | 2 | 4 | 11 | 17:33 | 10 |
| ამადორა | 17 | 2 | 3 | 12 | 13:29 | 9 |

# ჩილავერტს დისკვალიფიკაცია ურჩევნია

**პარაგვაელი** მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტი თავისი კლუბის ხელმძღვანელობას აუჯანყდა და ახლა შესაძლოა, კლუბიდან წასასვლელად გაუხდეს საქმე. ინციდენტი შაბათს მოხდა: „სტრასბურის" მთავარმა მწვრთნელმა ივონ პულიკენმა საფრანგეთის ჩემპიონატის 23-ე ტურში „ბასტიასთან" მატჩისთვის გამგზავრების წინ გუნდის შემადგენლობა გამოაცხადა, რომელშიც ჩილავერტი არ დააყენა — ძირითად მეკარედ კრისტოფ ეგიმანი დაასახელა, პარაგვაელ, გოლების გატანით სახელგანთქმულ მეკარეს კი სათადარიგოთა სკამზე მიუჩინა ადგილი.

ჩილავერტიც ამან გააცეცხლა. იგი მწვრთნელებს შეელაპარაკა, მერე კორსიკაზე წასვლაც იუარა და შინ დარჩა. მოგვიანებით ინციდენტის თაობაზე შემდეგი თქვა — სკამზე ჯდომას მირჩევნია, დისკვალიფიცირებული ვიყო. თან დაამატა, მინდა ყველამ იცოდეს, სათადარიგოობას არასოდეს შევეგუებიო.

ამ ამბავთან დაკავშირებით ფეხბურთელის აგენტმა ომარ და ფონსეკამაც ისაუბრა. „ვერც წარმოიდგენთ, რამდენად მნიშვნელოვანია სამხრეთ ამერიკაში იმიჯი. იგი აუცილებელია ყოველი მოთამაშისთვის. ხოსე ლუისს არ უნდა, პარაგვაულმა გაზეთებმა სათადარიგოთა სკამზე მჯდომი ჩილავერტის სურათები დაბეჭდონ. იგი ხომ ვარსკვლავია" — აღნიშნა და ფონსეკამ ერთ-ერთ ფრანგულ გაზეთთან ინტერვიუში.

რა ელის ახლა ჩილავერტს, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა არჩევანი არც ისე დიდი და მომხიბვლელია: ან ჯარიმა, ან დისკვალიფიკაცია (ან ორივე ერთად), ანაც გუნდიდან მოკვეთა — ასეთია შესაძლო ვარიანტები. ფრანგ ჟურნალისტებს თუ ვერწმუნებით, დროა და ფონსეკამ თავისი კლიენტისთვის ახალი კლუბის ძიება დაიწყოს. არადა, ჩილავერტი არგენტინული „ველეს სარსფილდიდან" „სტრასბურში" ორიოდე თვეა, რაც გადავიდა. ამ ხნის განმავლობაში ექვსი მატჩი გამართა და ცხრა ბურთი გაუშვა, თავისი ბომბარდირული თვისებები კი ერთხელაც ვერ გამოამჟღავნა.



REUTERS

ესპესაა ივან სამორანომ თავისი პირველი მექსიკური გოლი გაიტანა

# სამორანო მექსიკაშიც სამორანოა

**ივან** სამორანოს „ინტერიდან" მექსიკურ „ამერიკაში" გადასვლა იქაური სპორტული სამყაროს მთავარი სასაუბრო თემაა. მექსიკელები აღფრთოვანებულები შეხვდნენ ჩილელს. ვალში არც სამორანო დარჩენილა და მინდორზე პირველივე გასვლა ჰეთ-თრიქით აღნიშნა.

„ამერიკა" — „სანტორის" მატჩმა მეხიკოს „ატცეკაზე" 85 ათასი მაყურებელი მიიზიდა. არც შემცდარან — „ამერიკამ" 5:1 მოიგო, ხოლო ახალმა ვარსკვლავმა სამივე გოლი პირველ ტაიმში გაიტანა. მატჩის შემდეგ ქომაგები ხუთი წუთი ტაშს უკრავდნენ თავის ახალ გმირს.

სამორანო კი ამბობს: „გმირი არ ვარ. უბრალოდ, მოუთმენლად ველოდი ამ თამაშს და მსურდა, ყველაფერი გამომსვლოდა. საბედნიეროდ, ასეც მოხდა. ამას ჩემს თანაგუნდელებსაც დიდად ვუმადლი".

## ფეხბურთის რუკასთან



**დანიელმა** მეკარემ პიტერ შმაიხელმა „სპორტინგთან" კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა. გავრცელდა ხმები, რომ 37 წლის ფეხბურთელი სეზონის ბოლოს ლისაბონს დატოვებდა და სამშობლოში დაბრუნდებოდა, მაგრამ მან სხვაგვარად გადაწყვიტა. შეგახსენებთ, რომ შმაიხელი „სპორტინგში" 1999 წელს „მანჩესტერ იუნაიტედიდან" ჩაირიცხა და პირველივე სეზონში პორტუგალიის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ახლა მას ტრავმა აწუხებს, თუმცა ლისაბონური კლუბის ხელმძღვანელები იმედოვნებენ, რომ დანიელი გუნდს მომავალ თვეში დაუბრუნდება.

**ბერძენი ფეხბურთელები მსაჯების მიმართ პროტესტის ნიშნად გაფიცვას აპირებენ. ისინი თვლიან, რომ ჩემპიონატში მსაჯობის დონე ძალიან დაბალია, არბიტრები უსამართლოდ ექცევიან მოთამაშეებს — ხშირად უსაფუძვლოდ აფრთხილებენ და აძევებენ მინდვრიდან. ასე მოხდა ტურის ერთ-ერთ მატჩში „იანინასა" და „პანიონიოსს" შორის, როცა ცხრა ფეხბურთელმა ყვითელი, ხოლო ორმა წითელი ბარათი მიიღო. ეს ყველაფერი ქომაგთა გულისწყრომას იწვევს. მაგალითად, იქისა და „ოლიმპიაკოსის" შეხვედრის დროს გაავებული ფანები მინდორზე შეცვივდნენ. „პანიონიოსის" 16-მა მოთამაშემ ახლახან ფეხბურთელთა კავშირში საჩივარი შეიტანა და გაფიცვით დაიმუქრა.**

**იტალიის** ჩემპიონმა რომის „ლაციომ" პორტუგალიელ მცველ ფერნანდუ კოუტუსთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. ორი წლის წინ რომაულ კლუბში „პარმადან" ჩარიცხული პორტუგალიელი „სტადიო ოლიმპიკოზე" 2004 წლამდე დარჩება. ფეხბურთელს ახლა ტრავმა აწუხებს და ვერ თამაშობს. იმასაც ვარაუდობდნენ, კოუტუ „ლაციოდან" წავაო, მაგრამ ახლა ეს ხმები გაქარწყლდა.

**გერმანიის ვიცე-ჩემპიონმა „ლევერკუზენმა" „კოლორადო რაპიდსიდან" ნახევარმცველი ჯოი დიჯიამარინო შეიძინა და მასთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 23 წლის ფეხბურთელი „კოლორადო რაპიდში" სამი სეზონია, თამაშობს და ამერიკის საფეხბურთო ლიგაში ჩატარებულ 67 შეხვედრაში 7 გოლი გაიტანა. „ევროპაში თამაში ჩემი ოცნება იყო და კიდეც ამისრულდა" — განაცხადა ფეხბურთელმა, რომელიც ჯერჯერობით ამერიკაში დარჩება და ბუნდესლიგელებს რამდენიმე თვეში შეუერთდება.**

**ესპანეთის** სეგუნდა დივიზიონის კლუბი „მურსია" მომავალ საშინაო შეხვედრას საკუთარ სტადიონზე ვერ ჩაატარებს. „სარაგოსასთან" სათასო მატჩის დროს კლუბის ქომაგებმა იხულიგნეს, რამდენიმე ფანი მოედანზე შევარდა, რის შემდეგაც მსაჯები პოლიციის თანხლებით გაიყვანეს მინდვრიდან. შეგახსენებთ, რომ ის მატჩი „სარაგოსამ" 3:2 მოიგო. საპასუხო შეხვედრა ამ კვირაში ჩატარდება.

# ზამთრის პაპანაქებაში

**„უნტერჰახინგი"** გერმანიის 2001 წლის ჩემპიონია, ოღონდ დარბაზის ფეხბურთში. გიუნტერ ლორანც-კიოსტნერის შეგირდებმა შტუტგარტში, რიზაში, ჰანოვერსა და დორტმუნდში გამართული ოთხი ტურნირიდან ორი მოიგეს — 6-7 იანვარს შტუტგარტში და გასულ შაბათ-კვირას დორტმუნდში.

დარბაზის ფეხბურთი გერმანიაში დიდად პოპულარულია. ზამთრის არდადეგებისას უამრავი ასეთი ტურნირი იმართება, თუმცა განსაკუთრებულ მნიშვნელობა მხოლოდ ოთხ მათგანს ენიჭება, იმათ, რომლებიც გერმანიის საფეხბურთო კავშირის სახელით თუ ინიციატივით იმართება. მათში ძირითადად პირველ-მეორე ბუნდესლიგის კლუბები მონაწილეობენ, იშვიათად კი რეგიონალლიგელებიც გამოერევიან ხოლმე.

პირველი ტურნირი 6-7 იანვარს შტუტგარტში ჩატარდა, მასში 12 გუნდი მონაწილეობდა, რომელთა შორისაც იაშვილის, კობიაშვილის, ცქიტიშვილისა და კიკნაძის „ფრაიბურგიც" იყო.

„ფრაიბურგმა" ტურნირზე ყველაზე ტექნიკური გუნდის სახელი მოიპოვა. ფოლკერ ფინკეს შეგირდებს რამდენიმე წელია ბუნდესლიგაშიც ასე მოიხსენიებენ, თუმცა მარტო სახელი შტუტგარტში დიდად ვერაფერში წაადგათ. ჯგუფში პირველი ადგილი კი დაიკავეს, მაგრამ მეოთხედფინალში მომავალ ჩემპიონ „უნტერჰახინგთან" დამარცხდნენ. ქართველებმა ორი ბურთი გაიტანეს — „მაინცთან" იაშვილმა გამოიჩინა თავი, როცა საბოლოო წერტილი დასვა — 2:0, კობიაშვილმა კი „მიუნხენ 1860"-თან 1:1 გახადა. ამ ტურნირის მერე ფინკემ გუნდი ტრადიციისამებრ პორტუგალიურ შეკრებაზე წაიყვანა.

შტუტგარტში დაწესებული მთავარი ჯილდო — ჩემპიონის თასი კი, როგორც ზემოთ ვთქვით, „უნტერჰახინგმა" ირგუნა, გუნდმა, რომელმაც ფინალში „მაინცი" 4:3 დაამარცხა. მანამდე ნახევარფინალში კი მიხეილ საჯაიას „როიტლინგენი" დაიფრინა — 7:2.

მეორე დღეს რიზაში დაიწყო ანალოგიური ტურნირი, რომელშიც არჩილ არველაძის „კიოლნი" გამოვიდა და მესამე ადგილიც დაიკავა.

10-11 იანვარს ფეხბურთი ჰანოვერშიც გახურდა, ამჯერად უქართველებოდ. ჰანოვერში შედარებით სუსტმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, ბრემენის „ვერდერმაც" ისარგებლა ამით და ტურნირიც მოიგო.

13-14 იანვარს დორტმუნდის „ვესტფალენჰალში" ტევა არ იყო — ორდღიან ტურნირზე 40 ათას ბილეთზე მეტი გაიყიდა. თითოეულ დღეს 20 ათას ქომაგზე მეტი ადევნებდა თვალყურს საფეხბურთო პერიპეტიებს. გერმანული SAT 1 პირდაპირ ტელერეპორტაჟს აწარმოებდა. შემადგენლობაც სოლიდური იყო: „ბაიერნი", „დორტმუნდი", „ვერდერი", „კიოლნი". ამათგან მხოლოდ „ბაიერნმა" ვერ გააღწია მეოთხედფინალში, სადაც „კიოლნი" და „დორტმუნდიც" გამოვარდნენ. „ვერდერი" ფინალამდე მივიდა, იქ კი ცხრამეტრიანების სერიაში „უნტერჰახინგმა" აჯობა.

დორტმუნდელი ქომაგები ტურნირის შემდეგ უკმაყოფილონი იყვნენ, რადგან „ბაიერნისა" და „დორტმუნდის" ხელმძღვანელებმა წამყვანი ფეხბურთელები არ ათამაშეს.

მაშ, რაღა აზრი აქვს ამ ტურნირებსო, იკითხავს მავანი. ამის ყველაზე კარგი პასუხი ბერტი ფოგთსის ნათქვამი სიტყვებია: „მე ჩვენი ახალშენაძენი ლუსიო კარგი ფეხბურთელი მეგონა, მაგრამ რიზაში მისმა თამაშმა დამარწმუნა, რომ იგი ბრწყინვალეა". „ლევერკუზენის" მწვრთნელს გერმანული პრესაც ეთანხმება, ლუსიოს შეძენა ყველაზე კარგი ნაბიჯია, რომელიც ფოგთსმა და კლუბის მენეჯერმა კალმუნდმა ერთობლივად გადადგესო, წერენ ისინი.

**ვანო ოქრობირიძე**

**შტუტგარტი. 6-7 იანვარი**

**A ჯგუფი**

კაკერსი — კარლსრუე 2:0; კარლსრუე — უნტერჰახინგი 1:3; უნტერჰახინგი — კაკერსი 1:2

**B ჯგუფი**

ფრაიბურგი — მაინცი 2:0; მაინცი — მიუნხენი 5:2; მიუნხენი — ფრაიბურგი 4:4

**C ჯგუფი**

კაიზერსლაუტერნი — ულმი 0:2; ულმი — როიტლინგენი 3:2; როიტლინგენი — კაიზერსლაუტერნი 5:3

**D ჯგუფი**

შტუტგარტი — ზაარბრიუკენი 1:1; ზაარბრიუკენი — აინტრახტი 3:3; აინტრახტი — შტუტგარტი 1:2

**მეოთხედფინალი**

კაკერსი — მაინცი 1:2; ფრაიბურგი — უნტერჰახინგი 2:3; ულმი — ზაარბრიუკენი 5:2; შტუტგარტი — როიტლინგენი (პენ.8:9)

**ნახევარფინალი**

მაინცი — ულმი 4:1; უნტერჰახინგი — როიტლინგენი 7:2

**მატჩი მესამე ადგილისთვის**

როიტლინგენი — ულმი 3:0

**ფინალი**

უნტერჰახინგი — მაინცი 4:3

**რიზა. 8-9 იანვარი**

**A ჯგუფი**

ჰანზა — ობერჰაუზენი 1:1; ობერჰაუზენი — დუისბურგი 1:2; დუისბურგი — ჰანზა 2:2

**B ჯგუფი**

ლევერკუზენი — დრეზდენი 1:4; დრეზდენი — კოტბუსი 1:3; კოტბუსი — ლევერკუზენი 2:4

**C ჯგუფი**

ჰერტა — ზაქსენი 1:3; ზაქსენი — ნიურნბერგი 2:0; ნიურნბერგი — ჰერტა 3:1

**D ჯგუფი**

კიოლნი — ქემნიცი 3:0; ქემნიცი — ვალდჰოფი 1:3; ვალდჰოფი — კიოლნი 1:1

**მეოთხედფინალი**

დუისბურგი — კოტბუსი (პენ.8:9); დრეზდენი — ჰანზა (პენ.3:5); ზაქსენი — ვალდჰოფი (პენ.5:6); კიოლნი — ნიურნბერგი 3:1

**ნახევარფინალი**

კოტბუსი — ვალდჰოფი 4:2; ჰანზა — კიოლნი 6:3

**მატჩი მესამე ადგილისთვის**

კიოლნი — ვალდჰოფი 5:1

**ფინალი**

ჰანზა — კოტბუსი 5:2

**ჰანოვერი. 10-11 იანვარი**

**A ჯგუფი**

ჰამბურგი — ალენი 5:3; ალენი — ვერდერი 2:3; ვერდერი — ჰამბურგი 4:0

**B ჯგუფი**

შალკე — ოსნაბრიუკი 0:3; ოსნაბრიუკი — ბოხუმი 2:5; ბოხუმი — შალკე 3:1

**C ჯგუფი**

ვოლფსბურგი — არმინია 3:1; არმინია — ზანქტ პაული 3:0; ზანქტ პაული — ვოლფსბურგი 6:3

**D ჯგუფი**

ჰანოვერი — ბრაუნშვაიგი 4:1; ბრაუნშვაიგი — ალემანია 3:3; ალემანია — ჰანოვერი 5:4

**მეოთხედფინალი**

ვერდერი — ოსნაბრიუკი 4:1; ბოხუმი — ჰანოვერი 4:1; არმინია — ჰანოვერი 7:5; ალემანია — ზანქტ პაული 0:4

**ნახევარფინალი**

ვერდერი — არმინია 6:3; ბოხუმი — ზანქტ პაული 1:3

**მატჩი მესამე ადგილისთვის**

არმინია — ბოხუმი 4:6

**ფინალი**

ვერდერი — ზანქტ პაული 1:0

**დორტმუნდი. 13-14 იანვარი**

**A ჯგუფი**

მიონხენგლადბახი — მაინცი 2:1; ჰანზა — ფიურტი 1:3; მაინცი — ჰანზა 3:1; ფიურტი — მიონხენგლადბახი 4:0; მიონხენგლადბახი — ჰანზა 1:4; მაინცი — ფიურტი 2:1

**B ჯგუფი**

ბაიერნი — ბოხუმი 3:4; ბოხუმი — უნტერჰახინგი 1:3; უნტერჰახინგი — ბაიერნი 3:2

**C ჯგუფი**

ვერდერი — როიტლინგენი 1:0; როიტლინგენი — კოტბუსი 3:3; კოტბუსი — ვერდერი 2:2

**D ჯგუფი**

დორტმუნდი — კიოლნი 1:4; კიოლნი — ზანქტ პაული 4:2; ზანქტ პაული — დორტმუნდი 2:3

**მეოთხედფინალი**

ფიურტი — ბოხუმი 3:0; უნტერჰახინგი — მაინცი 2:1; ვერდერი — დორტმუნდი 4:2; კიოლნი — კოტბუსი (პენ.3:4)

**ნახევარფინალი**

ფიურტი — ვერდერი 0:2; უნტერჰახინგი — კოტბუსი 5:2

**მატჩი მესამე ადგილისთვის**

ფიურტი — კოტბუსი (პენ.1:2)

**ფინალი**

ვერდერი — უნტერჰახინგი (პენ.4:5)



იაპ სტამი

# სხვა მანჩესტერი სად არის...

**ჰოლანდიელი** მცველი იაპ სტამი მანჩესტერში ცხოვრებით ბედნიერია, თვლის, რომ დიდებულ კლუბში თამაშობს და სურს, კარიერის ბოლომდე „მანჩესტერ იუნაიტედში" დარჩეს. 28 წლის ფეხბურთელი სერ ალექს ფერგიუსონის გუნდს გასულ შაბათს, ოთხთვიანი ტრავმის მერე დაუბრუნდა. გუშინ კი ჟურნალისტებს გამოუტყდა, „იუნაიტედში" კარგ დროს მომიწია თამაშმა, მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კლუბად ითვლება და ვერც კი წარმომიდგენია, აწი სხვა გუნდის მაისურით გავიდე მინდორზეო. „ძალიან მსურს, „იუნაიტედის" ისტორიაში შევიდე" — თქვა ბოლოს.

ისიც გავიხსენოთ, რომ იაპ სტამი მსოფლიოს უძვირესი მცველი იყო, ვიდრე ეს წოდება ერთი თვის წინ ნიჭიერ ინგლისელ რიო ფერდინანდს არ გადაულოცა: ჰოლანდიელის „პსვ ეინდჰოვენიდან" გადაბირება „მანჩესტერ იუნაიტედს" 1998 წელს 15,8 მილიონი დოლარი დაუჯდა. მას არნახულად წარმატებული გამოუვიდა პირველივე სეზონი პრემიერლიგაში — ალექს ფერგიუსონის ხელმძღვანელობით ინგლისის ჩემპიონატი, ქვეყნის თასი და ჩემპიონთა ლიგა მოიგო, შარშან კი პრემიერლიგის გამარჯვებული გახდა.

სტამი ერთ-ერთი იმათგანია, ვისთანაც „იუნაიტედის" ხელმძღვანელობა მალე დაიწყებს მოლაპარაკებას კონტრაქტის გახანგრძლივების და ხელფასის მომატების თაობაზე.

კარგ ქვეყანაში, კარგ კლუბში კარგი ჯამაგირი აქვს, სხვაც არაფერი მოაკლდება და სადღა უნდა წავიდეს? მართალია ეს კაცი.

**საბერძნეთი**

მე-14 ტური: იანინა — ოფი 1:0; პანაჰაიკი — პანათინაიკოსი 1:2; ირაკლისი — ეთნიკოსი 4:0; პანიონიოსი — არისი 2:0; კალამატა — პანილიაკოსი 1:1; პაოკ — აეკ 2:1; ქსანთი — იონიკოსი 0:1; ათინაიკოსი — ოლიმპიაკოსი 1:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 14 | 11 | 2 | 1 | 45:13 | 35 |
| პანათინაიკოსი | 14 | 9 | 5 | 0 | 25:8 | 32 |
| ირაკლისი | 14 | 8 | 2 | 4 | 21:13 | 26 |
| პაოკ | 14 | 7 | 5 | 2 | 29:23 | 26 |
| იონიკოსი | 14 | 7 | 4 | 3 | 22:17 | 25 |
| აეკ | 14 | 7 | 3 | 4 | 27:22 | 24 |
| ეთნიკოსი | 14 | 6 | 2 | 6 | 17:26 | 20 |
| არისი | 14 | 5 | 4 | 5 | 15:14 | 19 |
| ქსანთი | 14 | 5 | 3 | 6 | 9:14 | 18 |
| პანიონიოსი | 14 | 3 | 7 | 4 | 15:18 | 16 |
| პანაჰაიკი | 14 | 3 | 5 | 6 | 18:24 | 14 |
| იანინა | 14 | 2 | 4 | 8 | 20:28 | 10 |
| კალამატა | 14 | 1 | 7 | 6 | 20:28 | 10 |
| ოფი | 14 | 2 | 4 | 8 | 16:25 | 10 |
| ათინაიკოსი | 14 | 3 | 1 | 10 | 17:31 | 10 |
| პანილიაკოსი | 14 | 1 | 6 | 7 | 10:22 | 9 |

**ოთხთა ტურნირი**

**ფინალი**

**ლევერკუზენი 2:1 გალათასარაი**

1:0 რინკი (13), 1:1 სერქანი (15), 2:1 კირსტენი (66)
გაძევება: ჰასან შაში, ბიულენთი (45, 88, ორივე გალათასარაი), ნოივილი (88, ლევერკუზენი)
ლას პალმასი, 5 000 მაყურებელი

# შევუშვათ, არ შევუშვათ...

## მარადონას თამაშს მაყურებელი არ ეყოლებაო



**დიეგო არმანდოს** ნაღველი შემოსწოლია, ის დრო გაახსენდა, როცა დიდ ფეხბურთს თამაშობდა და მინდორზე კვლავ დაბრუნების სურვილს შეუპყრია. გასაკვირია, თუ რა. მარადონასგან ყველაფერი მოსალოდნელია, თანაც არგენტინელი წასულიც ბევრჯერ გვინახავს და დაბრუნებულიც.

მარადონას გულმა „დანდისკენ" გაუწია, სადაც ძმაკაცი კლაუდიო კანიჯა ეგულება. ამის თაობაზე დანდელთა პრეზიდენტმა „სანდი მეილს" განუცხადა, მარადონა გასულ კვირაში შეგვეხმიანა და სურვილი გამოთქვა, „დანდის" მაისურით ერთ ამხანაგურ მატჩში ითამაშოსო. სქოთური კლუბის მესვეურები ამ იდეამ დიდად აღაფრთოვანა და უმალ დატრიალდნენ, საორგანიზაციო საქმეების მოგვარებას შეუდგნენ.

ახლა ერთი ძველი ამბავი გავიხსენოთ. გასულ წელს მაიკ ტაისონს გლაზგოში უნდა ეჩხუბა და ბრიტანული ვიზის მისაღებად გვარიანი პრობლემა შეექმნა. ნასამართლევ ხალხს, თუგინდ მსოფლიოს ჩემპიონი იყოს, ბრიტანული კანონი ეჭვის თვალით უყურებს და იქაურმა ჰოუმ ოფისმა (ჩვენებურად შინაგან საქმეთა სამინისტრო) კარგა ხანს იფიქრა, შემოვუშვათ ეს კაცი ქვეყანაში თუ არაო. ცეცხლზე ნავთი კუნძულელ ქალბატონთა ერთმა ნაწილმაც დაასხა, მაგ მოძალადის ფეხი არ იყოს ჩვენს მიწაზეო. ბოლოს საქმე მინისტრ ჯეკ სტროუს პირადი ჩარევით დასრულდა, რომელმაც ტაისონს ქვეყანაში შესვლის ნება მისცა.

იგივე სიტუაციაა მარადონასთან დაკავშირებით. შორს გავარდნია დიეგო არმანდოს სახელი და მისი „საქმენი საგმირონიც" საყოველთაო ბჭობის საგნად ქცეულა. მითუმეტეს, ბრიტანეთში.

იქაური სამართალდამცავები ყველაზე მეტად ფეხბურთელის იარაღით გატაცებას შეუშფოთებია. გავიხსენოთ, რომ მარადონა თავის დროზე ჟურნალისტებს გამოედევნა და პნევმატური იარაღით ესროლა. მარადონასა და კოკაინის მეგობრობაზე საუბარი ხომ არც ღირს და აგერ ბოლო ამბავიც: იტალიაში ჩასულს იქაურმა საგადასახადო პოლიციამ ოცდახუთმილიონიანი ანგარიში დაახვედრა, იტალიის ბიუჯეტისა ამდენი გმართებსო.

აღნიშნულ მიზეზთა გამო საეჭვოა, მარადონა ბრიტანეთში იოლად შეუშვან. „დანდის" წარმომადგენელმა ისიც თქვა, ჰოუმ ოფისთან მოლაპარაკება უკვე დავიწყეთ და ვიმედოვნებ ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდ წარიმართოსო.

თუმც ერთიცაა: ჰოუმ ოფისში აცხადებენ, მარადონასგან ოფიციალური თხოვნა ვიზის მიღების თაობაზე ჯერ არ მიგვიღია, ამიტომ წინასწარ ლაპარაკს, რა გადაწყვეტილებას მივიღებთ, აზრი არა აქვსო.

ამასობაში კი ერთ-ერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც შოტლანდიაში ნარკოტიკების საწინააღმდეგო კამპანიას ატარებს, საქმე გამოუჩნდა. მთელი საზოგადოება უნდა დავრაზმოთ და ეგ ნარკომანი არ ჩამოვუშვათო, გაცხარდა ორგანიზაციის ლიდერი ალისტერ რამსეი, თუმცა მაიკ ტაისონის შემთხვევით შეფიქრიანებულმა სათადარიგო ვარიანტიც მოამზადა — ჯეკ სტროუმ ისევ თუ უღალატა პრინციპებს და მარადონა შემოუშვა, იმას მაინც მივაღწევთ, ამხანაგურმა მატჩმა უმაყურებლოდ ჩაიაროსო.

**გიორგი დარჯანია**

# სისხლიანი რეკლამა

## ჰოსამი კი რეკორდს აუმჯობესებს

**აფრიკული** ქვეყნები ეროვნებათა თასის შესარჩევ ეტაპზე თამაშობენ. გასულ უქმეებზე შავ კონტინენტზე მორიგი ტური ჩატარდა და ტრაგედიითაც დასრულდა — ნიგერიის დედაქალაქ ლაგოსში იქაურმა პოლიციამ ერთ-ერთ ფანს ესროლა და ეს უიღბლოც გარდაიცვალა. ნიგერიისა და ზამბიის მატჩის დაწყების წინ სტადიონის ახლომახლო დიდი არეულობა შეიქმნა. ერთ-ერთმა მსხვილმა ნიგერიულმა კომპანიამ, რომელიც არაერთ გუნდს სპონსორობს, თვითრეკლამის მიზნით გადაწყვიტა, გულშემატკივრებისთვის უფასო მაისურები და კეპები დაერიგებინა. საჩუქრები ცოტა იყო, ცხადია, ყველას არ ეყო და სულ მალე ეს გაწევ-გამოწევა ჩხუბში გადაიზარდა. სამართალდამცავები ხალხის დაწყნარებას შეეცადნენ და ამასობაში კაციც შემოაკვდათ. გარდაცვლილ ყმაწვილს ახლო მანძილიდან თავში ესროლეს. ამის დანახვაზე ხალხი სულ მთლად გადაირია, მერე პოლიციისკენაც გაიწია, ამან კი ცრემლსადენი გაზით სავსე ბალონები დაუშინეს ბრბოს.

არეულობის გამო თამაში გვიან დაიწყო. ისიც ვთქვათ, რომ ნიგერია და ზამბია 1994 წელს კონტინენტის თასის გათამაშების ფინალში შეხვედრიან ერთმანეთს. თავად ეს მატჩი კი ნიგერიამ 1:0 მოიგო. ერთადერთი გოლი როსტოკის „ჰანზას" მოთამაშემ ვიქტორ აგალიმ დებიუტშივე გაიტანა. მოგების მიუხედავად, ნიგერიელთა თავკაცს ჯო ბონფრერეს თავისი გუნდის თამაში არ მოსწონებია და პრეს-კონფერენციაზე გაუკრიტიკებია კიდეც, თუმცა მისი გაწვრთნილები ჯგუფში პირველები არიან.

აფრიკაში ბევრი სხვა შეხვედრაც ჩატარდა, მაგრამ მათგან ერთი გამოვარჩიოთ — ეგვიპტემ 4:0 მოუგო ლიბიას. საქმე ისაა, რომ ამ მატჩში მსოფლიოს რეკორდსმენმა ითამაშა — მასპინძელმა ჰოსამ ჰასანმა 152-ედ მოირგო ნაკრების მაისურა, რამდენიმე დღის წინ დამყარებული თავისივე რეკორდი გააუმჯობესა და ლოთარ მათეუსს უკვე ორი თამაშით გაუსწრო. თავად რეკორდსმენს იმ მატჩში გოლი არ გაუტანია, სამაგიეროდ, მისმა ძმამ, აჰმედმა იყოჩაღა და მეტოქე ორჯერ დაამწუხრა.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# დიდი ძაღლი, რომელიც მომაკვდინებლად იკბინება

13 იანვარი

**მილუოკი 115:81 ნიუ ჯერსი**

**მილუოკი: კასელი (16 ქულა, 13 პასი), ალენი (12), რობინსონი (35), ს. ვილიამსი (12), პოუპი (4); ტომასი (15), ჰანტერი (7), კეფი (6), ალსტონი (5), კერსი (2), ჯონსონი (1), პრჟიბილა**

**ნიუ ჯერსი: მარბერი (13 ქულა, 11 პასი), ჰარისი, ჯეკსონი (18), ვან ჰორნი (16), მარტინი (4); ა. ვილიამსი (14), სტეფანია (18 წუთი, 7 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 2 დაფარება), ნიუმენი (5), დუგლასი (3), ემმეიერი (1)**

თუ სტატისტიკის მიხედვით ვიმსჯელებთ, „ნიუ ჯერსი ნეთსის" ქართველი ცენტრი ვლადიმერ სტეფანია ცუდ ფორმაში არ უნდა იყოს. „მილუოკისთან" მას ურიგოდ ნამდვილად არ უთამაშია, აკი მასზე მეტი მოხსნა არავის გაუკეთებია. ვოვამ თავის გუნდს შვიდი ქულაც შეაშველა, მაგრამ რა უნდა ექნა 24 წლის ქართველ ბიჭს, როცა მისი გუნდის ლიდერებს 13 იანვარს თავი არ შეუწუხებიათ. ვოვა ჯერ იმდენად არ მომწიფებულა ნბასთვის, რომ თამაშები მოიგოს და რადგან ისინი, ვისაც ეს ევალება, ვერაფერს ახერხებენ, „ნიუ ჯერსი" მატჩს მატჩზე აგებს. „მილუოკისთან" მარცხი მისთვის ზედიზედ მეთხე იყო, ბოლო თოთხმეტში კი — მეთორმეტე.

ავიღოთ თუნდაც სტივენ მარბერი. იგი გუნდის ერთპიროვნული ლიდერია, ლიგის ბომბარდირთა ათეულში შედის და დიდი ამბიციებიც აქვს, მთლიანად ასოციაციის მასშტაბით. მაგრამ მარბერი მატჩების ჩაგდებას მიეჩვია და ეს „ბადეთა" თამაშის ხარისხსაც მკვეთრად დაეტყო. აი, მილუოკიშიც მან თავის გუნდს ოდენ 13 ქულა შეაწია, ასეთ შემთხვევაში კი „ნეთსი", ფაქტობრივად, წასაგებადაა განწირული. ვერც ახალბედათა შორის ყველაზე გამორჩეული კენიონ მარტინი იყო მოწოდების სიმაღლეზე, მას კი სეზონის საუკეთესო ახალბედას ტიტულზე უჭირავს თვალი. თუმცა, თუ ასე გააგრძელა... ლიდერთა უმოქმედობისას ისევ გუნდის მეორეხარისხოვანმა მოთამაშეებმა — ვილამსმა, სტეფანიამ და ჯეკსონმა გამოიღეს ხელი, თუმც ისინი რას უნდა გამხდარიყვნენ „მილუოკისთან", რომელიც ბოლო რვა შინაურ თამაშში დაუმარცხებელი იყო და უხეირო „ნიუ ჯერსისთან" ამ იღბლიანი სერიის შეწყვეტას არც ფიქრობდა.

„ნიუ ჯერსიმ" რიგიანად დაიწყო, რაც მთლიანად ახალბედა სტივენ ჯეკსონის დამსახურებაა. ამ ჯეელმა „ნეთსის" პირველი თორმეტი ქულიდან ათი თავის ანგარიშზე ჩაიწერა და საწყისი მეოთხედი თავისიანებს 28:26 მოაგებინა კიდეც. სულ ეს იყო სტუმართა თავგამოდება. მეორე მეოთხედიდან მხოლოდ მასპინძლები თამაშობდნენ, მეტოქეს კი ამის ყოველგვარ საშუალებას უსპობდნენ. მილუოკელთა ფრთამ, „დიდ ძაღლად" წოდებულმა გლენ რობინსონმა ხომ სულ აიწყვიტა. სემ კასელი რიგიანად ათამაშებდა ბურთს და რობინსონს პასებსაც არ აკლებდა. ისიც, სადაც მიიღებდა ბურთს, იქიდან უგდებდა მეტოქეს და თითზე ჩამოსათვლელ სროლებს აცილებდა. პირველი ტაიმის შემდეგ სტუმრები 11 ქულით აგებდნენ, მესამე მეოთხედის შემდეგ სხვაობამ უკვე 23 ქულას უწია და დასკვნით მეოთხედშიც შეუფერხებლად გააგრძელა ზრდა.

რაც შეეხება ვოვა სტეფანიას, იგი 18 წუთი დამაკმაყოფილებლად თამაშობდა, აცილებულ ბურთებს ხსნიდა და რიგიანად მეურვეობდა მასპინძელთა ცენტრებს — პოუპსა და პრჟიბილას. „ბადეთა" უკანასკნელი ორი ქულაც მიითვალა მოხდენილი ჩატენვით, ორჯერაც საკუთარი კალათისკენ მიმავალი ბურთი უკუაგდო, თუმც მისი გუნდი სამარცხვინო წაგებას მაინც ვერ გადაურჩა.

ნამატჩევს შეხვედრის გმირის, გლენ რობინსონის შექება არავის დაზარებია. „სეზონი ცუდად დავიწყეთ, თუმც დღესდღეობით გაცილებით სოლიდურად ვთამაშობთ, რაც უმთავრესად გლენის დამსახურებაა. მას მომაკვდინებელი სროლა აქვს, თუ წაუვიდა და ყოველ შეხვედრაში ისე ითამაშა, როგორც დღეს, შორს წავალთ. ვფიქრობ, დღესდღეობით იგი ლიგის საუკეთესო ფრთაა და სავსებით იმსახურებს ოლ სტარზში თამაშს" — ამბობს თავის შეგირდზე „მილუოკის" თავკაცი ჯორჯ კარლი და მას „ნიუ ჯერსის" მწვრთნელი ბაირონ სკოტიც ეთანხმება: „დღეს ჩვენ ერთ კაცთან წავაგეთ. რობინსონს შესაშური სროლა აქვს და ეს საკუთარ თავზე გამოვცადეთ. იგი სავსებით იმსახურებს ადგილს ლიგის უძლიერესთა შორის".

„ნიუ ჯერსი" კი კვლავ მომავალ გამარჯვებათა იმედად რჩება და შეეცდება, 15 იანვარს ატლანტაში მაინც შეწყვიტოს უიღბლო სერია.

12 იანვარი

**დენვერი 106:93 საკრამენტო**

**დენვერი: ვან ექსელი (25 ქულა, 10 პასი), ლენარდი (22)**

**საკრამენტო: ვებერი (24 ქულა, 14 მოხსნა)**

**სიეტლი 115:102 ვანკუვერი**

**სიეტლი: პატერსონი (26), პეიტონი (21 ქულა, 10 პასი)**

**ვანკუვერი: რივზი (31), ბიბი (22 ქულა, 18 პასი), დიკერსონი (21)**

**ლეიკერსი 101:98 კლივლენდი**

**ლეიკერსი: ონილი (34 ქულა, 23 მოხსნა), ბრაიანტი (32)**

**კლივლენდი: მიურეი (25 ქულა, 11 მოხსნა), მილერი (23)**

**ჩიკაგო 85:86 შარლოტი**

**ჩიკაგო: მერსერი (21), ბრენდი (16 ქულა, 11 მოხსნა)**

**შარლოტი: დევისი (21)**

**დეტროიტი 90:111 სან ანტონიო**

**დეტროიტი: სტეკჰაუზი (35)**

**სან ანტონიო: ანდერსონი (25), დანკანი (20 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი), რობინსონი (18)**

**მინესოტა 95:89 კლიპერსი**

**მინესოტა: გარნეტი (17 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი), ბრენდონი (17)**

**კლიპერსი: ოდომი (21)**

**ვაშინგტონი 82:86 ფილადელფია**

**ვაშინგტონი: ჰამილტონი (22), ვიტნი (18)**

**ფილადელფია: აივერსონი (29), ჰილი (14 ქულა, 20 მოხსნა)**

**ბოსტონი 72:93 ტორონტო**

**ბოსტონი: უოლკერი (23 ქულა, 13 მოხსნა), პირსი (18)**

**ტორონტო: კარტერი (25)**

კარგა ხანია, შაკილ ონილს ასე კარგად არ უთამაშია. ამ სეზონში ყმაწვილი თანაგუნდელის, კობი ბრაიანტის ჩრდილში მოქცეულმა შაკილმა ჟიდრუნას ილგაუსკასის ტრავმის შემდეგ რიგიანი ცენტრის გარეშე დარჩენილი „კლივლენდი" გამოიჭირა და ფარქვეშ მის მაღლებს სულ თავბედი აწყევლინა. თავი არც ბრაიანტმა შეირცხვინა. ონილის 34 ქულას და სეზონში სარეკორდო 23 მოხსნას თავისი 32 ქულაც წაუმატა და „ლეიკერსმა" ბოლო 11 შეხვედრაში მეცხრე წარმატება იზეიმა. ისე კი, „კლივლენდი" მედგრად იდგა, არც შაკის უძლიერესმა ჩატენვებმა და არც კობის სწრაფმა და ლაღმა გარღვევებმა შეაკრთო. სტუმრები თავიანთ საქმეს აკეთებდნენ და მხოლოდ მაშინ დაყარეს ფარ-ხმალი, როცა საფინალო სირენა გაისმა.

ტორონტოში გამართულ შეხვედრაში ფავორიტად მასპინძელი „რეპტორზი" მიიჩნეოდა და იმარჯვა კიდეც. ამაში განსაკუთრებული არაფერია, თუმც რაც მატჩის მესამე მეოთხედში მოხდა, ასეთი რამ ნბა-ს თავისი ნახევარსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე არ ახსოვს. აღნიშნულ თორმეტწუთეულში „ტორონტომაც" და „ბოსტონმაც" ოდენ 9-9 ქულა გააზერხეს და ისტორიული ანტირეკორდი დაამყარეს. ეს პირველი შემთხვევაა, როცა თამაშის მესამე მეოთხედში ჯამში 18 ქულა მოგროვდა. თუმცა ტორონტოელებს რომ ჰკითხოთ, ისტორიაში ასეთი მაჩვენებლით შესვლა მათ ნაკლებად ალელვებთ. რაც მთავარია, ხომ მოვიგეთ, ამბობენ ისინი.




მილუოკი — ნიუ ჯერსი. მილუოკელებმა ლინდსი ჰანტერმა (№11) და გლენ რობინსონმა ვლადიმერ სტეფანიას ბურთი დაკარგვინეს

13 იანვარი

**ჰიუსტონი 81:84 საკრამენტო**

**ჰიუსტონი: ფრენსისი (23 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი)**

**საკრამენტო: ვებერი (31 ქულა, 11 მოხსნა), დივაცი (18 ქულა, 13 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (12)**

**ორლანდო 111:94 გოლდენ სტეიტი**

**ორლანდო: მაკგრეიდი (27)**

**გოლდენ სტეიტი: ჯეკსონი (25 ქულა, 13 მოხსნა), ჯემისონი (21)**

**ინდიანა 87:71 მაიამი**

**ინდიანა: როუზი (21), მილერი (18)**

**მაიამი: მეისონი (24 ქულა, 11 მოხსნა), ჰარდევეი (20)**

**ატლანტა 108:88 კლიპერსი**

**ატლანტა: რაიტი (28)**

**კლიპერსი: ბოიკინსი (15)**

**ფილადელფია 100:83 სან ანტონიო**

**ფილადელფია: აივერსონი (40)**

**სან ანტონიო: დანკანი (29), ანდერსონი (23)**

**დალასი 86:103 ფინიქსი**

**დალასი: ფინლი (27), ეისლი (20)**

**ფინიქსი: მარიონი (23 ქულა, 11 მოხსნა, 6 ჩაჭრა), რობინსონი (21)**

**ვანკუვერი 119:107 კლივლენდი**

**ვანკუვერი: დიკერსონი (32), ბიბი (20 ქულა, 16 პასი), აბდურ-რაჰიმი (18 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი)**

**კლივლენდი: გეტლინგი (27), მიურეი (23), მილერი (17 ქულა, 10 პასი)**

**ნიუ იორკი 91:78 პორტლენდი**

**ნიუ იორკი: ვორდი (17), კემბი (16 ქულა, 15 მოხსნა)**

**პორტლენდი: სმიტი (15)**

**იუტა 111:103 ლეიკერსი**

**იუტა: სტოქტონი (21 ქულა, 11 პასი), სტარქსი (21), მელოუნი (20)**

**ლეიკერსი: ონილი (30 ქულა, 12 მოხსნა), ბრაიანტი (27)**

იმ ხალხმა, ვინც თვლის, სტოქტონ-მელოუნის წყვილის დრო წავიდა და ახლა ბრაიანტ-ონილის ზეობის ხანა დგას, 13 იანვარს კიდევ ერთხელ იკბინა ენაზე. ჯონ სტოქტონისა და კარლ მელოუნის ასაკში ბევრი კალათბურთიდან უკვე წასულია. უბერებელ ბებერთა „იუტა ჯაზი" კი კვლავაც მხნედ გრძნობს თავს და მიმდინარე სეზონში მის მიერ ძლეულთა გრძელ სიაში მეორედ ვხედავთ ძლევამოსილ ჩემპიონს, „ლოს ანჯელეს ლეიკერსს". წინა სეზონის ტრიუმფატორი „ჯაზმა" ამჯერად შინაურ კედლებში დასცა და საკმაოდ იოლადაც. „იუტას" მწვრთნელმა ჯერი სლოუნმა ამასწინათ უგულო თამაშისთვის შეგირდები გაკიცხა, ამ შეხვედრის შემდეგ კი სტოქტონ-მელოუნზე აუგი არ დასცდენია. პირიქით, შეაქო ისინი და სავსებით დამსახურებულადაც. მისმა გაწვრთნილებმა აჩვენეს ყველაფერი, რასაც სლოუნი მათგან ითხოვს და ჯილდოდ გამარჯვებაც მოიმკეს.

მიმდინარე შედეგის მიხედვით ლიგის საუკეთესო გუნდმა, „პორტლენდმა" ზედიზედ ათი გამარჯვების შემდეგ პირველად წააგო. ნიუ იორკში ნბა-ს საუკეთესო დაცვის გუნდმა, „ნიუ იორკ ნიქსმა" მეტოქეს სულ 78 ქულა ჩააგდებინა, რაც მის დასამარცხებლად საკმარისი აღმოჩნდა.

„პორტლენდის" მარცხმა „ფილადელფია სიქსერზის" წისქვილზე დაასხა წყალი. „სიქსერზმა" ალან აივერსონის 40 ქულის წყალობით იოლად მოუგო ექსჩემპიონ „სან ანტონიოს", „პორტლენდს" გაუსწრო და ნბა-ს დანარჩენი 28 გუნდიც უკან ჩამოიტოვა.

14 იანვარი

**ფინიქსი 87:106 სიეტლი**

**ფინიქსი: რობინსონი (33)**

**სიეტლი: პატერსონი (25 ქულა, 10 მოხსნა), პეიტონი (22), ლუისი (20)**

**მაიამი 90:81 ჩიკაგო**

**მაიამი: ჯონსი (20), მეისონი (19 ქულა, 10 მოხსნა), გრანტი (19)**

**ჩიკაგო: ბრენდი (25), მერსერი (19)**

**ტორონტო 107:99 შარლოტი**

**ტორონტო: კარტერი (40)**

**შარლოტი: მაშბურნი (21 ქულა, 12 მოხსნა), ვესლი (20)**

**დეტროიტი 96:103 პორტლენდი**

**დეტროიტი: სტეკჰაუზი (41), სმიტი (18)**

**პორტლენდი: ველსი (28 ქულა, 14 მოხსნა), სმიტი (21)**

დეტროიტელმა ჯერი სტეკჰაუზმა „პორტლენდს" 41 ქულა ჩაუგდო, რის წყალობითაც ბომბარდირთა სიაში პირველადგილოსანი კობი ბრაიანტი დააქვეითა და იქ თავად მოკალათდა, თუმც მისმა 41 ქულამ „დეტროიტი" ზედიზედ მეხუთე მარცხისგან მაინც ვერ იხსნა. „პისტონზს" ლახვარი პორტლენდელმა ბონზი ველმა ჩასცა, რომელმაც კარიერაში საუკეთესოდ ითამაშა. ველსი „დეტროიტზე" გაგულისებულია, რადგან 1998 წელს ამ გუნდმა დრაფტში აიყვანა და იმდენად სუსტად ჩათვალა, „პორტლენდში" გაუშვა. და აი, ბონზიმ ყოფილ გუნდს სამაგიერო გადაუხადა. შურისძიებაც ასეთი უნდა.

**ირაკლი ფირცხალავა**




ტორონტო — შარლოტი. ტორონტოელი ვინს კარტერი თავიან-ბურთიანად ბადეში გაეხვა

# ვილკინსი მაისური მუდმივია

13 იანვარს „ატლანტა ჰოქსი“ და „ლოს ანჯელეს კლიპერსს“ მასპინძლობდა. ეს გახლდათ ერთი ჩვეულებრივი თამაში ლიგის ორ აუტსაიდერს შორის, მაგრამ შეხვედრას ესწრებოდნენ მაიკლ ჯორდანი, მეჯიქ ჯონსონი, ჯულიუს ირვინგი, აიზია ტომასი, დენი ეინჯი, ნბა-ს კომისარი დევიდ შტერნი... დიდებული კრებულია. დამერწმუნებით, ისინი ორი უხეირო გუნდის ჯახირის საცქერად არ შეწუხდებოდნენ, სხვა მიზეზი ექნებოდათ. დიახ, „ატლანტა ჰოქსმა“ წარსულის დიდ კალათბურთელ დომინიკ ვილკინსს, რომელსაც ამ გუნდში 12 წელი გაუტარებია, პატივი დასდო და მუდმივი ნომერი უბოძა. ზემოხსენებული შეხვედრის დიდი შესვენებისას ვილკინსის ნაქონი 21-ნომრიანი მაისურა დარბაზ „ფილიპს არენას“ ჭერზე აიწია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ნომრით „ატლანტაში“ დღეიდან ვერავინ ითამაშებს.

ეს ოფიციალურად, თორემ მას შემდეგ, რაც დომინიკ ვილკინმა „ატლანტა“ დატოვა, ანუ 1994 წლიდან, არავის მოურგია 21-ნომრიანი მაისურა, იმდენად დიდია ამ ლეგენდარული კალათბურთელისადმი პატივისცემა. ოცი ათასი კაცი ფეხზე წამოდგომით და მქუხარე ოვაციებით შეეგება თავის კერპს, რომელმაც კარიერის უდიდესი ნაწილი „ქორებს“ შესწირა და მისი უამრავი გამარჯვების შემოქმედი შეიქნა. „თქვენ არ იცით, რამდენს ნიშნავს ჩემთვის ყოველივე ეს. ბედნიერი ვარ, როცა ვხედავ ჩემს მაისურას იმ გუნდის დარბაზის ჭერზე, რომელშიც ამდენ ხანს ვითამაშე და რომელმაც ბევრი სიხარული მაჩუქა“ — თქვა ვილკინსმა და ხალხი მას ტაშით შეეგება.

დომინიკ ვილკინსს არც ის დღე დავიწყებია, როცა თავის გუნდს გაშორდა. 1994 წლის 24 თებერვალს კლუბმა იგი „კლიპერსს“ დენი მენინგში გაუცვალა და ვინ იცის, „ჰოქსის“ მამებმა რამდენჯერ ინანეს, რომ ასე მოიქცნენ. სიმბოლურიც იყო, რომ ეს ცერემონია სწორედ „კლიპერსთან“ თამაშს დაემთხვა, ამასთან წინა დღით ვილკინსს დაბადებიდან 41 წელი შეუსრულდა.

ნბა-ს ყველა დროის ერთ-ერთ უძლიერეს მეჭურეს კარიერაში მოგროვილი 26 668 ქულის (მერვე შედეგი ლიგის ისტორიაში) უდიდესი ნაწილი „ატლანტას“ 21-ნომრიანი მაისურით მოუპოვებია. თავისი ოფიციალური სამადლობელის თქმისას დომინიკ ვილკინსმა კარიერის ყველაზე სამახსოვრო, დრამატული შეხვედრაც გაიხსენა: „1988 წელს აღმოსავლეთის ნახევარფინალში ლარი ბერდის „ბოსტონს“ ვხვდებოდით... მეშვიდე, გადამწყვეტი შეხვედრის ბოლო მეოთხედში მე 16 ქულა ჩავაგდე (სულ იმ შეხვედრაში 47 მოაგროვა), მაგრამ ლარი ბრწყინავდა. მან 20 ქულა ჩაგვიგდო, წავაგეთ და ბრძოლას გამოვეთიშეთ. ასე დავკარგეთ ჩემპიონობის ყველაზე რეალური შანსი, რომელიც კი ოდესმე გვქონია. ჩემს დროს „ატლანტა“ ლიგას არ აზანზარებდა, მაგრამ კარგი გუნდი კი ვიყავით“.

დაბოლოს, ისიც ვთქვათ, რომ „ატლანტა“ ძველი გუნდია და მის რიგებში ბევრ ძლიერ კალათბურთელს უთამაშია, მაგრამ მხოლოდ სამს — ვილკინსს, ბობ პეტიტს და ლუ ჰადსონს ხვდათ პატივი მუდმივი მაისურის მიღებისა.

**ივანე ძოგიაშვილი**



დომინიკ ვილკინსმა ცერემონიალზე 4 წლის ქალიშვილი ალექსანდრა იახლა





**რამაზ ხარშილაძე**
**ძიუდო**

- დაიბადა 1951 წლის 16 იანვარს ხაშურის რაიონის სოფელ ნაცარგორაში
- მონრეალის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი (1976)
- მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი (1975)
- ევროპის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი (1975, 1980)
- საბჭოთა კავშირის რვაგზის ჩემპიონი
- საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ორგზის ჩემპიონი
- თბილისის საერთაშორისო ტურნირის ექვსგზის ჩემპიონი
- ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და ორი შვილიშვილი

# გაუტეხელი

## ტატამზე შესული ხარშილაძე მწვრთნელებს ხანმოკლე შვებულებაში უშვებდა

**რამაზ ხარშილაძე** ქართული ძიუდოს ელიტის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელია. იგი განსაკუთრებული ძიუდოისტი იყო საქმისადმი დამოკიდებულებით, უნიკალური ტექნიკით და ბრწყინვალე ტაქტიკური აზროვნებით. რამაზი გახლდათ უდიდესი შემართების მოჭიდავე, რომლისთვისაც უცხო იყო თავის დაზოგვა.

რამაზი პატარა ბიჭი იყო, როცა გავიცანი. რვა კლასის დამთავრების შემდეგ ხაშურის რაიონის სოფელ ნაცარგორიდან თბილისში გადმოვიდა და მექანიკურ ტექნიკუმში ჩააბარა. სწორედ მაშინ მოვიდა სავარჯიშოდ „დინამოს“ დარბაზში. შემიძლია ვთქვა, რომ მისმა კარიერამ ჩემს თვალწინ ჩაიარა. მეტიც, ხარშილაძის ძიუდოისტად ჩამოყალიბებაში მცირე წვლილი მეც მიმიძღვის, რადგან რამაზის საქართველოს ნაკრებში აყვანისას ამ გუნდს ვხელმძღვანელობდი და როცა იგი სპორტს გამოეთხოვა, მაშინაც ამ თანამდებობაზე ვმუშაობდი.

ხარშილაძეს უამრავი ტიტული მოუგია, მაგრამ პირადად მე მათზე წინ მის მებრძოლ ხასიათს და პატრიოტიზმს დავაყენებდი. რამაზი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა გუნდურ შეჯიბრებებს და, როცა გუნდს უჭირდა, მზად იყო, მისთვის თავი გაეღო. უამრავი მაგალითის მოყვანა შემიძლია, როცა ხარშილაძემ პირადად მოაგებინა საქართველოს ნაკრებს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი, თასი თუ ხალხთა სპარტაკიადა.

ერთ ამბავს გავიხსენებ. 1979 წელს იაპონიის ძიუდოს ფედერაციამ ტოკიოში ანზორ კიკნაძის სახელობის ტურნირი მოაწყო. შეჯიბრება გუნდური იყო. საქართველოს ნაკრები ცალკე მიგვიწვიეს, ჩვენს გარდა მონაწილეობდნენ ამერიკის ორი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ორი და იაპონიის რვა გუნდი. ფინალში გავედით და იაპონიის პირველ ნაკრებს ვხვდებით. ისე გამოვიდა, რომ ხარშილაძის შეხვედრა გადამწყვეტი იყო. მოიგებდა — საქართველოს ნაკრები ტურნირის ჩემპიონი ხდებოდა, წააგებდა — მეორე ადგილზე გავდიოდით. დაიწყო შეხვედრა და იაპონელმა ძიუდოისტმა რამაზს ფანდი გაუკეთა. გდება დაბალი ქულით უნდა შეეფასებინათ, მაგრამ იაპონელმა მსაჯებმა წმინდა მოგება აღნიშნეს. აქ უპრეცედენტო რამ მოხდა: ლეგენდარულმა იაპონელმა ძიუდოისტმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ისაო ინოკუმამ თავისთან მიიხმო მსაჯები, გაკიცხა, შეფასება გააუქმებინა და შეხვედრის ობიექტურად განსჯა მოსთხოვა. ამასობაშიი რამაზს დავუძახე, ხომ ხედავ რა ხდება, თუ იპონზე არ დააზეთქე, გამარჯვებას არავინ მოგცემს-მეთქი. ხარშილაძემ მანიშნა, ახლავეო და პირველსავე მისვლაზე ისე დააგდო იაპონელი, ყველაზე მიკერძოებული მსაჯიც კი წმინდა გამარჯვებაზე ნაკლებს ვერ მიაკუთვნებდა. ასე მოხდა უპრეცედენტო რამ: იაპონიის ნაკრები სამშობლოში პირველად დამარცხდა, ხოლო საქართველოს გუნდმა სენსაციური გამარჯვება მოიპოვა.

სხვათა შორის, ისაო ინოკუმას ძალიან უყვარდა ხარშილაძის ჭიდაობა და თავად რამაზსაც პატივს სცემდა. ხშირად მოსულა ჩემთან, გულზე მჯიღი დაურტყამს და უთქვამს: „ხარშილაძე გულიანი ბიჭია, ვაჟკაცია და ამიტომ მიყვარს“. ინოკუმა კი სიტყვებს ჰაერზე არ ისროდა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, იგი, იასუჰირო იამასიტასა და ანტონ გეეზინკის მსგავსად, ძიუდოდან დაუმარცხებლად წავიდა.

ხარშილაძე ტატამზე დინჯი და სერიოზული იყო, ცხოვრებაში კი — მხიარული და დარდიმანდი. შევიდოდით დილით დარბაზში, სადაც რამდენიმე წუთში შეჯიბრება იწყებოდა. რამაზი პრიზიორთა კვარცხლბეკს მონახავდა და აუცილებლად დამიძახებდა. დაარტყამდა ხელს მესამე საფეხურს და მეტყოდა: ამაზე პრეტენზია არა მაქვსო, დაარტყამდა ხელს მეორე საფეხურს და იგივეს გაიმეორებდა. მერე კი პირველ საფეხურს აუტეხდა ბაგაბუგს და ამბობდა: აქ დასადგომად ვინც გაიქაჩება, ჩემთან ექნება საქმეო და გაიღიმებდა. დაიწყებოდა შეჯიბრება, ხარშილაძე ყველას მოუგებდა და როცა დასაჯილდოებლად პირველ საფეხურზე დადგებოდა, აუცილებლად გამომძახებდა: ხომ გითხარით, ამ ადგილზე სხვას არავის დავაყენებ-თქო.

თბილისის საერთაშორისო ტურნირის დროს საქართველოს ნაკრები სასტუმრო „უშბაში“ ცხოვრობდა. ტურნირი მეორე დღეს იწყებოდა და ხარშილაძესაც მაშინ უნდა ეჭიდავა. საორგანიზაციო საქმეების გამო სასტუმროში გვიან ღამით დავბრუნდი, მაშინ, როცა ძიუდოისტებს, წესით, უნდა ეძინოთ. ჰოლში რამაზს მოვკარი თვალი, რომელსაც დაეგვიანა და ოთახისკენ მიდიოდა. თავი შევიკავე, სიტუაციის გამწვავებას მოვერიდე და საერთოდ არ დავენახე. მთელი ღამე ვბორგავდი. ცალკე ჩემს თავზე ვბრაზობდი, ცალკე — რამაზზე, თან ვფიქრობდი, ამან ხვალ როგორ უნდა იჭიდავოს-მეთქი. არადა, იმ დროს ხარშილაძის წონაში, ქვემძიმეში, მარტო საბჭოთა კავშირში ათამდე ისეთი ძიუდოისტი იყო, ნაკრების პირველ ნომრობაზე პრეტენზიას რომ აცხადებდა.

გათენდა, დაიწყო ტურნირი და ეს რა ვნახე! ხარშილაძემ პანტა-პუნტით მიყარ-მოყარა მეტოქეები და ჩემპიონი გახდა. ვაპატიე წინა ღამის დაგვიანება, ან კი რა უნდა მეთქვა, მისი ჭიდაობის ცქერა ერთი სიამოვნება იყო. საერთოდ, რამაზი რომ ჭიდაობდა, მწვრთნელები წყნარად ვიყავით, რადგან ვიცოდით — იგი შეცდომას არ დაუშვებდა და ტატამზეც ბოლომდე გაიხარჯებოდა. სხვათა შორის, ხარშილაძეს ექვსჯერ მოუგია თბილისის საერთაშორისო ტურნირი. ეს მიღწევა დღემდე ვერავინ გაიმეორა.

ხარშილაძის კარიერის ყველაზე დრამატული ნაწილი მონრეალის ოლიმპიადა გახლდათ. ფინალამდე იოლად მივიდა, იქ კი დიდი იაპონელი ძიუდოისტი კაცუჰირო ნინომია შეხვდა. ნინომია მძიმე წონის მოჭიდავე იყო, მაგრამ ოლიმპიადისთვის საგანგებოდ დაიკლო წონა და ქვემძიმეში იასპარეზა. ეს შეხვედრა ტექნიკურ-ტაქტიკური ბრძოლის შედევრი იყო. ნინომიამ მცირე უპირატესობით გაიმარჯვა, თუმცა ეს სრულებითაც არ აკნინებს რამაზის მაღალ ოსტატობას.

1975 წელს ვენაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე, ხარშილაძეს ჩემპიონობა წაართვეს. ნახევარფინალში იგი ფრანგ ჟან-ლუკ რუჟეს შეხვდა და სულ აქეთიქით ათრია. მსაჯებმა რამაზს გდებები არ შეუფასეს, რუჟე არ გააფრთხილეს და მერე თავიანთი გადაწყვეტილებით გაამარჯვებინეს. ხარშილაძემ მესამე ადგილი მაინც აიღო, მაგრამ გულში ხინჯი ყველას დაგვრჩა — იგი ყველაზე ღირსეული ჩემპიონი იქნებოდა.

ხარშილაძეს უსამართლოდ ეპყრობოდნენ საკავშირო სპორტკომიტეტის და ნაკრების ხელმძღვანელები. იმდროინდელი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მწვრთნელი ალექსანდრ ლუკიჩოვი რამაზს ცუდი თვალით უყურებდა და პირველივე საშუალებისთანავე სჯიდა. ხარშილაძე პერიოდულად გამოჰყავდათ საკავშირო ნაკრებიდან, თუმცა იგი ამას არ იმსახურებდა. მიუხედავად ამისა, რამაზი არ გატყდა, თავდაუზოგავად აგრძელებდა ვარჯიშს და ხშირად იგებდა ქვეყნის ჩემპიონატებსა და საერთაშორისო ტურნირებს. სხვა მის ადგილზე ხელებს ჩამოყრიდა, მაგრამ ხარშილაძე ბედს არასდროს შეგუებია და სპორტიდანაც ლამაზად და თავაწეული წავიდა.

დღეს რამაზ ხარშილაძე 50 წლის გახდა.

**ბიძინა მაჩიაშვილი**
**საქართველოს და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი**



1973 წელი. კიევი. საბჭოთა კავშირის პირველ ჩემპიონატში გამარჯვებული საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები. დგანან (მარცხნიდან): ჯიბილო ნიჟარაძე, რამაზ ხარშილაძე, ბიძინა მაჩიაშვილი (მწვრთნელი), ამირან მუზაევი, გივი ონაშვილი. სხედან: აბესალომ წიკლაური, კოტე შაბურიშვილი, გურამ გოგოლაური, აბდულ ბარგალაევი, შენგელი ფიცხელაური.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისი. II დივიზიონი
17 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 001 | სტოკი-ბრენტფორდი | 1,55 | 3,4 | 5,6 |

### ინგლისი. III დივიზიონი
16 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 002 | პლიმუთი-ლინკოლნი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.45 | 003 | ჩესტერფილდი-ჰარტლპული | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.45 | 004 | ჰალი-ბლეკპული | 2,2 | 3,0 | 3,1 |

### ინგლისი. თასის მე-3 ეტაპი. გადათამაშება
16 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 005 | ნოტსი-უიმბლდონი | 3,0 | 3,3 | 2,0 |
| 23.45 | 006 | სკანთორპი-ბარნლი | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 23.45 | 007 | ქრიუ-კარდიფი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 23.45 | 008 | გრიმსბი-უიკომბი | 1,55 | 3,2 | 5,6 |

17 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 009 | კრისტალ პალასი-სანდერლენდი | 3,4 | 3,2 | 1,9 |
| 23.45 | 010 | ასტონ ვილა-ნიუკასლი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 24.00 | 011 | ქუინზ პარკი-ლუტონი | 1,35 | 4,0 | 6,5 |

### ესპანეთი თასის 1/8 ფინალი. II მატჩები
17 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 012 | სარაგოსა-მურსია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | | I მატჩი: 3-2 | | | |
| 23.15 | 013 | ბილბაო-რასინგი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| | | 0-2 | | | |
| 23.45 | 014 | რაიო ვალეკანო-ატლეტიკო | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | | 2-2 | | | |
| 23.45 | 015 | მალიორკა-ტენერიფე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 2-0 | | | |
| 24.00 | 016 | ესპანიოლი-ესტრემადურა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | | 1-1 | | | |
| 00.30 | 017 | სელტა-ლეგანესი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | | 2-1 | | | |

### პორტუგალია. თასის 1/8 ფინალი
16 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 018 | სპორტინგი-ნასიონალი | 1,15 | 5,6 | 10,0 |

17 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 019 | პენაფიელი-ბოავიშტა | 4,7 | 3,3 | 1,5 |
| 01.00 | 020 | ბენფიკა-პორტუ | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 01.00 | 021 | ფარენსე-მარიტიმუ | 2,1 | 3,0 | 3,3 |

### ბელგია. თასის 1/8 ფინალი
17 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 022 | ანდერლეხტი-გენტი | 1,35 | 4,0 | 7,5 |

### საბერძნეთი. თასის 1/8 ფინალი. I მატჩები
17 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 023 | ირაკლისი-იანინა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 18.00 | 024 | ქსანთი-იონიკოსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 18.00 | 025 | პანიონიოსი-პანათინაიკოსი | 5,0 | 3,4 | 1,5 |
| 22.00 | 026 | არისი-პაოკ | 2,3 | 3,0 | 2,9 |

### კალათბურთი
16 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 801 | მაიამი-დეტროიტი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 05.00 | 802 | ჰიუსტონი-ტორონტო | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 05.00 | 803 | მილუოკი-კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 07.00 | 804 | პორტლენდი-კლივლენდი | 1,15 | 12,0 | 4,0 |

17 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 805 | ფილადელფია-ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 04.30 | 806 | შარლოტი-დალასი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 04.30 | 807 | ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.00 | 808 | იუტა-მინესოტა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 05.30 | 809 | სან ანტონიო-ტორონტო | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 06.00 | 810 | დენვერი-ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 07.30 | 811 | საკრამენტო-ბოსტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 07.30 | 812 | სიეტლი-ფინიქსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |

18 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 813 | ინდიანა-ატლანტა | 1,25 | 12,0 | 2,8 |
| 05.00 | 814 | დალასი-ორლანდო | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 05.00 | 815 | პორტლენდი-მაიამი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 05.30 | 816 | ჩიკაგო-დეტროიტი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 07.30 | 817 | გოლდენ სტეიტი-ჰიუსტონი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 07.30 | 818 | კლიპერსი-ბოსტონი | 1,6 | 12,0 | 1,8 |

### კალათბურთი. სუპროლიგა
17 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 819 | ვილერბანი-სიენა | 1,5 | 12,0 | 2,0 |

18 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 820 | ეფესი-კრკა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 21.00 | 821 | ცსკა-ცეპტერი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 21.00 | 822 | პლანია-მაკაბი | 4,0 | 12,0 | 1,1 |
| 21.00 | 823 | რაანანა-ლიეტუვოს რიტასი | 1,35 | 12,0 | 2,3 |
| 21.00 | 824 | პარტიზანი-ირაკლისი | 1,35 | 12,0 | 2,8 |
| 23.30 | 825 | პანათინაიკოსი-სპლიტი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 826 | ოსტენდე-ბაიერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 827 | სკავოლინი-პო ორტეზი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 828 | ალბა-ულქერი | 1,7 | 12,0 | 1,7 |

### კალათბურთი. ევროლიგა
17 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 829 | პეტერბურგი-კინდერი | 2,8 | 12,0 | 1,2 |
| 23.30 | 830 | ზადარი-ჟალგირისი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.30 | 831 | ლუგანო-ესტუდიანტესი | 2,8 | 12,0 | 1,2 |
| 23.30 | 832 | ფორტიტუდო-პერისტერი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 23.30 | 833 | აეკ-ტაუ | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 23.30 | 834 | შარლერუა-ციბონა | 2,8 | 12,0 | 1,2 |

18 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 835 | ოვარენსე-ბენეტონი | 5,0 | 12,0 | 1,1 |
| 23.30 | 836 | რეალი-ოლიმპია | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 23.30 | 837 | ჰაპოელი-ოლიმპიაკოსი | 2,8 | 12,0 | 1,2 |
| 23.30 | 838 | სკაილაინერსი-ბარსელონა | 5,0 | 12,0 | 1,1 |
| 23.30 | 839 | ლონდონი-პაოკ | 2,3 | 12,0 | 1,35 |
| 23.30 | 840 | ბუდუჩნოსტი-მიულერი | 1,6 | 12,0 | 1,8 |

### ჰოკეი
16 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 901 | ბუფალო-ტამპა ბეი | 1,3 | 4,0 | 5,6 |
| 04.00 | 902 | ოტავა-ლოს ანჯელესი | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 04.00 | 903 | რეინჯერსი-ფილადელფია | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 04.30 | 904 | მონრეალი-კაროლინა | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.30 | 905 | ნიუ ჯერსი-ბოსტონი | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 05.00 | 906 | ნეშვილი-ედმონტონი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 06.00 | 907 | კოლორადო-აილენდერსი | 1,3 | 4,0 | 5,6 |
| 07.00 | 908 | ვანკუვერი-დეტროიტი | 2,1 | 4,0 | 2,1 |

17 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 909 | ტორონტო-ლოს ანჯელესი | 1,7 | 4,0 | 2,7 |
| 04.30 | 910 | ატლანტა-ანაჰაიმი | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 05.00 | 911 | მინესოტა-კოლუმბუსი | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 05.30 | 912 | ჩიკაგო-ფლორიდა | 1,55 | 4,0 | 3,2 |
| 05.30 | 913 | დალასი-ნეშვილი | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 06.00 | 914 | ფინიქსი-პიტსბურგი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 07.30 | 915 | სან ხოსე-კალგარი | 1,5 | 4,0 | 3,4 |

18 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 916 | ოტავა-ვაშინგტონი | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 04.00 | 917 | რეინჯერსი-ტორონტო | 2,2 | 4,0 | 2,0 |
| 04.00 | 918 | ფილადელფია-ნიუ ჯერსი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 04.00 | 919 | კაროლინა-ბოსტონი | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 04.30 | 920 | მონრეალი-ტამპა ბეი | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 05.00 | 921 | სენტ ლუისი-ედმონტონი | 1,45 | 4,0 | 3,8 |
| 06.00 | 922 | კოლორადო-ვანკუვერი | 1,5 | 4,0 | 3,4 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

### კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61



მარტინა ჰინგისი

# მარტინას არ ეშინია

**სიდნეი. ავსტრალია.**
**ADIDAS INTERNATIONAL**
**რიბაუნდ ეისი.**
**საპრიზო 915 ათასი $**

ქალები

**მეოთხედფინალი:** მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — სერენა უილიამსი (6, აშშ) 6:4, 7:5; ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ლაიზა რეიმონდი (აშშ) 7:5, 6:4; ამელი მორესმო (საფრანგეთი) — მონიკა სელეში (3, აშშ) 6:4, 7:6 (7:5); კონჩიტა მარტინესი (4, ესპანეთი) — კორინა მორარიუ (აშშ) 6:4, 6:0

**ნახევარფინალი:** ჰინგისი — მარტინესი 6:3, 6:2; დევენპორტი — მორესმო — ტრავმა

**ფინალი:** ჰინგისი — დევენპორტი 6:3, 4:6, 7:5

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მარტინა ჰინგისმა სიდნეიში ავსტრალიის ღია პირველობის წინ სრული და წარმატებული გენერალური რეპეტიცია მოაწყო. ოლიმპიური ქალაქის არ იყოს, მელბურნშიც კენჭისყრის მიხედვით შვეიცარიელს მეოთხედფინალში სერენა უილიამსთან, ფინალში კი ლინდსი დევენპორტთან ბრძოლა ელოდება და თუ მისი ახლანდელი ფორმით ვიმსჯელებთ, ის მზადაც არის, ჯან-ღონიან მეტოქეებს გაუმკლავდეს.

„მე არავის მეშინია“ — განაცხადა ორიგინალურ, ერთ მოკლე და ერთ გრძელსახელოიან მაისურაში გამოწყობილმა მარტინამ უმცროსი უილიამსის დამარცხების შემდეგ და ეს დევენპორტთან მატჩშიც დაამტკიცა.

როგორც ყოველთვის, მსოფლიოს პირველ-მეორე ჩოგნების შეხვედრა ამჯერადაც მეტად საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. თავიდან სრული უპირატესობა ჰინგისის მხარეს იყო, მან პირველი სეტი მოიგო და მეორეში 4:2 დაწინაურდა, სანამ გიგანტი ამერიკელი ხელს გამოიღებდა და დროებით სიტუაციის სრული ბატონ-პატრონი გახდებოდა.

დევენპორტმა მომდევნო 8 გეიმიდან 7 მოიგო და გადამწყვეტ სეტში უკვე თავად გაიჭრა წინ — 3:1, როცა დაბნეული და გაღიზიანებული ჰინგისი გონს მოეგო და თავისი მაისურის ფერის ბაირაღის გადმოფენა იუარა. შვეიცარიელმა ანგარიში გაათანაბრა და მეტოქის წინააღმდეგობა მატჩის ბოლოსწინა გეიმში, 5:5-ზე გატეხა: დევენპორტმა იოლი სმეში ბადეში გააზვია და საკუთარი მოწოლება დათმო.

„მოგება კინაღამ ხელიდან გამომეცალა და ამან ძალიან გამაბრაზა, თუმცა, საბედნიეროდ, არ გავტყდი. ამ კვირაში საუკეთესო მეტოქეები დავამარცხე, ფიზიკურად თავს შესანიშნავად ვგრძნობ და, თქვენ წარმოიდგინეთ, აქაური აუტანელი სიცხეც კი მომწონს“ — განაცხადა მარტინამ, რომელმაც კარიერის 36-ე ტიტული მოიპოვა.

„მარტინასთან შეხვედრები ყოველთვის განსაკუთრებულია, თუნდაც წავაგო, მათგან მაინც დიდ სიამოვნებას ვიღებ, ერთმანეთსაც გულთბილად ვულოცავთ. ზოგჯერ გაგიმართლებს, ზოგჯერ — არა, თუმც ამ არაჩვეულებრივი გათამაშებებისა და დარტყმების შემდეგ გული როგორ დაგწყდება“ — იხტიბარი არ გაიტეხა ამერიკელმა, რომელიც პირად შეხვედრებში წინ არის — 12:10.

კაცები

**მეოთხედფინალი:** მაგნუს ნორმანი (1, შვედეთი) — გეორგ ბასტლი (შვეიცარია) 6:4, 3:6, 6:3; ლეიტონ ჰიუიტი (2, ავსტრალია) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:4, 6:1; სებასტიან გროჟანი (6, საფრანგეთი) — როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 7:5, 6:4; იონას ბიორკმანი (შვედეთი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:3, 6:4

**ნახევარფინალი:** ნორმანი — ბიორკმანი 5:7, 6:3, 7:5; ჰიუიტი — გროჟანი 6:3, 4:6, 6:4

**ფინალი:** ჰიუიტი — ნორმანი 6:4, 6:1

ქალებისგან განსხვავებით, კაცების ფინალი სიდნეის ოლიმპიურ საჩოგბურთო კომპლექსში ცალკარა და უინტერესო გამოდგა. მასპინძელთა ჯილამ, 19 წლის ლეიტონ ჰიუიტმა, მარტინა ჰინგისთან დაშორების შემდეგ ხელიდან წასულ მსოფლიოს მეოთხე ჩოგან მაგნუს ნორმანს შანსი არ დაუტოვა.

„ეს ორი კვირაა, მატჩიდან მატჩამდე ვუმატებ, შესანიშნავ ფორმაში ჩავდექი — აღნიშნა ავსტრალიელმა, რომელსაც სუნთქვის გასაიოლებლად უახლოეს მომავალში ცხვირის ოპერაციის გაკეთება მოუხდება — შარშან მაგნუსმა ავსტრალიის ღია პირველობის მერვედფინალში მომიგო, თუმც მაშინ ის გაცილებით უკეთესად ირჯებოდა“.

**ოკლენდი. ახალი ზელანდია.**
**„ჰაინეკენის“ ღია პირველობა.**
**რიბაუნდ ეისი.**
**საპრიზო 350 ათასი $**

**მეოთხედფინალი:** დომინიკ ჰრბატი (2, სლოვაკეთი) — ტომას იოჰანსონი (7, შვედეთი) 6:7 (4:7), 6:3, 6:2; ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) — ჟან-მაიკლ გემბილი (3, აშშ) 6:4, 6:4; გრეგ რუზედსკი (ინგლისი) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:2, 5:7, 7:5; ხუან ბალსელსი (ესპანეთი) — გლენ ვაინერი (გერმანია) 6:3, 6:4

**ნახევარფინალი:** ჰრბატი — ბალსელსი 7:6 (7:2), 6:3; კლავეტი — რუზედსკი 6:3, 6:2

**ფინალი:** ჰრბატი — კლავეტი 4:6, 6:2, 6:3

**კანბერას ღია პირველობა.**
**ავსტრალია. რიბაუნდ ეისი.**
**საპრიზო 180 ათასი $**

**ნახევარფინალი:** სანდრინ ტესტიუ (4, საფრანგეთი) — მარი პირსი (1, საფრანგეთი) 6:4, 6:2; ჟიუსტინ ენენი (ბელგია) — ნატალი დეში (7, საფრანგეთი) 6:2, 6:4

**ფინალი:** ენენი — დეში 6:2, 6:2

კანბერას პატარა, ფრანკოფონულ ტურნირზე ყურადღების გამახვილების მიზეზი ბელგიელი ჟიუსტინ ენენია. 18 წლის უნიჭიერესმა ჩოგბურთელმა როგორც იქნა, დაიწყო თავისი დიდი პოტენციალის და მასზე დამყარებული იმედების გამართლება და წლეულს უკვე ზედიზედ 2 ტურნირის, ზედიზედ 10 მატჩის მოგება მოასწრო (წინა კვირაში ენენმა გოულდ ქოუსთში იმარჯვა).

„რაღაც შეიცვალა, თუმც კონკრეტულად რა, ვერ გეტყვით. უფრო ნაკლებად ვცდები, უფრო ჭკვიანურად ვირჯები და ფსიქოლოგიურადაც მოვმძლავრდი, თანაც ყველაფერი ერთდროულად ხდება“ — გაკვირვებულია თავად ბელგიელიც, რომელიც ხშირი ტრავმიანობის გარდა ადრე საკუთარ თავს ყურადღების ხშირი გაფანტვითა და „მარიაჟული“ დარტყმებითაც ვნებდა.

# მტრად ქცეული მოყვარე

**ელენა დოკიჩის** ხანმოკლე, მაგრამ სკანდალებით დახუნძლულ კარიერაში გუშინ კიდევ ერთი შავი ფურცელი ჩაიწერა — 17 წლის ჩოგბურთელს ავსტრალიის ღია პირველობის პირველ წრეში დამარცხების შემდეგ იარაზე მარილი იქაურმა ქომაგებმა მოუყარეს, როცა სტვენით გააცილეს.

ჯერ კიდევ სექტემბერში ელენა ავსტრალიის სახელით ასპარეზობდა სიდნეის ოლიმპიადაზე და თავისი მეორე სამშობლოსთვის მედლის მოტანამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა — ნახევარფინალსა და მესამე ადგილისთვის მატჩებში დამარცხდა. იმის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ნოემბერში შერეკილი მამის, დამირის წაქეზებით (თუ იძულებით არა) დოკიჩმა იუგოსლავიური პასპორტი და ორმაგი მოქალაქეობა მიიღო, გასულ უქმეებზე კი განაცხადა, რომ მწვანე კონტინენტის ღირსებას აღარასოდეს დაიცავდა და მთელი მისი ოჯახი ფლორიდაში აპირებდა გადასახლებას.

ეს მოულოდნელი გადაწყვეტილება დოკიჩებმა იმიტომ მიიღეს, რომ მელბურნში ელენას პირველივე წრეში ლინდსი დევენპორტი ერგო მეტოქედ, რაც მათ წინააღმდეგ ავსტრალიელთა შეთქმულებად მიიღეს. „კენჭისყრა ჩაწყობილი იყო, დევენპორტი სპეციალურად შეახვედრეს. ელენამ პირველად იტირა ცხოვრებაში ჩოგბურთის გამო, მას ჰგონია, რომ აქ არავის მოსწონს და ყველა მის გამწარებას ცდილობს“ — განუცხადა ავსტრალიურ პრესას დამირმა, რომელსაც მარტის ბოლომდე WTA-ს ტურნირებზე დასწრება აკრძალული აქვს.

შარშან ამ დროს დოკიჩებმა ყველა უცხოური ტურნირის ორგანიზატორს დასდეს ბრალი თაღლითობასა და ელენასთვის რთული მეტოქეების განზრახ შერჩევაში ასე რომ, პარანოიკული განცხადებები არავის გაჰკვირვებია. ის კი არა, ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაციამ საბოლოოდ ჩაიქნია ხელი მათზე და ამჯერად ჩოგბურთელის დაყოლიებაც აღარ უცდია ავსტრალიაში დასარჩენად.

სწორედ ეს იყო მიზეზი, „მელბურნპარკის“ ცენტრალურ კორტზე დევენპორტს მქუხარე ტაშით რომ შეეგებნენ, დოკიჩს კი — სამარისებული სიჩუმით. მატჩის მიმდინარეობისას ერთიორ მაყურებელს, ალბათ, ინერციით, გამამხნევებელი სიტყვები კი წამოსცდა, მაგრამ კორტიდან გასვლისას ელენას უკვე აშკარა ხმამაღალი სტვენა გააყოლეს უკან.

„მე კიდევ უფრო უარეს რეაქციას ველოდი, სტვენას სულ არ შევუწუხებივარ. ფსიქოლოგიურად ძლიერი ვარ და ყველაფრის დავიწყება შემიძლია, ბევრი ჩოგბურთელი ჩემს ადგილზე გატყდებოდა. მთელი ჩემი ოჯახი განაწყენებულია აქაურ პრესაზე, მამაჩემზე სულ ცუდ რამეებს წერენ, ერთ ტკბილ სიტყვას არავინ იმეტებს“ — აღნიშნა ელენამ, თუმცა რისთვის უნდა შეექოთ უფროსი დოკიჩი, გამუდმებული ლოთობით ქალიშვილის კარიერის საფრთხეში ჩაგდებისთვის თუ ჟურნალისტებთან, ტურნირების ოფიციანტებთან და დაცვის სამსახურთან ხელჩართული შეტაკებებისთვის, არ დაუზუსტებია.

რამდენი სისულელეც არ უნდა განაცხადოს ან ჩაიდინოს დამირმა, ან მისი ზეგავლენით თავად ელენამ, ფაქტი ფაქტად რჩება: ის მაინც უდავოდ ნიჭიერი, დიდი მომავლის მქონე ჩოგბურთელია. ტურნირის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტთან შეხვედრაში დოკიჩს თავი ნამდვილად არ შეურცხვენია, ტყვიასავით დარტყმებით დევენპორტს არაერთი პრობლემა შეუქმნა და ღირსეულად, 6:4, 4:6, 3:6 წააგო.

ლინდსიმ უმცროს კოლეგას მხოლოდ თანაუგრძნო: „სამწუხაროა, რომ გარემოებები ასე დაემთხვა, ეს ნაკლებადაა ელენას ბრალი. ის კარგი გოგოა და ადრე თუ გვიან საუკეთესოთა ათეულშიც უეჭველად მოხვდება. შეიძლება წინ მძიმე დღეები ელის, მაგრამ მე საუკეთესოს ვუსურვებ.“

დევენპორტისგან განსხვავებით, მეტად იოლად ერგო მეორე წრის საგზური ოთხგზის ჩემპიონ მონიკა სელეშს (4). ამერიკელმა წესიერად გახურება და საჭყვიტინოდ ხმის გავარჯიშებაც ვერ მოასწრო, რომ მისი თანამემამულე ბრი რიპნერი კორტზე უხერხულად გაიშხლართა, კოჭი დაიშავა და თამაშის გაგრძელება ველარ მოახერხა.

„რიბაუნდ ეისის“ ახლადდაგებული, წებოვანი კორტები რამდენიმე მოთამაშესაც არ მოეცხო მალამოდ გულზე. შარშანდელმა მეოთხედფინალისტმა, მაროკოელმა იუნეს ელ აინაუიმ მუხლი იტკინა და ივო ოიბერგერს მეორე სეტში დანებდა, ჯენიფერ კაპრიატიმ კი ზედ მატჩ-პოინტზე გაადინა ბრაგვანი. ამერიკელმა სლოვაკ ჰენრიეტა ნაგიოვას მაინც მოუგო, თუმცა გააგრძელებს თუ არა ასპარეზობას, ძნელი სათქმელია.

ტრავმა აწუხებს მსოფლიოს მეორე ჩოგან მარატ საფინსაც. 20 წლის რუსს იდაყვი სტკივა, რაც ხეირიანად მოწოდებაში უშლის ხელს. ალბათ, ესეც იყო მიზეზი, რომ ჩია ესპანელ გალო ბლანკოსთან შეხვედრა საფინს თითქმის სამ საათად გაეწელა და სასურველზე გაცილებით მეტ ოფლის ღვრად დაუჯდა.

საკუთარ თავზე გაბრაზებულმა რუსმა ერთ მომენტში ჩოგანი დაფშვნა და მსაჯისგან გაფრთხილებაც მიიღო, თუმცა 6:4, 1:6, 6:4, 7:6 (7:3) მოგების შემდეგ უკმაყოფილო არ დარჩენილა: „იდაყვი მტკივა, თუმცა იმისთვისაც მადლიერი ვიქნები, ამაზე მეტად თუ არ გამიუარესდება ტრავმა. შარშან საკუთარი სისულელის გამო მსოფლიოს პირველი ჩოგნობა დავკარგე, მაგრამ იგივე შეცდომების გამეორებას წლეულს აღარ ვაპირებ. მინდა, საუკეთესო ვიყო და ვიცი, ამისთვის ყველა მონაცემი მაქვს.“

**პირველი წრე. ქალები:** ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ელენა დოკიჩი (იუგოსლავია) 4:6, 6:4, 6:3; ჟიუსტინ ენენი (ბელგია) — ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი) 6:4, 7:5; სილვია ფარინა (იტალია) — მარტინა სუჩა (სლოვაკეთი) 4:6, 7:5, 6:3; კონჩიტა მარტინესი (5, ესპანეთი) — კრისტინა უილერი (ავსტრალია) 6:1, 6:1; ჟანეტ ჰუსაროვა (სლოვაკეთი) — ჩანდა რუბინი (11, აშშ) 6:3, 6:0; ჯენიფერ კაპრიატი (12, აშშ) — ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) 4:6, 6:2, 7:5; კიმ კლაისტერსი (15, ბელგია) — ანკე ხუბერი (გერმანია) 6:3, 6:2; სანდრინ ტესტიუ (14, საფრანგეთი) — მარია ანტონია სანჩეს ლორენცო (ესპანეთი) 6:1, 6:0; მონიკა სელეში (4, აშშ) — ბრი რიპნერი (აშშ) 1:0 — ტრავმა; რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) — კრისტინა ტორენს ვალერო (ესპანეთი) 7:5, 6:1; ანა კურნიკოვა (8, რუსეთი) — დანიელა ჰანტუჩოვა (სლოვაკეთი) 6:2, 7:5; ბარბარა შეტი (ავსტრია) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 4:6, 7:6 (7:2), 6:4; მაგი სერნა (ესპანეთი) — მარისა ირვინი (აშშ) 6:1, 6:3.

**კაცები:** მარატ საფინი (2, რუსეთი) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 6:4, 1:6, 6:4, 7:6 (7:5); მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) — ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) 6:4, 6:2, 5:7, 2:6, 6:4; ხუან კარლოს ფერერო (9, ესპანეთი) — ალან ჯონსი (ავსტრალია) 6:3, 7:6 (7:3), 6:2; ტოდ მარტინი (აშშ) — ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე) 7:5, 6:4, 6:3; ანდრე აგასი (6, აშშ) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 6:0, 7:5, 6:3; დეივიდ პრინოსილი (გერმანია) — სერხი ბრუგერა (ესპანეთი) 7:5, 6:1, 1:6, 2:6, 6:1; დომინიკ ჰრბატი (14, სლოვაკეთი) — ჟან-რენე ლისნარი (საფრანგეთი) 3:6, 3:6, 6:4, 6:1, 6:1; პატრიკ რაფტერი (12, ავსტრალია) — სკოტ დრეიპერი (ავსტრალია) 6:3, 6:2, 7:5; ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — ჰიუნგ-ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) 3:6, 6:3, 6:4, 3:6, 8:6; სედრიკ პიოლინი (13, საფრანგეთი) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 7:6 (7:3), 6:4, 6:2; ტიმ ჰენმანი (8, ინგლისი) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 7:6 (7:5), 6:4, 6:4; კრისტოფ როშუს (ბელგია) — ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 4:6, 3:6, 6:4, 6:0, 9:7; პიტ სამპრასი (3, აშშ) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 7:6 (7:5), 3:6, 6:4.

**ავთანდილ სვანიძე**



REUTERS მელბურნიდან

ლინდსი დევენპორტი



მონიკა სელეშმა წაქცეულ ბრი რაინერს ხელი შეაშველა

ხელბურთი

# ქართველებმა ბერძნები და თურქები ერთმანეთს წაჰკიდეს

**საქართველოს** ხელბურთელთა ნაკრებმა ევროპის 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მორიგი ორი მატჩიც წააგო. ზაზა დოლიძის ბიჭები ამჯერად ბერძნებმა გაამწარეს.

პირველ თამაშში თანაბარი ბრძოლა ყოფილა, თუმცა ბედმა ბოლოს მაინც მასპინძლებს გაუღიმა. ჩვენი გუნდის ლიდერმა სერგო დათუკაშვილმა ექვსი გოლის გატანა მოახერხა. შაბათს, მეორე შეხვედრაში, ბერძნებს სათუოდ აღარ გაუხდიათ საქმე. ჩვენგან ყველაზე შედეგიანები ხუთ-ხუთი ბურთით ალეკო ბოყოჩაძე და გარი თურქია იყვნენ.

ბოსნიელებმა, წინა ტურის მსგავსად, ამჯერადაც, სტუმრად მარცხი იწვნიეს, შინ კი გამარჯვება იზეიმეს და შემდგომ ეტაპზე გასვლის მშვენიერი შანსიც აქვთ, რადგან საქართველოსთან ორივე მატჩს საკუთარ მოედანზე ჩაატარებენ, ხოლო თურქები და ბერძნები, ალბათ, ერთმანეთს დაჭამენ. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ჯგუფის ორი საუკეთესო გუნდის ვინაობა ბურთების შეფარდებამ გადაწყვიტოს.

საბერძნეთი — საქართველო 24:23 (9:9)
საბერძნეთი — საქართველო 25:20 (12:9)
ბოსნია — თურქეთი 30:28 (18:16)
თურქეთი — ბოსნია 21:16 (8:9)

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 3 | 0 | 1 | 103:86 | 6 |
| საბერძნეთი | 3 | 0 | 1 | 97:93 | 6 |
| ბოსნია | 2 | 0 | 2 | 96:97 | 4 |
| საქართველო | 0 | 0 | 4 | 83:103 | 0 |

ევროპელი ქალები კი ჩემპიონთა ლიგაში იბრძვიან. 16 გუნდი ოთხ ჯგუფშია განაწილებული, ორ-ორი საუკეთესო მეოთხედფინალში გავა.

პირველივე დღეს სენსაციური შედეგი აღინიშნა: ლიგის ამჟამინდელი ჩემპიონი და რეიტინგით ყველაზე მაღლა მდგომი ვენის „ჰიპო" რუსეთის ხუთგზის ჩემპიონმა, ვოლგოგრადის „აკვამ" გაანადგურა. აღსანიშნავია ისიც, რომ ორი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ მხოლოდ სამი გუნდიღა ასპარეზობს.

A ჯგუფი: „აკვა" (რუსეთი) — „ჰიპო" (ავსტრია) 29:18; „ფრედერიკსბერგი" (დანია) — „ბუდუჩნოსტი" (იუგოსლავია) 24:24. „ბუდუჩნოსტი" — „აკვა" 22:22; „ჰიპო" — „ფრედერიკსბერგი" 34:23.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აკვა | 1 | 1 | 0 | 51:40 | 3 |
| ჰიპო | 1 | 0 | 1 | 52:52 | 2 |
| ბუდუჩნოსტი | 0 | 2 | 0 | 46:46 | 2 |
| ფრედერიკსბერგი | 0 | 1 | 1 | 47:58 | 1 |

B ჯგუფი: „ფეროზუსი" (ესპანეთი) — „ჰერცი" (უნგრეთი) 29:27; „ბაეკელაგეტსი" (ნორვეგია) — „გისენი" (გერმანია) 29:25. „ჰერცი" — „ბაეკელაგეტსი" 33:23; „გისენი" — „ფეროზუსი" 29:28.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჰერცი | 1 | 0 | 1 | 60:52 | 2 |
| ფეროზუსი | 1 | 0 | 1 | 57:56 | 2 |
| გისენი | 1 | 0 | 1 | 54:57 | 2 |
| ბაეკელაგეტსი | 1 | 0 | 1 | 52:58 | 2 |

C ჯგუფი: „არტასი" (საბერძნეთი) — „ვიბორგი" (დანია) 26:28; „ოლჩიმი" (რუმინეთი) — „ლარვიკი" (ნორვეგია) 19:24. „ვიბორგი" — „ოლჩიმი" 30:27; „ლარვიკი" — „არტასი" 29:21

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლარვიკი | 2 | 0 | 0 | 53:40 | 4 |
| ვიბორგი | 2 | 0 | 0 | 58:53 | 4 |
| ოლჩიმი | 0 | 0 | 2 | 46:54 | 0 |
| არტასი | 0 | 0 | 2 | 47:57 | 0 |

D ჯგუფი: „გრაზოპლასტი" (უნგრეთი) — „მილარი" (ესპანეთი) 23:25; „სპარტაკი" (უკრაინა) — „კრიმი" (სლოვენია) 21:26. „მილარი" — „სპარტაკი" 32:30; „კრიმი" — „გრაზოპლასტი" 27:27

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მილარი | 2 | 0 | 0 | 57:53 | 4 |
| კრიმი | 1 | 1 | 0 | 53:48 | 3 |
| გრაზოპლასტი | 0 | 1 | 1 | 50:52 | 1 |
| სპარტაკი | 0 | 0 | 2 | 51:58 | 0 |

რაგბი

# ქართველები მსოფლიოს არგენტინაში აღმოაჩენენ

## სორელი თხუთმეტიდან ათს გაახარებს

საქართველოს სარაგბო თემი მთლიანად შვიდკაცა ნაკრებზეა გადართული. საქმე ისაა, რომ „ბორჯღალოსნები" მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ. შესარჩევი ეტაპი ჩვენმა მორაგბეებმა ჩინებულად ჩაატარეს, მეორე ადგილი დაიკავეს და არგენტინის ქალაქ მარ დელ პლატაში გასამართი მსოფლიოს თასის საგზური მოიპოვეს. საქართველოს შვიდკაცა ნაკრებმა შეძლო ის, რასაც დამოუკიდებელი საქართველოს ათწლიან ისტორიაში ყველა ქართული ნაკრები ამაოდ ცდილობდა. გერმანულ ჰაიდელბერგში ქართველებმა თავი არავის დააჩაგვრინეს და უელსთან ფინალური მატჩი მხოლოდ დამატებით დროში წააგეს, მაგრამ ტურნირის ფინალი ხომ ნახევარფინალზე ნაკლებად პრინციპული იყო. სწორედ ნახევარფინალმა და მესამე ადგილისთვის მატჩმა გაარკვია არგენტინის სამი საგზურის მფლობელი. ნახევარფინალში კი „ბორჯღალოსნებმა" „ექვსი ერის" წევრი და ევროპის ბობოლა ირლანდიის ნაკრები გააბითურეს. თუმც ეს უკვე წარსულია, გულშემატკივარი კი ახალ გამარჯვებებს ითხოვს, რომელთა მიღწევაც ქართველებს ნამდვილად ძალუძთ.

მსოფლიოს თასის ფინალური ეტაპის მატჩები 26-28 იანვარს გაიმართება არგენტინის საკურორტო ქალაქ მარ დელ პლატაში და ოცდაოთხ გუნდს უმასპინძლებს. კენჭისყრის შედეგად გუნდები ოთხ ჯგუფად დაიყვნენ. ჩვენებურები მეორე ჯგუფში მოხვდნენ სამხრეთ აფრიკის, საფრანგეთის, კუკის კუნძულების, კანადის და ტაივანის ნაკრებებთან ერთად. ჯგუფში პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები ოლიმპიური სისტემით გააგრძელებენ ბრძოლას ჩემპიონის ტიტულისთვის.

საქართველოს ნაკრები ამ დიდი ტურნირისთვის მზადებას ადრევე შეუდგა და მსოფლიოს სერიის და სხვადასხვა რანგის ტურნირებში მიიღო მონაწილეობა. ამჯერად კლოდ სორელის შეგირდები საფრანგეთში, გრანდ მოდეს ბაზაზე ემზადებიან და არგენტინას სავარაუდოდ 21 იანვარს ესტუმრებიან.

სორელისა და მალხაზ ჭეიშვილის განკარგულებაში თხუთმეტი მორაგბეა და მათგან მხოლოდ ათი გაემგზავრება არგენტინაში. აქედანვე ცნობილია, რომ ბადრი ხეხელაშვილი ტრავმის გამო ტურნირს გამოტოვებს, დანარჩენები კი ყოველმხრივ მზად არიან. ნაკრების კანდიდატთა სია კი ასეთია: ვასილ აბაშიძე, გიორგი ბუგიანიშვილი, მალხაზ ურჯუკაშვილი, თედო ზიბზიბაძე, ირაკლი აბუსერიძე, დავით ცხვედიანი, კახა ალანია, ვასილ კაცაძე, ბესარიონ ხამაშურიძე, პავლე ჯიმშელაძე, არჩილ ქავთარაშვილი, ილია ზედგენიძე, დავით ბოლღაშვილი, ირაკლი მოდებაძე და გუნდის კაპიტანი გია ლაბაძე.

**ბაჩო სვანიძე**

მძლეოსნობა

# ესპანური იტალიკა

**სევილიაში** გამართული ტრადიციული კროსი — „იტალიკა" ზედიზედ მეორედ მოიგო კენიელმა მძლეოსანმა ჩარლზ კამატიმ. ქალთა შორის უსწრაფესი კი დიდბრიტანელი პოლა რედკლიფი იყო.

შარშან კამატიმ სპრინტში აჯობა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ პოლ ტერგატს, ამჯერად კი მან 10,8-კილომეტრიანი დისტანციის ფინიშზე ეულად მიირბინა. სევილიის გარეუბნის სანტიპონჩესა და რომაული პერიოდის კვარტლების გარბენის შემდეგ მეორე ადგილი უკრაინელმა სერგეი ლებედმა დაიკავა. მესამემ ფინიშის ხაზი ევროპის ჩემპიონმა, პორტუგალიელმა პაულო გუერამ გადაკვეთა, რომელმაც მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონ, გაბელგიელებულ მოჰამედ მურის ორი წამით აჯობა.

მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს შორის გამარჯვება ნახევარმარათონის მსოფლიოს ჩემპიონმა რედკლიფმა ძალიან იოლად ირგუნა. 6,6 კილომეტრიან დისტანციაზე მისთვის სათანადო წინააღმდეგობის გაწევა ვერავინ შეძლო. ევროპის 1999 წლის ჩემპიონმა, იუგოსლავიელმა ოლივერა იევტიჩმა რედკლიფთან მთელი 17 წამი დათმო. ატლანტის ოლიმპიადაზე მარათონში გაჩემპიონებულ ეთიოპელ ფატუმა რობას პოდიუმამდე ერთი ადგილი და 11 წამი დააკლდა. მას ბელგიელმა ანია სმოლდერსმა აჯობა.

აქვე გეტყვით, რომ „იტალიკას" კროსი ევროპის თასის მესამე ეტაპი იყო. საერთო ჩათვლაში კი გუერა და რედკლიფი დაწინაურდნენ.

**ბაგი ბურული**

კაცები. 10,8 კმ
1. ჩარლზ კამატი (კენია) — 31წთ 48წმ
2. სერგეი ლებედი (უკრაინა) — +5წმ
3. პაულო გუერა (პორტუგალია) — +12

ქალები. 6,6 კმ
1. პოლა რედკლიფი (დიდი ბრიტანეთი) — 21წთ 32
2. ოლივერა იევტიჩი (იუგოსლავია ) — +17
3. ანია სმოლდერსი (ბელგია) — +22



პოლა რედკლიფი

კრივი



# სავონმა თავი ტკბილად დაიბერა

**კუბის** საკრივო ფედერაციის პრეზიდენტმა ხოსე ბარიენტოსმა დედამიწას მე-20 საუკუნიდან ანაქრონიზმად შემორჩენილ სოციალისტურ ქვეყანას, კუბას, სენსაციური ამბავი აუწყა: მსოფლიო სამოყვარულო კრივის ისტორიაში ერთ-ერთმა უდიდესმა სპორტსმენმა, ფელიქს სავონმა კარიერას თავი დაანება.

სავონს რინგიდან წასვლა ერთი შეხედვით, არავინ აიძულა — ახლახან დასრულებულმა სიდნეის ოლიმპიადამ დაამტკიცა, რომ 91 კილოგრამიანი ფენომენალური მოკრივე ძველებურად ჯანზეა და მეტოქეებს უმკლავდება, თუმცა სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციის მიერ ბოლო დროს მიღებული კანონის თანახმად, შეჯიბრებებზე მხოლოდ 34 წელზე უმცროსებს ეძლევათ გამოსვლის ნება. მსოფლიოს უახლოესი ჩემპიონატი ირლანდიაში 2001 წლის 2-11 ივნისს გაიმართება, რაც სავონს ხელს ვერ შეუშლიდა, რადგან ის 35 წლის 22 სექტემბერს შესრულდება, მაგრამ კუბელმა, როგორც ჩანს, თავი დაიზღვია — სპორტიდან გამარჯვებული მიდის.

სავონის წასვლით სამოყვარულო კრივში ეპოქა დასრულდა. სტატისტიკა ასეთია: კუბელმა სულ 375 ბრძოლა გამართა და მხოლოდ 17-ში დამარცხდა. ის მსოფლიოს ექვსგზის (მანამდე სამზე მეტი მსოფლიო ოქრო არავის მოეგო) და სამგზის ოლიმპიური ჩემპიონია. ოლიმპიური შედეგებით მისი ტოლ-სწორი მხოლოდ ორია, უნგრელი ლასლო პაპი და სავონის თანამემამულე თეოფილო სტივენსონი.

რატომ ამბობენ ფელიქს სავონზე, რომ იგი „მხოლოდ სამგზის ოლიმპიური ჩემპიონია"? საქმე ის გახლავთ, რომ მას ოთხგზის ჩემპიონობაც შეეძლო, ოღონდ ამაში ხელი პოლიტიკამ შეუშალა. ეს ამბავი 1988 წელს, სეულში მოხდა, სადაც 18 წლის სავონი ოქროს მედლის მთავარ კანდიდატად ითვლებოდა, მაგრამ სეული, მოგეხსენებათ, სამხრეთ კორეის ანუ კაპიტალისტური, უფრო სწორედ კი ანტიკომუნისტური ქვეყნის დედაქალაქია და, შესაბამისად, კუბის ბელადმა, ფიდელ კასტრომ ბოიკოტი გამოაცხადა.

მაგრამ სავონი ფიდელ კასტროზე არ გაბრაზებულა. ყოველ შემთხვევაში იმ ამბიდან 12 წლის შემდეგ, სიდნეიში მოგებული ოქრო მოკრივემ სწორედ საყვარელ კომანდანტეს მიუძღვნა.

კი მაგრამ, ასეთი ფენომენალური ნიჭის სპორტსმენი რატომ არ წავიდა ნამდვილ, დიდ, პროფესიულ საკრივო სარბიელზე? ამ კითხვაზე პასუხი ამთავითვე ნათელია — სავონი კუბელია, პროფესიული კრივი ბურჟუაზიული მოვლენაა, ხოლო ქვეყნიდან გაქცევაზე ლაპარაკიც არ უნდოდა. აბა, ტყუილად ხომ არ არის ქვეყნის უდიდესი ორდენის, „ხოსე მარტის" მფლობელი.

და, რა იქნება მომავალში? ამბობენ ივნისში, ბელფასტში, ფელიქს სავონი კუბის ნაკრების მწვრთნელად წავაო. ნუთუ მას ცნობილი ალსიდას სარაგას შემცვლელად ნიშნავენ?

**პირველი ქვესაშუალო წონის ყოფილი ჩემპიონი ოსკარ დე ლა ჰოია, თავის ყოფილ პრომოუტერს ბობ არუმს სასამართლოში უჩიოდა და, როგორც მოსამართლე მეტ ბირნიმ ბრძანა, სწორადაც. აქედან ის გამოდინარეობს, რომ ამიერიდან დე ლა ჰოია სარბიელზე ახალი პრომოუტერის, ჯერი პერენჩიოს გაძღოლით დაბრუნდება.**

**„სასამართლოს გადაწყვეტილებით ძალიან კმაყოფილი ვართ, უმთავრესი კი ის არის, რომ ოსკარს საშუალება ეძლევა დაუბრუნდეს საქმეს, რომელიც უყვარს" — თქვა დე ლა ჰოიას წარმომადგენელმა სტივენ ესპინოზამ.**

**ამასობაში არუმის წარმომადგენელმა ტომ რარდიმ განაცხადა, რომ ისინი საქმეს უფრო მაღალ ინსტანციაში გაასაჩივრებენ, რასაც, ალბათ, წელიწადი ან მეტი დასჭირდება.**

**„ჩემი აზრით მოსამართლე შეცდა" — უთხრა ლას ვეგასის ოფისში დაბრუნებულმა არუმმა „ლოს ანჯელეს ტაიმსის" კორესპონდენტს — „ძალიან სამწუხაროა, მაგრამ რა გაეწყობა, ცხოვრება ხომ ამით არ მთავრდება".**

**მოსამართლე ბირნის განცხადებით მისი 54 გვერდიანი გადაწყვეტილება უახლოეს დღეებში გავრცელდება.**

თუ მაიკლ მურერს იმ ფორმის აღდგენა სწადია, რომლის წყალობითაც თავის დროზე მძიმე წონაში ჩემპიონი იყო, დიეტის დაცვა და სერიოზულ ბრძოლებში მონაწილეობა მოუწევს. ერთი სიტყვით, უსიამოვნოდ გასუქებულმა მურერმა გასულ პარასკევს ტერანს ლუისი ორ რაუნდში გალახა. ეს ბრძოლა ყოფილი ჩემპიონისთვის მეორე გახლდათ მას მერე, რაც WBA-ს ქამრის ახლანდელ მფლობელ, ევანდერ ჰოლიფილდთან ნოკაუტით წააგო.

თავიდან ქვემძიმე, შემდეგ კი მძიმეწონოსანმა მურერმა (43 ბრძოლიდან 41 გამარჯვება, მათგან 33 ნოკაუტით) იოლად გასალახ ლუისამდე ნოემბერში ლორენცო ბოიდი დაამარცხა. კაცმა რომ თქვას, ის ბრძოლაც არ იყო ძნელი, მაგრამ ამასთან შედარებაც არ შეიძლება.

პარასკევს ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ მურერი რინგთან ძველ მწვრთნელთან, ტედი ატლასთან ერთად მივიდა. აღდგა მასწავლებლის და მოსწავლის ის დუეტი, რომელმაც 1994 წელს იმავ ჰოლიფილდს ჩემპიონობა წაართვა.

**ზაბ ჯუდამ IBF-ის მსუბუქი წონის ქამრისთვის ბრძოლაში რეგი გრინს მე-10 რაუნდის მეორე წუთზე აჯობა. ბრძოლა მონტვილში, „მოჰეგან სან კაზინოში" გაიმართა.**

**ნიუიორკელი ჯუდა ჩხუბის მიმდინარეობას პირველივე წუთიდან აკონტროლებდა, მაგრამ გრინისთვის ხიფათი მე-10 რაუნდამდე არ შეუქმნია. მე-10 რაუნდში კი 26 ბრძოლიდან ყველაში გამარჯვებულმა ჯუდამ ზედიზედ ორი მარცხენა ჰუკი აგემა მოწინააღმდეგეს და საქმეც ამით დაამთავრა.**

**მე-6 რაუნდში იყო მომენტი, როდესაც რეფერიმ ორივე მოკრივეს აქტიურობისკენ მოუწოდა. დარბაზი უკმაყოფილო გახლდათ და ყიჟინას სცემდა. მოწოდება იყო და ჯუდამ სწრაფი კომბინაციები წამოიწყო, რამაც რაუნდი ერთ-ერთ ყველაზე საინტერესოდ აქცია.**

**ამრიგად გრინმა ტიტულისთვის ბრძოლაში მეორე მარცხი იწვნია. პირველად, 1999 წელს WBA-ს ქამარი შამბა მიჩელმა არ დაუთმო.**

**ტუტა სიხარულიძე**

# იანიკას მუხლი და ტკივილი უჭრის

**ხორვატმა** ყმაწვილქალმა იანიკა კოსტელიჩმა ამ სეზონში მეექვსე სლალომი მოიგო — ექვსიდან ექვსი — შემდეგ კომბინაციაშიც იმარჯვა და მსოფლიოს თასის ლიდერადაც დამკვიდრდა.

„რას ნიშნავს ჩემთვის ზედიზედ მეექვსე სლალომის მოგება? მართალი გითხრათ, ბევრს არაფერს. ეს უბრალოდ ზედიზედ მეექვსე გამარჯვება იყო და მეტი არაფერი" — განაცხადა გასულ შაბათ-კვირას 19 წელს მოყრილმა მოთხილამურემ. შემდეგ დასძინა: „სულ არ ვფიქრობ იმაზე თუ რამდენით ვუსწრებ კონკურენტებს. თუ ვინმეს ჩემი დამარცხება სურს, ვინ უშლით, ისრიალონ ჩემზე ჩქარა. ეს ხომ მათზეა დამოკიდებული".

ამასობაში ავსტრიელმა რენატა გოეჩლიმ, რომელიც მსოფლიოს თასის მფლობელი გახლავთ, სლალომში მხოლოდ მე-20 ადგილი მოიპოვა, ხოლო კომბინაციაში მესამეზე გავიდა. მეორე ადგილი ამერიკელმა კაროლინ ლალოვმა დაიკავა.

„გამარჯვებაზე არ ვფიქრობ. ჯერ ახალგაზრდა ვარ და დრო მაქვს, მეტსაც გეტყვით, ვფიქრობ გოეჩლიმ უნდა გაიმარჯვოს, რადგან ის ჩემზე ძლიერი და გაცილებით დისციპლინირებულია" — თქვა ხორვატმა, რომელიც ტრავმის შემდეგ გიგანტურ სლალომს არც გაკარებია.

„ჩემი მუხლი ჯერ კიდევ არ დაამებულა. დღეს, მაგალითად, ორდღიანი შეჯიბრების შემდეგ, ვგრძნობ, რომ ტკივილმა თავი შემახსენა, თუმცა ეჭვი არ მეპარება, რომ სხვა გოგოებიც დაიღლებოდნენ. სწრაფდაშვებაში კი თავდაჯერებული მაინც რა ვარ, რადგან სერიოზულად არც მივარჯიშია. არც კი ვიცი ზუსტად არ ვაკეთო. ვგრძნობ, რომ ნელა ვსრიალებ".

შაბათის ეტაპზე სპორტსმენები საკმაოდ ხშირად ეცემოდნენ, თუმცა, როგორც ირკვევა, ამას ხორვატ ყმაწვილქალზე მაინცდამაინც არ უმოქმედია.

„როგორ არა, ვნახე ეს ინციდენტები. ისინი ნორმალური იყო. იქ ყველაფერი მარტივია — თუ შეცდომას დაუშვებ, წაიქცევი".

ახლა კოსტელიჩს ორ ეტაპზე გამარჯვება აკლია, რათა შვეიცარიელი ვრენი შნაიდერის რეკორდს, ზედიზედ რვა გამარჯვებას მიაღწიოს. შნაიდერმა 1988-89 წლების სეზონში შვიდივე სლალომი მოიგო და შემდგომი სეზონის პირველ ეტაპზეც იმარჯვა.

„მე რეკორდების ამბავი არ მაღელვებს. შნაიდერის შედეგის გაუმჯობესებაზე სულაც არ ვფიქრობ. უბრალოდ, ყოველ ეტაპზე ვცდილობ გავიმარჯვო. ჯერჯერობით საკუთარი შედეგებით კმაყოფილი ვარ. პირველი ჩამოსრიალება არ მივარგოდა, მეორე კი კარგი იყო".

როგორც ირკვევა კოსტელიჩი არც მოახლოებულ მსოფლიო ჩემპიონატს ხვდება განსაკუთრებული ენთუზიაზმით.

„მსოფლიოს ჩემპიონატი მორიგი ეტაპია და მეტი არაფერი. მეტიც, ის მსოფლიოს თასის ეტაპებზე იოლია, რადგან მასში ბევრი უმაღლესი დონის სპორტსმენი არ გამოდის".

ამასობაში თხილამურობის საერთაშორისო ფედერაციამ ავსტრიელ მიქაელა დორფმაისტერს სუპერგიგანტზე მონაწილეობისთვის გამზადებული თხილამურები ჩამოართვა — ზომა სხვა ჰქონია. მართალია, ამ ზომაშეცვლილი თხილამურებით ავსტრიელმა შაბათს, პირველი ადგილი ვერ დაიკავა — მეოთხე იყო, მაგრამ შემდეგ ეტაპზე მათი გამოცვლა მაინც მოუწევს.

ხოლო ამერიკელი ალისონ პაუერსი სწრაფდაშვებისას დაშავდა და მარცხენა მუხლი დაიშავა. ის ახტომის შემდეგ დაეცა და ფინიშის ხაზი ზურგით გადაკვეთა, რის შედეგადაც მუხლი რამდენიმე ადგილას გაუტყდა. ოფიციალური ცნობების თანახმად პაუერსი სეზონის დარჩენილ ეტაპებს გამოტოვებს.

ავსტრიელმა ბენიამინ რაიხმა კი სლალომში ყველა ვაჟს აჯობა და სეზონში პირველად, კარიერაში კი მეექვსედ მოიგო მსოფლიოს თასის ეტაპი.

„ძნელ პირობებში მოგვიხდა დაშვება. თოვდა, ტრასა კარგად არ ჩანდა, მაგრამ მაინც კარგად ვიასპარეზე" — განაცხადა მან გამარჯვების შემდეგ.

ახლა, საერთო ჩათვლაში ისტორიული სურათის მოწმენი ვხდებით: პირველი ხუთი ადგილი ავსტრიელებს ეკუთვნით. თუ გავითვალისწინებთ, რომ რვა საუკეთესოს შორის კიდევ ერთი ავსტრიელია, მით უფრო დავინახავთ, რომ საკუთრივ ამ ქვეყნის გუნდშია დიდი ბრძოლა გამართული.

**ტუტა სიხარულიძე**


იანიკა კოსტელიჩი


ალისონ პაუერს ფინიშთან მარცხენა ფეხმა უმტყუნა

## მსოფლიოს თასი

### ქალები

13 იანვარი
აუს იმ ენსტალი. ავსტრია.
სუპერგიგანტი

1. რეგინა კავანიუ (საფრანგეთი) 1.28,48 წთ
2. მელანი ტარჟონი (კანადა) 1.28,75
3. რენატა გოეჩლი (ავსტრია) 1.29,07

14 იანვარი. ფლაშაუ. ავსტრია.
სლალომი

1. იანიკა კოსტელიჩი (ხორვატია) 1.35,94 წთ
2. კარინ კოლერი (ავსტრია) 1.37,50
3. ლორ პეგენიო (საფრანგეთი) 1.37,50

კომბინაცია
(სლალომი+სწრაფდაშვება)

1. იანიკა კოსტელიჩი 3.22,23 წთ
2. კაროლინ ლალოვი (აშშ) 3.23,47
3. რენატა გოეჩლი 3.23,64

### საერთო ჩათვლა

1. იანიკა კოსტელიჩი 907 ქულა
2. რენატა გოეჩლი 812
3. რეგინა კავანიუ 730

### ვაჟები

14 იანვარი. ვენგენი. შვეიცარია.
სლალომი

1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 1.44,42
2. რაინერ შონფელდერი (ავსტრია) 1.45,71
3. მარიო მატი (ავსტრია) 1.46,07

### საერთო ჩათვლა

1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 793 ქულა
2. მიქაელ ფონ გრუნინგენი (შვეიცარია) 612
3. ლასე კიუსი (ნორვეგია) 499



NHL

12 იანვარი

**ტორონტო — ფინიქსი 3:2**
0:0 3:1 0:1
0:1 ბრირი 26'09 (1); 1:1 იუშკევიჩი 31'56 (4); 2:1 რობერტსი 32'15 (17); 3:1 სუნდინი 39'51 (15); 3:2 მეი 50'43 (5)

**ფლორიდა — კაროლინა 2:2**
1:0 0:1 1:1
1:0 ადამსი 1'53 (5); 1:1 ონილი 29'07 (16); 1:2 ონილი 57'25 (17); 2:2 ბურე 59'37 (23)

**კოლუმბუსი — ჩიკაგო 1:3**
1:0 0:0 0:3
1:0 ჰაინცი 8'51 (13); 1:1 შპაჩეკი 46'09 (6); 1:2 მაკამონდი 50'41 (7); 1:3 ვამონტე 59'21 (23)

**ატლანტა — მონრეალი 0:3**
0:0 0:3 0:0
0:1 პულინი 20'57 (3); 0:2 უეინრიჩი 25'36 (5); 0:3 პეტროვი 37'32 (6)

**ტამპა — ფილადელფია 0:3**
0:1 0:2 0:0
0:1 ფედოტენკო 11'04 (10); 0:2 მაკგილისი 23'04 (7); 0:3 პრიმო 31'46 (17)

**პიტსბურგი — აილენდერსი 4:3**
2:0 1:2 1:1
1:0 ლემიე 2'14 (7); 2:0 მილერი 3'01 (3); 3:0 ლაუკანენი 26'25 (2); 3:1 მაკოლტი 30'43 (5); 3:2 ხარა 37'19 (2); 4:2 კოვალიოვი 43'17 (21); 4:3 კონოლი 54'27 (4)

**მინესოტა — კოლორადო 0:5**
0:1 0:1 0:3
0:1 ნიუმინენი 7'20 (3); 0:2 სკულა 28'31 (9); 0:3 მესიე 40'14 (4); 0:4 დედმარში 43'34 (7); 0:5 საკიკი 46'12 (25)

**დალასი — დეტროიტი 2:3**
1:1 1:2 0:0
0:1 ფიოდოროვი 5'38 (2); 1:1 ნუინდაიკი 16'53 (18); 1:2 შენაჰანი 20'49 (15); 2:2 მოდანო 21'21 (13); 2:3 ლაპოინტი 29'40 (14)

**ედმონტონი — ვანკუვერი 2:3**
0:1 1:1 0:1
1:0 კაინტერი 1'13 (10); 1:1 ნესლუნდი 14'45 (23); 1:2 ნესლუნდი 24'59 (24); 2:2 პატისი 36'05 (2); 2:3 ჰ. სედინი 49'42 (6)

**ანაჰაიმი — ბუფალო 0:4**
0:1 0:1 0:2
0:1 აფინოგენოვი 5'14 (9); 0:2 გრეტონი 21'05 (13); 0:3 ანდრეიჩუკი 46'03 (9); 0:4 შატანი 48'22 (14)

13 იანვარი

**სან ხოსე — ნეშვილი 3:5**
0:2 1:1 2:2
0:1 ჩიზარი 1'57 (6); 0:2 არხიპოვი 13'20 (2); 0:3 ვალიჩევიჩი 25'54 (5); 1:3 დამფუსი 39'51 (8); 2:3 ფრიზენი 43'51 (10); 2:4 ბერეჰოვსკი 54'33 (3); 3:4 დამფუსი 55'43 (9); 3:5 უოკერი 59'27 (16)

**ბოსტონი — რეინჯერსი 4:1**
2:0 1:1 1:0
1:0 გერინი 0'33 (24); 2:0 გერინი 13'49 (25); 2:1 დვორჟაკი 20'17 (11); 3:1 სელორანტა 24'24 (6); 4:1 ელორანტა 47'38 (7)

**მონრეალი — ფინიქსი 5:2**
0:1 3:0 2:1
0:1 ნუმინენი 3'43 (3); 1:1 სავაჟი 22'52 (16); 2:1 სავაჟი 26'04 (17); 3:1 სურეი 28'27 (1); 4:1 დაიჰიუსი 42'50 (4); 4:2 ბრირი 45'40 (2); 5:2 კილგერი 58'59 (7)

**ვაშინგტონი — ატლანტა 4:1**
2:0 2:1 0:0
1:0 გონჩარი 1'21 (10); 2:0 ბონდრა 7'38 (23); 2:1 ბრიუნეტი 22'29 (10); 3:1 ბულისი 28'05 (3); 4:1 კიუპანსონი 55'29 (3)

**ფლორიდა — ფილადელფია 1:4**
0:2 0:0 1:2
0:1 უილიამსი 12'26 (10); 0:2 რეკი 19'25 (8); 0:3 რანჰეიმი 44'32 (6); 1:3 ნიდერმაიერი 45'06 (6); 1:4 ტოკეტი 49'26 (9)

**ნიუ ჯერსი — ტორონტო 4:4**
0:1 3:2 1:1 0:0
0:1 მენსონი 4'22 (4); 1:1 მაკეი 22'30 (14); 1:2 სუნდინი 23'48 (16); 2:2 მაკეი 30'47 (15); 2:3 კაბერლე 33'53 (3); 3:3 სიკორა 38'10 (13); 4:3 მედენი 43'12 (17); 4:4 ბერეზინი 49'21 (13)

**აილენდერსი — პიტსბურგი 6:5**
1:1 3:2 2:2
1:0 ჩერკავსკი 7'59 (14); 1:1 ლემიე 12'28 (8); 2:1 ჩერკავსკი 21'24 (15); 2:2 ლემიე 22'25 (19); 2:3 სტრაკა 26'50 (17); 3:3 სკაჩარდი 36'00 (10); 4:3 მაკოლტი 38'38 (17); 5:3 გელი 46'49 (5); 5:4 სტრაკა 48'03 (18); 6:4 პერიში 50'08 (14); 6:5 იაგრი 57'14 (25)

**ლოს ანჯელესი — სენტ ლუისი 2:4**
1:1 0:2 1:1
0:1 ჯონსონ 8'29 (2); 1:1 შტუმპელი 10'06 (11); 1:2 ნეში 21'02 (8); 1:3 იანგი 33'04 (20); 2:3 გ. მიური 48'54 (9); 2:4 პრონგერი 53'02 (6)

**კალგარი — ოტავა 2:5**
0:2 2:1 0:2
0:1 იაშინი 0'51 (15); 0:2 რედენი 8'37 (7); 0:3 იორკი 28'40 (5); 1:3 ტკაჩუკი 28'54 (3); 2:3 მორისი 33'05 (2); 2:4 დაკელი 58'55 (9); 2:5 მაკიჩერნი 51'35 (13)

14 იანვარი

**ტამპა — დალასი 2:3**
1:1 1:1 0:1
1:0 რიჩარდსი 8'54 (13); 1:1 ლიაშენკო 17'26 (4); 2:1 მოდინი 26'06 (21); 2:2 მოროუ 32'05 (11); 2:3 ზუბოვი 45'10 (5)

**ედმონტონი — ოტავა 4:1**
0:0 3:1 1:0
1:0 ლარაქი 21'45 (8); 2:0 რ. სმიტი 25'44 (18); 3:0 რ. სმიტი 26'36 (19); 3:1 მაკიკერნი 32'39 (14); 4:1 რ. სმიტი 57'52 (20)

**ვანკუვერი — კალგარი 5:1**
2:0 2:0 1:1
1:0 შეფერი 1'53 (11); 2:0 ნესლუნდი 6'32 (25); 3:0 ნესლუნდი 26'37 (26); 4:0 ბრაში 35'58 (6); 5:0 ნესლუნდი 41'23 (27); 5:1 გ. ბურე 47'35 (12)

**კაროლინა — ანაჰაიმი 4:0**
0:0 2:0 2:0
1:0 ჟელინა 24'53 (14); 2:0 ფრენსისი 39'38 (9); 3:0 ფრენსისი 42'03 (10); 4:0 ონილი 56'15 (18)

**რეინჯერსი — მინესოტა 4:2**
2:1 0:0 2:1
1:0 ლიჩი 3'53 (12); 1:1 კრივოკრასოვი 8'07 (3); 2:1 ლიჩი 8'36 (13); 3:1 გრეივსი 42'10 (7); 3:2 გეივი 46'35 (6); 4:2 პლავაჩი 55'25 (17)

**ჩიკაგო — კოლორადო 2:2**
0:2 1:0 1:0 0:0
0:1 პეიდუკი 5'45 (22); 0:2 დრური 14'45 (12); 1:2 ჟამნოვი 31'08 (12); 2:2 დაზე 58'41 (13)


ნიუჯერსელმა მაიკ კომოდორმა (№6) ტორონტოელი ალექსეი პონიკაროვსკი ბორტს მიაჭყლიტა

## სატურნირო ვითარება

**ჩრდილო - აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 43 | 24 | 6 | 0 | 13 | 138:103 | 54 |
| ტორონტო | 45 | 21 | 7 | 3 | 14 | 140:115 | 52 |
| ბუფალო | 43 | 22 | 5 | 1 | 15 | 117:102 | 50 |
| ბოსტონი | 44 | 17 | 6 | 4 | 17 | 111:132 | 44 |
| მონრეალი | 45 | 14 | 4 | 2 | 25 | 112:130 | 34 |

**ატლანტა**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 42 | 22 | 9 | 0 | 11 | 144:101 | 53 |
| ფილადელფია | 44 | 21 | 9 | 0 | 14 | 126:118 | 51 |
| პიტსბურგი | 44 | 20 | 6 | 1 | 17 | 135:136 | 47 |
| რეინჯერსი | 44 | 17 | 2 | 1 | 24 | 141:162 | 37 |
| აილენდერსი | 44 | 12 | 4 | 2 | 26 | 102:142 | 30 |

**სამხრეთ - აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვაშინგტონი | 45 | 20 | 8 | 1 | 16 | 119:113 | 49 |
| კაროლინა | 42 | 18 | 6 | 2 | 16 | 106:112 | 44 |
| ატლანტა | 44 | 15 | 8 | 1 | 20 | 121:146 | 39 |
| ტამპა | 43 | 13 | 5 | 2 | 23 | 112:149 | 33 |
| ფლორიდა | 44 | 8 | 8 | 6 | 22 | 95:135 | 30 |

**ცენტრი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 42 | 29 | 4 | 1 | 8 | 148:89 | 63 |
| დეტროიტი | 46 | 25 | 4 | 4 | 13 | 134:119 | 58 |
| ჩიკაგო | 44 | 18 | 4 | 2 | 20 | 120:124 | 42 |
| ნეშვილი | 46 | 17 | 7 | 1 | 21 | 105:120 | 42 |
| კოლუმბუსი | 45 | 13 | 4 | 2 | 26 | 100:143 | 32 |

**ჩრდილო - დასავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 45 | 28 | 8 | 1 | 8 | 140:101 | 65 |
| ვანკუვერი | 45 | 24 | 4 | 4 | 13 | 148:127 | 56 |
| ედმონტონი | 47 | 21 | 6 | 1 | 19 | 129:129 | 49 |
| კალგარი | 45 | 15 | 8 | 4 | 18 | 105:128 | 42 |
| მინესოტა | 44 | 14 | 8 | 2 | 20 | 93:108 | 38 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სან ხოსე | 43 | 26 | 6 | 0 | 11 | 124:97 | 58 |
| დალასი | 43 | 25 | 4 | 1 | 13 | 122:93 | 55 |
| ფინიქსი | 43 | 18 | 11 | 1 | 13 | 105:97 | 48 |
| ლოს ანჯელესი | 44 | 19 | 7 | 1 | 17 | 147:134 | 46 |
| ანაჰაიმი | 46 | 14 | 6 | 4 | 22 | 108:142 | 38 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

# კვლავ ალპებში

დოლომიტის ალპებში, განთქმულ სამთო კურორტ მადონა დი კამპილიოში გრძელდება „ფერარის“ გუნდის შოუ-არდადეგები ფოტორეპორტიორების თანხლებით. ციგაობასა და თხილამურებით სრიალთან ერთად, განთქმული მრბოლები მეკლდეურობაშიც ვარჯიშობენ. აგე, მიხაელ შუმახერი სავარჯიშო კედელზე მიბობღავს.



REUTERS მადონა დი კამპილიოდან



REUTERS ისტ რეზერფორდიდან

# ესეც ზეიმი

„ნიუ იორკ ჯაიანტსმა“ ისტს რეზერფორდში 41:0 მოუგო მინესოტელ „ვიკინგებს“ და სუპერბოულს უწია. ამერიკული ბურთაობის ამ მიღწევას გუნდი თავისებურად გამოეხმაურა, მწვრთნელ ჯიმ ფასელს საზეიმოდ გადაავლეს თავზე მთელი კასრი „გატორადის“ წვენი: ცნობისთვის, „გატორადი“ ლიმონათეულის განთქმული მწარმოებელია და სპორტსმენებისთვის საგანგებო ნაყენსაც ამზადებს.

# ვალები, ვალები

ბოლო თვეში რომში მეორედ ჩასულა დიეგო არმანდო მარადონა, რომელიც ბოდიში და, თვითმფრინავის ტრაპიდანვე პოლიციაში წაუყვანიათ, სადაც გამოუცხადებიათ, საგადასახადო უწყების ვალი 24,64 მილიონი დოლარი დაგიგროვდა, ჯერ კიდევ „ნაპოლიში“ თამაშის დროიდანო. რაღაც ქაღალდებზე ხელი მოუწერინებიათ და გაუშვიათ. მარადონა იტალიაში ტელეშოუებში გამოსაჩენადაა ჩასული, თუმცა, პრესკონფერენციებსაც ხალისით მართავს.



REUTERS რომიდან




# საყიდლებზე მოსულან

ყავის მწარმოებელი კორპორაცია „სტარბაკსის“ პატრონი ჰოვარდ შულცი ცოლ შერისთან ერთად ზის სიეტლის „ქი არენას“ დარბაზში და იქაური „სუპერსონიქსისა“ და „ვანკუვერ გრიზლიზს“ თამაშს ადევნებს თვალს. ბატონი შულცი ის კაცია, ვინც სულ მალე 200 მილიონ დოლარად იყიდის „სუპერსონიქსსა“ და მის ტყუპისცალ ქალთა ენბიეის „სიეტლ შტორმს“.



REUTERS სიეტლიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge